

კლაგიატი და მისი გამოვლენის ათი შემთხვევა აკადემიურ ნაშრომში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური წერის ცენტრის
პირველი სტუდენტური კონფერენციის
მასალების კრებული

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019



INTEGRITY



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

კრებულში შეტანილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის - „აკადემიური მუშაობის ტექნიკების“ კურსის მონაწილე - სტუდენტების მოხსენებები, რომლებიც წარმოდგენილი იქნა აკადემიური წერის ცენტრის პირველ სტუდენტურ კონფერენციაზე. კონფერენცია სახელწოდებით „პლაგიატი და მისი გამოვლენის ათი შემთხვევა აკადემიურ ნაშრომში“ 2018 წლის 9 ივლისს გაიმართა.

მომხსენებლები: ანა ბაიაძე, კესო ბარამიძე, მარიამ გვაგვალია, მარიკა გიორგაძე, ანა ებანოიძე, მარიამ ვარდოსანიძე, ჯაბა ვაშაგაშვილი, მარიკა ბაქაშვილი, სალომე ბურაბაშვილი, მარიამ იასალაშვილი, ხატია კვირკველია, ანა ლაფაჩიშვილი, ანა მაზიაშვილი, ელზა პაქსაძე, მაკა ჟვანია, გიორგი რაზმაძე, ბურა ფარქოსაძე, სალომე ჩომახაშვილი, დაიანა ჩოფლიანი, ნინო ცინაძე, თამარ ჯულაყიძე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები (აკადემიური წერის ცენტრის მოწვეული მასწავლებლები): ნინო გალდავაძე, ლევან გოგობია, თეა თალაკვაძე, თინათინ თვალჭრელიძე, ცირა კილანავა, სალომე პატარიძე, ნათია სალინაძე, თინათინ ქავთარაძე.

პროექტის ხელმძღვანელი: პროფ. მაია როგავა

სამეცნიერო რედაქტორი: ნინო გალდავაძე

დაკაბადონება: ნინო ბოლქვაძე

გარეკანის დიზაინი: ნინო ბოლქვაძე



სარჩევი

წინათქმა	6
კლონი	
სალომე ზურაბაშვილი, ხატია კვირკველია	8
CTRL-C	
სალომე ჩომახაშვილი, დიანა ჩოფლიანი	13
CTRL-F	
მარიამ გვაგვალა, მარიკა ზაქაშვილი, ანა ლაფაჩიშვილი	18
ხელახალი არანაშრომები	
მარიამ ვარდოსანიძე, მარიამ იასალაშვილი	27
გადამუშავება	
ანა მაზიაშვილი, მაკა ჟვანია	35
ჰიბრიდი	
ჭაბა ვაშაგაშვილი, ელზა პაქსაძე	40
მოზაიკა	
მარიკა გიორგაძე, ზურა ფარქოსაძე	44
მოზაიკა	
ანა ებანოიძე	49
404 Error	
ანა ბაიაძე, კესო ბარამიძე	53
RSS Feed	
ნინო ცინაძე, თამარ ჯულაყიძე	57
ხელახალი გამოქვეყნება	
გიორგი რაზმაძე	65
დანართები	
დანართი 1: პლაგიატის გამოვლენის ტიპები და მათი გამოყენების სიხშირე	74

წინამდებარე კრებული ორი მიმართულებით არის მნიშვნელოვანი და ღირებული: ერთი მხრივ, იგი წარმოადგენს ნაშრომების ნაკრებს, რომლებშიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები განიხილავენ თანამედროვე აკადემიური სივრცისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას - პლაგიატი; ხოლო, მეორე მხრივ, კრებული წარმოაჩენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას, საბაკალავრო საფეხურის პირველსავე ეტაპზე სტუდენტს შეეძლოს კრიტიკული კითხვა, ფლობდეს აკადემიური წერისა და კრიტიკული აზროვნების მთავარ ტექნიკებს და მსჯელობდეს აკადემიური სივრცისთვის აქტუალურ თემებზე.

კრებულში შესულია ოცდასამი სტუდენტის მიერ - გუნდურად თუ ინდივიდუალურად - შექმნილი ტექსტები, რომლებშიც განხილულია პლაგიატის ათი ტიპი, კერძოდ, პლაგიატის კონკრეტული შემთხვევები, მათი გამოყენებისა და განმეორების სიხშირე და აკადემიურ და არამხოლოდ აკადემიურ სივრცეში პლაგიატის ამა თუ იმ სახით გამოვლინების ძირითადი მიზეზები. ნაშრომები გამყარებულია მნიშვნელოვანი თეორიული მასალით და ბევრისაინტერესო მაგალითით.

მიუხედავად განსხვავებული საკითხებისა, ყველა ნაშრომს აქვს ერთი საერთო მიზანი: პლაგიატის როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედების ანალიზი და შეფასება სამი ძირითადი პერსპექტივიდან: საკანონმდებლო, ფსიქოლოგიური და მორალური. სტუდენტებს სწორად აქვთ გააზრებული, რომ საკანონმდებლო პერსპექტივა გულისხმობს კანონის დონეზე პლაგიატის მნიშვნელობის განსაზღვრას, შესაბამისი რეგულაციების დაწესებას როგორც სახელმწიფოს, ასევე - უნივერსიტეტების მხრიდან და რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, პლაგიატორის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. ნაშრომებში კარგად ჩანს, რომ „აკადემიური მუშაობის ტექნიკების“ კურსის ფარგლებში სათანადო ყურადღება ექცევა პლაგიატის ფსიქოლოგიურ პერსპექტივასაც. კერძოდ, აქცენტები კეთდება არამართო მიზანმიმართულ, არამედ უნებლიე პლაგიატის შემთხვევებზეც და მათი ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვის აუცილებლობაზე თანამედროვე ლიბერალური მიდგომებიდან გამომდინარე.

განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სტუდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პლაგიატის საკითხის მორალურ მხარეს და შესანიშნავად აცნობიერებენ, თუ რამდენად დამაზიანებელი ქმედებაა პლაგიატი, რაც უშუალოდ გულისხმობს სხვისი ნააზრევის მითვისებასა და უნებართვოდ გამოყენებას. ამგვარი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოხატავს ახალგაზრდა თაობის განსხვავებულ ღირებულებებს და მათი სამოქალაქო ცნობიერების მაღალ ხარისხზე მიანიშნებს.

ტექსტებში ჩანს კიდევ ერთი საინტერესო მოცემულობა: საზოგადოების პლაგიატისადმი დამოკიდებულება მჭიდრო ბმაშია კულტურასა და კულტურულ ცნობიერებასთან. და თუ ჩვენს საზოგადოებას აქვს ამბიცია, იყოს ცივილიზებული სამყაროს ნაწილი და ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებები ეფუძნებოდეს ადამიანის ღირსების, სხვისი საკუთრების უფლებისა და სიმეტრიული აღიარების პატივისცემას, მაშინ პლაგიატიც უნდა მივიჩნიოთ როგორც არაკეთილსინდისიერი ქმედება, რა დროსაც

ირღვევა არამხოლოდ კანონი, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანი, მორალური პრინციპი: ნებისმიერ ადამიანს აქვს ღირსება და საკუთრების უფლება და ჩვენ ვალდებული ვართ, პატივი ვცეთ მას.

წინამდებარე კრებული კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული აკადემიური სივრცის განვითარების საქმეში. ილიას უნივერსიტეტი პირველი ქართული უნივერსიტეტია, სადაც 2014 წელს შეიქმნა აკადემიური წერის ცენტრი და „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სავალდებულო სასწავლო კურსი გახდა ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველი კურსის სტუდენტებისთვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია ქართულ აკადემიურ სივრცეში, სადაც ყველა აკადემიური ნაშრომი მოწმდება პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამით Turnitin და აკადემიური წერის საერთაშორისო სტანდარტების დაცვის ვალდებულება განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა წესდებით.

ილიას უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის პირველი სტუდენტური კონფერენცია და მისი მასალების კრებულის სახით გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერისა და შიდასაუნივერსიტეტო სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მადლობას ვუხდით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, განვითარების სამსახურს (პროექტის INTEGRITY ფარგლებში), უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას, წიგნის სახლს „ლიგამუსი“ და ავსტრიული კულტურის ცენტრს თანადგომისა და დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობა აკადემიური წერის ცენტრის დირექტორს, პროფ. მაია როგავას იდეის მხარდაჭერისა და პროექტის ხელმძღვანელობისთვის.

ნინო გალდავაძე

კლონი



შესავალი

რა არის კლაგიატი? ტერმინს - კლაგიატი არ აქვს მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია მისი ცალსახად გამიჯვნა ისეთი შინაარსობრივად ახლოს მდგომი ტერმინებისაგან როგორიცაა: მიბადვა, ნასესხობა, თანაავტორობა. მაგრამ, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ კლაგიატი - ეს არის ინტელექტუალური ქურდობა. უნივერსიტეტების ნორმატიულ დოკუმენტებში კლაგიატი ძირითადად განმარტებულია როგორც წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის, ან გამონათქვამის ჩართვა ტექსტში, სხვისი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ მითვისება. დღევანდელი მნიშვნელობით სიტყვა კლაგიატი გამოიყენება ევროპულ ენებში მე-17 საუკუნიდან. რომაულ სამართალში კლაგიატი სიტყვა-სიტყვით ნიშნავდა მითაცებას, ქურდობას; ქართულში კი ეს ტერმინი ფრანგული ენიდან შემოვიდა.

კლაგიატი როგორც პრობლემა ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებულად აქტუალურია. 21-ე საუკუნეში, როდესაც სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები, ერთი მხრივ, მეტად მარტივი გახდა სხვადასხვა მასალებთან ხელმისაწვდომობა; მეორე მხრივ კი, მასალებთან მარტივმა წვდომამ მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა საზოგადოება, ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა გახლავთ სწორედ კლაგიატი და მისი შემთხვევების ზრდა, აკადემიურ თუ არააკადემიურ სივრცეებში. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, კლაგიატის შემთხვევათა ზრდის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად შესაძლოა დავასახელოთ გლობალიზაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა


ქვეთ თურაბიანის სახელმძღვანელოში - სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის განმარტებულია, რომ კლაგიატის გამოვლენის ორი სახე არსებობს: უნებლიე და განზრახული (მიზანმიმართული) კლაგიატი. ხშირ შემთხვევაში, სტუდენტები საკუთარ სახელს აწერენ სხვის ნაშრომებს. იციან, რომ ეს არაკეთილსინდისიერი ქმედებაა, მაგრამ არ ერიდებიან მას. თუმცა, არსებობს სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც ვერ აცნობიერებენ კლაგიატის საფრთხეს და უნებლიედ აღმოჩნდებიან კლაგიატის მსხვერპლნი. უმეტესწილად, უნებლიე კლაგიატი არცოდნით ან დაუდევრობითაა გამოწვეული (თურაბიანი 2007).

მეორე ნაშრომი, რომელიც გვანვდის დეტალურ ინფორმაციას კლაგიატის ერთ-ერთი ფორმის შესახებ, გახლავთ კვლევა - კლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში¹. მოცემულ ნაშრომში განხილულია კლაგიატის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა

1 აღნიშნული კვლევა დაფინანსებულია Erasmus+-ისა და ფონდ „ღია საზოგადოების“ მიერ;

- კლონი (ბაქრაძე და სხვები 2016). კლონი - ეს არის ისეთი ტიპის „ნაშრომი, რომელშიც სხვისი ტექსტი სიტყვა-სიტყვითაა გამოყენებული და წარმოდგენილია როგორც საკუთარი². ამ ფორმას ასევე უწოდებენ სრულ პლაგიატს. ეს ის შემთხვევაა, როცა ნაშრომი ან პროექტი სრულად არის გადმოწერილი სხვისი ნაშრომიდან და წარმოდგენილია, როგორც საკუთარი. ეს ტიპი ყველაზე გავრცელებული არის პლაგიატის ათ ტიპს შორის და გამოყენების სიხშირით პირველ ადგილზეა, რაც ქვემოთ მოცემულ სურათზე (სურათი 1) ნათლად ჩანს.

სურათი 1: პლაგიატის გამოვლენის ტიპები და მათი გამოყენების სიხშირე



2 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018).

რა არის მიზეზი იმისა, რომ კლონი პლაგიატის ყველაზე გავრცელებული ტიპია? პასუხი ცალსახაა: ეს ტიპი გაცილებით ნაკლები დროის ხარჯვას და ნაკლები აკადემიური რესურსის გამოყენებას მოითხოვს, პლაგიატის სხვა გავრცელებულ ფორმებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, ავტორი არ ცვლის ორიგინალი ტექსტის სიტყვებს, შინაარსს, წყობას და პირდაპირ გადმოაქვს სასურველი ინფორმაცია საკუთარ ნაშრომში.

პლაგიატისგან თავის დაცვის მექანიზმი აქტიურად მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2014 წლიდან სასწავლო პროცესში გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენი ელექტრონული სისტემა - Turnitin. შექმნილია ერთიანი ბაზა, სადაც განთავსებულია ყველა ნაშრომი, პროგრამა კი ყოველი ახალი ტექსტის შედარებას ახდენს ბაზაში არსებულ ნაშრომებთან. ქვემოთ მოცემული სურათი (სურათი 2) ნათლად გვაჩვენებს, როგორ გამოიყურება Turnitin-ის სისტემაში მსგავსება სტუდენტის ნაშრომსა და ორიგინალ ტექსტს შორის. სურათის ზედა ველში მოცემულია ორიგინალი ტექსტი, რომლის გარკვეული ნაწილიც სტუდენტმა საკუთარ დავალებაში გადმოიტანა სიტყვა-სიტყვით, წყაროს მითითების გარეშე. გადმოტანილი ნაწილი სურათის ქვედა ველში წითლად არის მონიშნული, რაც ნიშნავს, რომ Turnitin-ის სისტემამ დააფიქსირა მსგავსება. აღნიშნული მსგავსება, რადგან ის გულისხმობს სხვა წყაროდან ნაწილის გადმოტანას წყაროს მიუთითებლად, პლაგიატად ითვლება.

სურათი 2: კლონის მაგალითი (წყარო: moodle.iliauni.edu.ge)

დინალურ პრინციპს, არა პაციენტებს, არამედ მათ მკურნალ ექიმებს აკვირდებოდა. **გოფმანმა აჩვენა ერთ – ერთ „ტოტალურ ინსტიტუტში“ – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზაცია, სადაც ყველაფერი: სივრცის ორგანიზაცია, დღის წესრიგი, ურთიერთობის ტექნიკები, მუდმივი დაკვირვება – პიროვნული იდენტურობის დათრგუნვაზეა მიმართული.** ამას აშშ – ში ფსიქიატრიული საავადმყოფოების დეინსტიტუციონალიზაციის და ფს

1 გოფმანმა აჩვენა ერთ – ერთ „ტოტალურ ინსტიტუტში“ – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ყოველდღიური ცხოვრების ორგანიზაცია, სადაც ყველაფერი: სივრცის ორგანიზაცია, დღის წესრიგი, ურთიერთობის ტექნიკები, მუდმივი დაკვირვება – პიროვნული იდენტურობის დათრგუნვაზეა მიმართული.

დასკვნის სახით შემიძლია ჩამოვაყალიბო რომ როგორც გოფმანთან ამ მოხუცთა თავშესაფარშიც შეიძლება ითქვას, რომ წინასწარ არის გაწერილი ყველა ქმედება,რაც წინასწარ დადგენილი წესებიდან გამომდინარეობს. მაგრამ ამის მიუხედავად ბოლომდე მაინც არ იზღუდება პიროვნული სურვილები, რადგან ისინი წინასწარ არის

პლაგიატთან ბრძოლა და რეგულაციები

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პლაგიატთან ბრძოლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს ფორმალური რეგულაციები და მარეგულირებელი ორგანოები. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს

კანონმდებლობით განსაზღვრულია საავტორო უფლებების დაცვა, სამწუხაროდ, პლაგიატი ანუ აკადემიური არაკეთილსინდისიერება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში კანონმდებლობით არ განისაზღვრება, მაგრამ კანონი უნივერსიტეტებს ავალდებულებს სტუდენტებისათვის შინაგანაწესის, ეთიკის ნორმების შექმნას, სადაც მკაცრად განსაზღვრული არის პლაგიატის შესახებ ინფორმაცია და ის რეგულაციები, რომლებიც მისი აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედებს. ეს რეგულაციები ძირითადად შემდეგი სახისაა: ნაშრომისთვის მიღებული შეფასების გაუქმება, კურსის ხელმეორედ აღება, გაფრთხილება, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/გაუქმება. ამ წესების ძირითადი მიზანი კი ის არის, რომ დანერგოს უნივერსიტეტის სივრცეში ურთიერთპატივისცემა და დაცული იყოს ინტელექტუალური საკუთრება.

პრობლემის აღმოფხვრის გზები

პლაგიატის პრევენციის ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია ფორმალურ რეგულაციებში პლაგიატთან არსებული ინფორმაციის ასახვა, სტუდენტებთან საორიენტაციო შეხვედრების გამართვა, სილაბუსებში განმარტებითი ნაწილის ჩართვა, რათა რაც შეიძლება მეტს სტუდენტს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით. ინფორმირებულობა აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. სწორედ ეს პრევენციული ღონისძიებები შეამცირებს განზრახულ თუ უნებლიე პლაგიატს.

რა უნდა მოიმოქმედოს სტუდენტმა, რათა თავიდან აიცილოს უნებლიე პლაგიატი? პირველ რიგში, მკაფიოდ უნდა გამოყოფს წყაროდან მოყვანილი ციტატები, პარაფრაზები თუ იდეები, ბრჭყალებში ჩასვას ციტატები, რათა საკუთარში არ აერიოს. არ უნდა გამოიყენოს ინტერნეტში განთავსებული მასალები მითითების გარეშე. უნდა მიუთითოს ნებისმიერი გამოყენებული მასალის წყარო, რომელიც სხვას ეკუთვნის და თავად სტუდენტს არ შეუქმნია. ასევე, აუცილებელი არის ციტირებული ტექსტების სათანადო დამოწმება. დამოწმებაში მითითებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი, ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემელი და წელი. რედაქტორებისა და მთარგმნელების შემთხვევაში, აუცილებელია ბიბლიოგრაფიაში მათი მითითება.

დასკვნა

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული პლაგიატთან ბრძოლის და მისგან თავის დაცვის მექანიზმები. იმის მიუხედავად, რომ არსებობს რეგულაციები, მაინც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ისინი ზედაპირულია, ვინაიდან, ძირითადად, ფორმალური ხასიათისაა. საქართველოს უმრავლეს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში არ არსებობს პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული მექანიზმები, შედეგად, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, გამოიყენონ სხვისი ნაშრომი. სიღრმისეული ანალიზის გარეშე კი, რთული ხდება პლაგიატის დადგენა. საგანგაშოა ისიც, რომ სტუდენტთა დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით. არ იციან მისი მნიშვნელობა და, შესაბამისად, ის რეგულაციები, რომლებიც მისი აღმოჩენის შემთხვევაში ამოქმედდება. ამდენად, აუცილებელია, რომ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა დახმარებითაც ამალმდება ცნობიერება და მეტ ადამიანს

ექნება ინფორმაცია პლაგიატთან დაკავშირებით. შედეგად, შემცირდება აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევები და ყველას ინტელექტუალური თავისუფლება და საკუთრება დაცული იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

ეკო, უმბერტო. 2014. როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე;

თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ჯოლია, გ. 2006. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://docs.google.com/file/d/0BwCMYTECcJPnX19qOTVrX0s4dE0/preview> (25.02.2019).

CTRL-C



პლაგიატი 21-ე საუკუნის ყველაზე აქტუალური აკადემიური პრობლემაა. აღნიშნულ მოხსენებაში განხილულია პლაგიატის ერთ-ერთი პოპულარული (გამოყენების სიხშირის მიხედვით, ყველაზე ხშირად გამოვლენილ პლაგიატის ტიპებს შორის რიგით მეორე) სახე, სახელწოდებით CTRL-C (კოპირება), უფრო კონკრეტულად, როდესაც ნაშრომში ცვლილების გარეშე ერთი წყაროდან მნიშვნელოვანი ნაწილებია გადმოტანილი, წყაროს მითითების გარეშე. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, გამწვავდა პლაგიატთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა და საკმაოდ სწრაფი ტემპით უარესდება მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ინტერნეტის ხელმისაწვდომობით. ე.წ. „ტექნოლოგიის თაობის“ ადამიანებს (მოსწავლეებს თუ სტუდენტებს) ხშირად აქვთ შემთხვევა, როცა წარადგენენ ინტერნეტიდან ამოწერილ მასალებს იმ იმედით, რომ მასწავლებელი ამას ვერ მიხვდება, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ხდება კოპირება, იწერება შესაბამისი (დაბალი) შეფასება ან ნაშრომი ნულდება.

პლაგიატი თანამედროვე მნიშვნელობით გულისხმობს სხვისი ნაშრომის მითვისებას და საკუთრად “გასაღებას” ან გამოყენებას ავტორის მითითების გარეშე³. პლაგიატორია ის ადამიანიც, რომელიც არათუ სხვისი ნაშრომიდან იყენებს რომელიმე ნაწილს, აბზაცსა თუ წინადადებას, არამედ ისიც, ვინც სხვის არგუმენტებს საკუთრად წარადგენს. თემა, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, გულისხმობს ნაშრომიდან ერთი კონკრეტული ნაწილის უცვლელად გადმოტანას. ეს ითვლება პირდაპირ პლაგიატად, კოპირებად, რაც გულისხმობს სხვისი ნაშრომის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი თუ მონაცემი) მითვისებას ავტორის მითითების გარეშე.

პლაგიატის ეს ტიპი იგივეა, რაც წყაროდან ამა თუ იმ პასაჟის ზუსტად გადმოწერა, ბრჭყალებში ჩასმის ან სხვა ტიპის მითითების გარეშე, რომელიც ციტირებულ ტექსტს ნათლად გამოყოფს ავტორის ტექსტისგან. სხვისი ნაშრომის მითვისების შემთხვევებში შედის გარკვეული ნაწილების სხვისი ნებართვით გადაწერაც. პლაგიატის განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება ორიგინალური ცოდნის პოზიციიდან. პლაგიატი, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით არასწორ/ცრუ წარმოდგენას ქმნის (IPPHEAE, 2015). მითვისება შეიძლება შეეხოს რამდენიმე ფრაზას, სეგმენტს ან მთლიან ნაშრომს.

რაც შეეხება პრობლემის აქტუალობასა და სიმწვავეს, ეს განპირობებულია იმ არა საკმარისი ცოდნით, რაც დღესდღეობით გვაქვს; ზოგჯერ - უყურადღებობით, როდესაც წყაროს არ ვუთითებთ და ზოგჯერ - უზუსტობით, როცა აკადემიური სტილის დაცვისას გვეპარება შეცდომა. არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტი თავისი ძველი ნაშრომიდან იყენებს გარკვეულ მოსაზრებებს, არგუმენტებს და თვლის,

3 იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=31323> (26.02.2019).

რომ ეს ქმედება არ ჩაითვლება პლაგიატად. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტის მიერ მისი ძველი ნაშრომიდან გარკვეული ნაწილების ციტირება წყაროს მითითების გარეშე პლაგიატია.

ამ პრობლემას უამრავი გამომწვევი მიზეზი აქვს. მაგალითად, ერთ-ერთი შეიძლება იყოს ინფორმაციის არქონა პლაგიატის შესახებ. ხშირად სტუდენტს არ აქვს საკმარისი ცოდნა, რომ სხვისი ნაშრომის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე ან მისი უცვლელად კოპირება არის “ქურდობა” და აკადემიურ სივრცეში დასჯადია. დამატებით მიზეზებად შეგვიძლია დავასახელოთ სტუდენტის სიზარმაცე, დროისა და არგუმენტების არქონა და ა.შ. ხშირად, სტუდენტს ასევე ჰგონია, რომ ლექტორი ვერ შეამჩნევს პლაგიატს.

რაც შეეხება გამოყენებულ წყაროებს - თითოეულ მათგანს თავისი დატვირთვა აქვს და მათი მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. პლაგიატის განმარტების, ციტირებისა და პარაფრაზის შესახებ ინფორმაცია დეტალურადაა მოცემული თურაბიანისა და ჩუბინიძის სახელმძღვანელოებში. აღნიშნულ წყაროებში ავტორები აღგვიწერენ, როგორაა შესაძლებელი პლაგიატის თავიდან არიდება. რაც შეეხება ნაშრომს - პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში, იგი მნიშვნელოვანია საქართველოში პლაგიატის აღქმასთან დაკავშირებული როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული ანუ უნივერსიტეტებთან დაკავშირებული პრობლემების კუთხით. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი იცავს საავტორო უფლებებსა და ინტელექტუალურ ქონებას, შესაბამისად, ეს კანონი ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია. ზოგადად, პლაგიატის მნიშვნელობის განმარტებისთვის კი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი გამოვიყენეთ.

მაგალითისთვის ვნახოთ სტუდენტის მიერ დაშვებული შეცდომა, როდესაც მას თავისი ნაშრომისთვის ორიგინალ წყაროში მოცემული გარკვეული ნაწილი სჭირდებოდა, ფიქრობდა, რომ თავად უკეთ ვერ დაწერდა, თუმცა ციტატად არ გამოდგებოდა, ამდენად, კონკრეტული პასაჟი სიტყვა-სიტყვით გადმოწერა.

სტუდენტის ნაშრომი:

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ წარმოადგენს 2015 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობით განვითარებული მნიშვნელოვანი პროცესების მიმოხილვას, EMC-ის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე.“

სტუდენტმა ლექტორისგან მიიღო შემდეგი კომენტარი:

„დაიანა, გადაგიწერიათ სრულიად გაუმართლებლად!“

მსგავსი უხერხული მომენტის თავიდან ასაცილებლად სტუდენტს შეეძლო გაეკეთებინა ორიგინალი ტექსტიდან სასურველი მონაკვეთის პარაფრაზირება. სწორი ვერსია კი იქნებოდა ასეთი სახის:

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ მიმოიხილავს 2015 წელს საქართველოში არსებულ მდგომარეობას ადამიანის უფლებების კუთხით განვითარებულ მნიშვნელოვან პროცესებს, EMC-ის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი 2015).

ამ შემთხვევასთან კავშირში, პირდაპირი პლაგიატის მაგალითად შეიძლება გაგვახსენდეს ერთ-ერთი ცნობილი ფაქტი, რომელიც სამწუხარო და ამავედროულად - კომიკურია: სომხეთში შესრულდა ცეკვა „დაისი“ და ადგილობრივებმა განაცხადეს, რომ ეს იყო სომხური ნაციონალური ცეკვა.

პლაგიატისგან თავის ასარიდებლად შესაძლებელია პარაფრაზირების გამოყენება, რაც გულისხმობს გარკვეული მონაკვეთის გაშინაარსებას, საკუთარი სიტყვებით დაწერას და არა მხოლოდ რამდენიმე სიტყვის შეცვლას. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ არ უნდა გავაკეთოთ ტექსტთან ისეთი მიახლოებული პარაფრაზი, რომ მკითხველმა იგი ორიგინალად ჩათვალოს. პარაფრაზის შემდეგ ფრჩხილებში უნდა მივუთითოთ წყაროს ავტორის გვარი, გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდის ნომერი. მნიშვნელოვანია პარაფრაზში გამოყენებული ინფორმაცია გავატყუროთ საკუთარი მოსაზრებებით.

ხშირია შემთხვევა, როცა პლაგიატად ითვლება ციტირებაც. ეს გულისხმობს წყაროდან ერთი ან რამდენიმე წინადადების გამოყენებას საკუთარ ნაშრომში. როგორც პარაფრაზის, ასევე ციტატის შემთხვევაშიც, აუცილებელია გამოყენებული ლიტერატურის მითითება აკადემიური სტილის სრული დაცვით. ტექსტში მითითებისას აუცილებელია დავიცვათ აკადემიური სტანდარტი. შეგვიძლია გამოვიყენოთ წყაროს დამოწმების ორი ხერხი: ტექსტშივე და სქოლიოში. ციტატის ტექსტში დამოწმებისას ფრჩხილებში ვუთითებთ ავტორის გვარს, გამოცემის წელს და გვერდს, ხოლო როცა სქოლიოში ჩაგვაქვს წყაროს შესახებ ინფორმაცია, უნდა მივუთითოთ ავტორის სახელი, გვარი, ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი, წელი, გამომცემლობა და გვერდი.

ციტატის გამოყენება სასარგებლოა მაშინ, როცა:

- ის ამყარებს/ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომელსაც ვამტკიცებთ ობიექტურობის მიზნით;
- იმდენად ორიგინალურია, რომ ავტორზე უკეთ ვერ გადმოვცემთ;
- იმდენად კარგად გამოხატავს ჩვენს იდეებს, რომ კარგ საფუძველს ქმნის შემდგომი მსჯელობისთვის.

ციტატების გამოყენებისას მნიშვნელოვანია დაიცვათ ციტატის კონტექსტი, რომელშიც ავტორს აქვს გამოყენებული ესა თუ ის ფრაზა. როდესაც ავტორი არ უთითებს წყაროს ან ციტატას არ გამოყოფს ბრჭყალებითა და აბზაცით, ის ითვლება პლაგიატად. არის შემთხვევები, როდესაც პროცენტულად იმდენად დიდია ციტატის მოცულობა ან იმდენად ხშირია ციტატა, ძირითად ტექსტთან შედარებით, რომ ალარ ჩანს ავტორის აზრი და მსგავსი შემთხვევა გარკვეულწილად პირდაპირ პლაგიატს წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც პარაფრაზის, ასევე ციტატის შემთხვევაში, აუცილებელია, ავტორმა დაიცვას ბალანსი საკუთარ მოსაზრებებსა და ციტატებს შორის, რათა თავიდან აიცილოს პლაგიატი.

პლაგიატის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ:

- სტუდენტს უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია პლაგიატის შესახებ;
- აუცილებელია წყაროების სათანადოდ დამოწმება;
- წყაროდან მოტანილი ციტატები და იდეები მკაფიოდ უნდა გამოყოს;
- ციტირების აკადემიური სტილი უნდა იქნას დაცული.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ეტაპობრივად ინერგება ახალი მეთოდები პლაგიატის აღმოსაფხვრელად, იქმნება და მუშავდება სპეციალური პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს პლაგიატის აღმოჩენას. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამა: turnitin, რომელიც ძალიან მცირე დროში და საკმაოდ ეფექტურად ადგენს მსგავსებას სტუდენტის ნაშრომსა და ორიგინალ ტექსტს შორის. ამ პროგრამის არსებობა სასწავლო სივრცეში პირდაპირ მიუთითებს სტუდენტის ცნობიერების ამაღლებაზე და აიძულებს მას, მაქსიმალურად შეამციროს პლაგიატის გამომწვევი მიზეზები. შედეგად, აღარ დადგება საფრთხე, რომ სტუდენტის ნაშრომი არ დაექვემდებაროს შემდგომ შეფასებას.

ზემოთ ხსენებული ახალი მეთოდების დანერგვის პარალელურად, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს კანონი მკაცრად იცავს საავტორო უფლებებს, რაც მნიშვნელოვანი ბერკეტია პლაგიატთან ბრძოლის პროცესში. საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ მე-5 მუხლის მიხედვით⁴:

1. საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა;
2. საავტორო უფლება ვრცელდება ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს ობიექტური ფორმით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი გამოცემა ან საჯარო გაცნობა;
3. საავტორო უფლება არ ვრცელდება იდეებზე, მეთოდებზე, პროცესებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებსა და ფაქტებზე, მაშინაც კი, თუ ისინი გამოხატულია, აღწერილია, ახსნილია, ილუსტრირებულია ან ხორცშესხმულია ნაწარმოებში.

გამოყენებული ლიტერატურა

აკადემიური წერის ცენტრი. 2016. აკადემიური წერა: სამაგისტრო საფეხური. რიდერი. <https://drive.google.com/file/d/0B2iT6cJgt6h1NIUtYk84eTFFT2s/view> (01.07.2018);

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და

4 იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198> (26.02.2019).

მკვლევრებისათვის. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება. პლაგიატი, როგორ ავარიდოთ თავი პლაგიატს. http://sss.tsmu.edu/page_right.php?id=46 (01.07.2018);

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2017. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198> (03.07.2018);

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3> (30.06.2018);

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018);

Glendinning, Irene. 2015. *Plagiarism Policies in Poland*. <http://plagiarism.cz/ippheae/files/D2-3-21%20PL%20IPPHEAE%20CU%20Survey%20Poland%20Narrative%20final.pdf> (19.04.2019).

CTRL-F



კითხვაზე, თუ რა არის პლაგიატი, ზუსტი პასუხი დღეს ბევრ უმაღლეს სასწავლებელში არ მოიპოვება, თუმცა თანხმდებიან, რომ პლაგიატი მორალურად ცუდი საქციელია, რადგან სხვისი ნაშრომის მოპარვასა და საკუთრად გასაღებას გულისხმობს. ლათინური Plagiatrus - ადამიანის მოტაცებას ნიშნავს (კაჭარავა, მარწყვიშვილი და ხეჩუაშვილი 2007, 79). ამერიკის აკადემიურ სივრცეში პლაგიატად მიიჩნევა სხვისი ნაშრომის გამოყენება დედანი ტექსტის ავტორის მითითების გარეშე, მაგრამ ბევრ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში (უსდ) მიიჩნევა, რომ პლაგიატთან გვაქვს საქმე მაშინაც, როდესაც დედანი ტექსტებიდან ხდება ციტატების გადმოწერა (კოპირება) დამოწმების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში პლაგიატად ითვლება ასევე საკუთარი ნაშრომის ხელახალი გამოყენება. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი განსაზღვრებები სხვადასხვანაირია და ხშირად სტუდენტი პლაგიატის პრობლემის წინაშე შეიძლება სწორედ ტერმინის გაუაზრებლობის გამო დადგეს. მაგალითად, იულია კრისტევას მიხედვით, „ნებისმიერი ტექსტი აგებულია ციტატების მოზაიკისგან; ნებისმიერი ტექსტი არის მეორის შთანთქმა და ტრანსფორმაცია“ (Williams 2015, 169). ეს ციტატა მიანიშნებს ინტერტექსტუალობაზე - მკითხველი კითხვის პროცესში ეცნობა არა ერთი, არამედ სხვა ავტორების მოსაზრებებსაც, მაგრამ ამგვარ ტექსტებს არ სჭირდება დამოწმება, ვინაიდან მკითხველმა იცის ან უნდა ამოიცნოს ინტერპრეტაციის საფუძველზე, თუ რომელი სხვა ტექსტია მოხმობილი მასში. იულია კრისტევა მიიჩნევს, ასეთი ტიპის პლაგიატი არაცნობიერი პლაგიატია და მწერლის რეალიზაციის ერთ-ერთ სახესთან გვაქვს საქმე (Williams 2015, 171).

ინტერტექსტუალობა ეფუძნება ბახტინის მოსაზრებას დიალოგურობაზე. ინტერტექსტუალობის შედეგად იქმნება „ტექსტების კოსმოსი“ - ყოველი ტექსტი მეორესთანაა დაკავშირებული, თითოეული ტექსტი სხვას შთანთქმავს, ქმნის ინტერტექსტუალურ ეფექტს და ამით მკითხველს განსხვავებულ ტექსტთან აკავშირებს (ცაგარელი 2008). ინტერტექსტუალობა წარმოდგენილია როგორც ყველა ტექსტისთვის დამახასიათებელი თვისება, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ აქ საქმე გვაქვს ლიტერატურასთან და, შესაბამისად, პლაგიატის განსაზღვრება სრულიად განსხვავებულია აკადემიურ სივრცეში მიღებულ განსაზღვრებასთან შედარებით.

აკადემიურ წრეებში მიიჩნევენ, რომ პლაგიატის განსაზღვრების არცოდნას შეუძლია სტუდენტი დიდი დილემის წინაშე დააყენოს. გარდა პირდაპირი პლაგიატისა, არსებობს კიდევ მრავალი სახის პლაგიატი, რომლებიც ცოდნასა და გააზრებას საჭიროებს. ხშირად სტუდენტები საკმარისად მიიჩნევენ დედანი წყაროდან რამდენიმე სიტყვის ჩანაცვლებას პლაგიატისგან თავის ასარიდებლად. უმეტესად სტუდენტები იყენებენ პლაგიატის უნივერსალურ განსაზღვრებას, რომლის თანახმად, პლაგიატი სხვისი ნაშრომის გამოყენებაა წყაროს ავტორის ვინაობის გარეშე, თუმცა არ/ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ სხვა სტუდენტის სიტყვების მისაკუთრება ან პარაფრაზის გაკეთება დედანი წყაროს მითითების გარეშე, ითვლება პლაგიატად (Bouville 2008, 312).


პლაგიატის საკითხზე გამოიკითხა ჩინეთის უნივერსიტეტების სამეცნიერო დისციპლინების განხრით 14 პროფესორი. ისინი მიიჩნევენ, რომ ტექსტის დაკოპირება არაეთიკურია და თავიდან უნდა აიცილონ. მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ წყაროს დამუშავებისას მნიშვნელოვანია მისი შინაარსის გააზრება და შემდეგ საკუთარი სიტყვებით გადმოტანა, რაც დამოწმდება შესაბამის უნივერსიტეტში აღიარებული დამოწმების წესების დაცვით. ყველა პროფესორი თანხმდება იმაზე, რომ აკადემიური კეთილსინდისიერება უმნიშვნელოვანესია და მათ ცუდად შესრულებული, მაგრამ ორიგინალური ნაშრომის ხილვა ურჩევნიათ პლაგიატს, რადგან ამით წარმოჩინდება დამუშავებული მასალისა და ლექტორის მიერ ახსნილის ათვისების ხარისხი (Li 2011, 574). კვლევაში მონაწილე პროფესორები გამოსავალს პოულობენ წყაროების კითხვისას კონსპექტ-ბარათების შექმნაში, რომელებიც სტუდენტებს შრომასაც გაუადვილებს და ასევე დაიცავს მათ უნებლიე პლაგიატისაგან.

გამოყოფენ პლაგიატის რამდენიმე სახეს:

1. სხვისი ნაშრომის მითვისება - წყაროსა და ციტატების დაუმოწმებლად გამოყენება;
2. თვითპლაგიატი - საკუთარი ნაშრომის ხელახალი გამოყენება დამოწმების გარეშე;
3. „ლინგვისტური პლაგიატი“ - ავტორის ენისა და თხრობის სტილის მითვისება (Li 2011, 570).


სტატიის ფარგლებში გამოიკითხა ილიას უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართულებისა და კურსის 40 სტუდენტი. გამოკითხულმა 40-მა სტუდენტმა კითხვაზე: თუ რა არის პლაგიატი, არაერთგვაროვანი პასუხი გასცა; გამოკითხულ სტუდენტთა ნახევარმა (ოცმა სტუდენტმა) აღნიშნა, რომ პლაგიატი არის ინფორმაციის/ციტატის გამოყენება ისე, რომ არ მოხდეს მისი დამოწმება. დანარჩენი 20 სტუდენტიდან 14 ფიქრობს, რომ ეს არის სხვისი ნაშრომის მითვისება და მოპარვა, თუმცა არ აღნიშნავს, აქვს თუ არა ამას კავშირი აკადემიური წესების უგულებელყოფასთან (სხვათა აზრების გამოყენება - დამოწმების გარეშე). გამოკითხულთაგან მხოლოდ 6 სტუდენტი ფიქრობს, რომ ნაშრომი შეიძლება აღმოჩნდეს პლაგიატი იმ შემთხვევაში, თუ მისი ავტორი არ იცავს პარაფრაზის შესრულების წესებს.

სურათი 1: ილიაუნის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები




შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების დაახლოებით 75%-ს (30-ს) არასოდეს ჰქონია პლაგიატის შემთხვევა (არ აღმოჩნდა მათი ნაშრომი პლაგიატი), ხოლო დანარჩენი 25% ხსნის, თუ რატომ დააფიქსირა Turnitin-მა მათ ნაშრომებში პლაგიატის შემთხვევები: ძირითად მიზეზად უმეტესობა ასახელებს წყაროებიდან ნაშრომში ციტატების დიდი მოცულობის გადმოტანას, რამაც გამოიწვია ნაშრომის ორიგინალურობის კრიზისი, შედარებით ნაკლები კი თვლის, რომ პლაგიატი დადგა გამოყენებულ წყაროთა არასწორი პარაფრაზირების გამო.

სურათი 2: ილიაუნის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები




სურათი 3: ილიაუნის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები



გამოკითხულ სტუდენტებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ასევე ღია კითხვამ პარაფრაზის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სტუდენტთა 50% მიიჩნევს, რომ ეს არის ტექსტის შინაარსის გადმოცემა საკუთარი სიტყვებით, რომელსაც აუცილებლად სჭირდება დამოწმება მაშინ, როცა დანარჩენი (50%) სტუდენტთა მოსაზრებებში ვხვდებით განსხვავებულ ვარიაციებს: პარაფრაზი - ესაა შემოკლებული შინაარსი (2) ან ტექსტის შინაარსი დამოწმების გარეშე (8). გამოკითხულთაგან აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც არ იციან პარაფრაზის მნიშვნელობა (3) და არ აქვთ ინფორმაცია პარაფრაზის დამოწმების აუცილებლობასთან დაკავშირებით (7).


სურათი 4: ილიაუნის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები



ლია კითხვაზე - განემარტათ თვითპლაგიატის ცნება, გამოკითხულთა 27%-მა (11) განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რას შეიძლება ნიშნავდეს თვითპლაგიატი. გამოკითხულ სტუდენტთა 60%-მა (24) იცის, რომ ეს არის საკუთარი ნაშრომის ხელახალი გამოყენება დამოწმების გარეშე ან არასწორი პარაფრაზის საფუძველზე. ხოლო დანარჩენებისათვის თვითპლაგიატი პლაგიატის ერთ-ერთი შემთხვევაა და რაიმეს/ვინმეს ორიგინალ ნაშრომთან მსგავსებას და იქიდან ციტირებას ნიშნავს.

ნაშრომისათვის განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესო აღმოჩნდა, რას მიიჩნევენ სტუდენტები პლაგიატის პრევენციის ზომებად: გამოკითხული სტუდენტების 37%-მა (15) პლაგიატისაგან თავის დასაცავად საუკეთესო საშუალებად მიიჩნია ნაშრომში გამოყენებული წყაროს გაშინაარსება და შემდეგ მისი სათანადო დამოწმება. 32%-ს (13) საუკეთესო გზად პლაგიატისგან თავის დასაცავად მიიჩნია საკუთარ ტექსტში გამოყენებული ციტატის ბრჭყალებში მოქცევა და შესაბამისი დამოწმება. 15%-მა არ იცის, როგორ დაიცვას თავი პლაგიატისაგან, რაც პარადოქსული შედეგია კვლევისთვის, ვინაიდან გამოკითხულ სტუდენტთა უმეტესობამ მიუთითა კითხვარში, რომ მათ არ ჰქონიათ პლაგიატის შემთხვევა უნივერსიტეტში სწავლის დროს. დანარჩენი პროცენტები ნაწილდება პლაგიატის ამომცნობი პროგრამის გამოყენებაზე, ინტელექტუალურ ქურდობაზე უარის თქმასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე.

სურათი 5: ილიაუნის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები



როგორც ვხედავთ, შედეგები არაერთგვაროვანია, ხოლო მათ უკეთ წარმოსაჩენად ჩვენს კვლევის შედეგებს შევადარებთ 2016 წლის გამოკითხვის შედეგებს წიგნიდან - პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში, რომელიც განხორციელდა Erasmus+ თანადაფინანსებით და რომლის სამიზნე ჯგუფებსაც სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები და ასევე პროფესორები შეადგენდნენ. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ განისაზღვრება პლაგიატის რეგულაციები და ამ მოვალეობას იღებს მოქმედი, აკრედიტირებული უნივერსიტეტი. ყველა უმაღლეს სასწავლებელში (ორის გარდა), სადაც ჩატარდა კვლევა, აქვთ სპეციალური დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება პლაგიატს. პლაგიატის აღმოჩენისას უმეტესი ყურადღება ექცევა დასჯას და არა - პრევენციას. კითხვაზე: თუ რა არის პლაგიატი, პასუხი იდენტურია ჩვენი კვლევის შედეგად მიღებულ პასუხებთან. უმეტეს შემთხვევაში ის მიჩნეულია სხვისი ნაშრომის მითვისებად ისე, რომ არ იქნეს სწორად დამოწმებული გამოყენებული წყარო და მას ებრძვიან მისი აღმოჩენის დროს, რექტორის ბრძანების მიხედვით. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საბაკალავრო საფეხურზე სწავლისას არ ჰქონდათ ინფორმაცია, თუ რა არის პლაგიატი და როგორ უნდა ავიცილოთ იგი თავიდან. გამომდინარე აქედან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი დაწესებულებების მიერ განხორციელებულ კამპანიას და სტუდენტებში ცნობიერების დონის ამაღლებას. ეს კვლევა ემსახურებოდა პოსტსაბჭოთა საქართველოში პლაგიატთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას. საბჭოთა ქვეყნებში არსებულმა „გადაწერის ტრადიციამ“ ღრმა კვალი დატოვა შემდეგი პერიოდის თაობებში, აქედან გამომდინარე, პრობლემები იდენტურია ყველა იმ ქვეყანაში, რომლებიც წარსულში საბჭოთა სისტემის წევრებად მოიაზრებოდნენ, ვინაიდან ვერ დააღწიეს თავი გადაწერასა და, შესაბამისად, პლაგიატს.

არასწორად შესრულებული პარაფრაზი მარტივად შეიძლება აღმოჩნდეს პლაგიატი, თუ მხოლოდ დედანი ტექსტის ერთეული სიტყვებია ჩანაცვლებული ან შინაარსია შეცვლილი. კარგი პარაფრაზის დროს ავტორის სიტყვები და იდეები ადეკვატურად არის წარმოჩენილი და აუცილებლად თან ახლავს შესაბამისი დამოწმება (Rasamond 2002, 172). ხშირად, არასწორ პარაფრაზს ვაწყდებით მაშინ, როდესაც პარაფრაზი უცხოენოვანი წყაროსგან არის შესრულებული, რადგან სტუდენტებს უჭირთ ცნებების/სიტყვების შესატყვისი ქართული ტერმინოლოგიით ჩანაცვლება ან საკუთარი სიტყვებით აზრის გადმოცემა ისე, რომ წყაროს შინაარსი არ დაიკარგოს, ანუ სტუდენტებისთვის სირთულეს წარმოადგენს პარაფრაზირების წესების დაცვა.

პლაგიატს აქვს მრავალი სახე. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა პლაგიატი არასწორი პარაფრაზირების გამო, რომელიც შეიძლება არამართო ცოდნის არარსებობის, არამედ აკადემიური არაკეთილსინდისიერების შედეგი აღმოჩნდეს. გთავაზობთ პარაფრაზირების შედეგად დაფიქსირებული პლაგიატის მაგალითს და, აგრეთვე, წარმოგიდგენთ სწორი პარაფრაზის ნიმუშს.

პირველ კლაგიატის მაგალითში ნათლად ჩანს, რომელი წინადადებაა პარაფრაზირებული და რომელი - მხოლოდ ერთეული სიტყვებით ჩანაცვლებული.

ნიმუში 1:

„ემილი ანუ ალბრდის შესახებ - ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, ჟან-ჟაკ რუსოს განსახილველ რომან-ტრაქტატში პირველად არის სისტემურად დამუშავებული ბუნებრივი ალბრდის თეორია, რომელშიც გათვალისწინებულია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება მისი პიროვნებად ჩამოყალიბების სხვადასხვა ეტაპებზე. ავტორი იძლევა სამ მნიშვნელოვან თემის ბუნებრივი განვითარების მიზანშეწონილობის, უფროსთა და ბავშვთა შორის არსებული განსხვავებებისა და ბავშვების განვითარების სხვადასხვა ეტაპებს შორის არსებული შინაგანი განსხვავებების შესახებ. ეს სამი თემის განსაზღვრავს ალბრდის მიზანს, შინაარსსა და განხორციელების მეთოდებს, თავად ალბრდის მიზანს კი წარმოადგენს ალსაზრდელის შეძლებისდაგვარად უკეთ მომზადება ცხოვრებისათვის. ნაშრომი დაყოფილია 4 წიგნად: სიცოცხლის პირველი წლის, საბავშვო ასაკის (2-12 წწ), სიყმაწვილისა (12-15 წწ) და ჭაბუკობის (15 წლიდან ქორწინებამდე) ხანებად. ამ ოთხწიგნეულს ერთვის მეხუთე წიგნიც გოგონების ალბრდის შესახებ, რომლებიც ავტორის შეხედულებით, ყმაწვილთაგან განსხვავებულად უნდა აღიზარდონ და უნდა მომზადდნენ სამაგალითო ცოლებად და დედებად, რისთვისაც სჭირდებათ კონკრეტულ ხელოვნებათა და დისციპლინათა ცოდნა. ბავშვების ალბრდა გადმოცემულია ბავშვის, ემილის ალბრდის ფონზე. რომანში აღწერილია მისი მიერ ხელობების დაუფლება, მისი სიყვარული სოფის მიმართ და ბედნიერი ქორწინება სატრფოსთან. ამასთან, არც ემილი და არც სოფი არ წარმოადგენენ ცოცხალი ადამიანების ჩანახატებს, არამედ მხატვრულ-ფილოსოფიურ განზოგადებას, პერსონიფიკირებულ წარმოდგენას ადამიანის შესახებ. იგივე შეიძლება ითქვას ემილის მასწავლებელზეც, რომელშიც ავტორმა საკუთარი თავი გამოსახა. რუსოს აზრით, ალბრდამ ადამიანს უნდა შთაუწეროს კაცთმოყვარეობის მაღალი გრძნობები და საზოგადოებას მისცეს სასარგებლო ადამიანი. ბავშვს თავიდანვე მეურვეობს ალმზრდელი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში აყალიბებს და წვრთნის მის ხასიათს. იგი ემილის არ აკარებს წიგნებს, რათა ბავშვი არ „გაირყვნას“. ის ამბობს: „ცხოვრება - აი, ხელობა, რაც მინდა ვასწავლო მას. მე მჭერა, ჩემი ხელიდან გამოსული, იგი არ გახდება არც მოსამართლე, არც ჭარისკაცი, არც მღვდელი...“

ხოლო მეორე მაგალითში მოცემულია, თუ როგორ შეიძლება დანერგოს მონაკვეთის პარაფრაზირება ისე, რომ აგვერიდებინა თავიდან პლაგიატის შემთხვევა.

ნიმუში 2:

ემილი ანუ ალბრდის შესახებ, ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის, ჟან-ჟაკ რუსოს ტექსტია. საკუთარ რომან-ტრაქტატში ავტორმა პირველად წარმოადგინა სისტემურად გაანალიზებული ალბრდის თეორია, რომელიც ითვალისწინებს პიროვნებად ჩამოყალიბების საფეხურებზე ბავშვის როგორც ფიზიკურ, ასევე მხედობრივ საკითხებს. ავტორი ნაწარმოებში გადმოსცემს ბუნებრივი განვითარების მიზანშეწონილობის, უფროსებსა და ბავშვებს შორის არსებული განსხვავებებისა და განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე ბავშვთა შინაგანი ცვლილებების სამ მნიშვნელოვან თემის. ზემოთ დასახელებული სამი თემისი კი განაპირობებს ალბრდის მიზანს, მეთოდებსა და თავად მის შინაარსს. ალბრდის მიზანია ალსაზრდელის უკეთ მომზადება ცხოვრებისათვის. ნაშრომი ოთხ წიგნად არის დაყოფილი და მოიცავს პროტაგონისტის ცხოვრების შემდეგ პერიოდებს: სიცოცხლის პირველი წლები, საბავშვო ასაკი (2-12 წელი), სიყმაწვილისა (12-15 წელი) და ჯაბუკობის (15 წლიდან ქორწინებამდე) წლებს. ჩამოთვლილ წიგნებს მოჰყვება მეხუთე წიგნიც, რომელშიც განხილულია გოგონების ალბრდის საკითხი. ავტორის მიხედვით, გოგონების ალბრდის მეთოდები უნდა განსხვავდებოდეს ბიჭების ალბრდისაგან, რადგან გოგონების ალბრდის მიზანი -სამაგალითო დედობა და ცოლობაა და, შესაბამისად, უნდა მოემზადონ ამისათვის. ბავშვების ალბრდის საკითხი ტექსტში ემილის მაგალითზეა ნაჩვენები, თუ როგორ ეუფლება იგი სხვადასხვა დისციპლინას, როგორ შეუყვარდება სოფი და ქორწინდება მასზე. საინტერესოა ის, რომ ემილისა და სოფის ვერ მივაკუთვნებთ რეალურ ადამიანებს ან პიროვნებებს, ისინი უფრო მეტად ადამიანის მხატვრულ-ფილოსოფიურ განზოგადებას წარმოადგენენ. მასწავლებლის პერსონაჟიც მხატვრულ-ფილოსოფიური განზოგადებაა, რომელშიც რუსომ საკუთარი თავი წარმოაჩინა. ავტორი თვლის, რომ ალბრდის დანიშნულება კაცთმოყვარე და ღირსეული ადამიანის ჩამოყალიბებაა. ემილის მასწავლებელი ოცი წლის განმავლობაში ამზადებს და უყალიბებს ბუნებას, ამიტომ ის არიდებს მოსწავლეს წიგნებს, მიზეზად კი ემილის შესაძლო გარყვნას ასახელებს. მთავარი, რისი სწავლებაც მასწავლებელს სურს, არის ცხოვრება (რუსო).

პირველ ტექსტში პარაფრაზი იმდენად ახლოა ორიგინალთან, რომ ძნელი გასარჩევია, რომელია პირველწყარო და რომელი - პარაფრაზირებული. ამ მაგალითის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჭიროა პარაფრაზის ცნების კარგად გააზრება, რათა სტუდენტებს შეეძლოთ, აარიდონ თავი პლაგიატის შემთხვევებს. პარაფრაზი არ არის წყაროდან ზოგიერთი წინადადების გადმოტანა ან ზოგიერთში სიტყვების გადანაცვლება. ამ შემთხვევაში იმის საშიშროებაც არის, რომ დაიკარგოს წყაროს არსებითი შინაარსი. მართებულია მისი გადმოცემა საკუთარი სიტყვებით ისე, რომ არ დაიკარგოს მთავარი აზრი და აუცილებელია სწორი დამოწმება, რაც გვაძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ

ტექსტი არის პარაფრაზირებული, ეკუთვნის კონკრეტულ ავტორს და არ არის საკუთარი იდეებისა და აზრების გადმოცემა.

მაშასადამე, პლაგიატის თავიდან ასაცილებლად არსებობს შემდეგი საშუალებები:

- წყაროების დამოწმება, მისი ზუსტი დასახელება;
- სწორი პარაფრაზი (Rasamond 2002,170);
- წყაროს მცირედი ნაწილის ციტატად გადმოცემა (იმ შემთხვევაში, თუკი ბევრია) და დანარჩენის პარაფრაზირება (Bouville 2008, 321);
- კონსპექტ-ბარათების შექმნა;
- კონტექსტის ჩანიშვნა (თურაბიანი 64-73);
- უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებში ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებების ჩატარება (Zangenehmadar 2017, 215);
- ლექტორების ხელშეწყობა და მათ მიერ სტუდენტების ინფორმირება (Rasamond 2002, 173);
- პლაგიატის ამომცნობი პროგრამების გამოყენება;
- არასაკმარისი პარაფრაზისას საჭიროა მეტი მუშაობა პარაფრაზის ცნების გააზრებასა და მის სწორ წარმართვასთან დაკავშირებით;
- სხვადასხვა პროგრამის გამოყენება, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს, ისწავლოს სწორი პარაფრაზისა და ციტატის მნიშვნელობა: Citation Machine, CrossRef, EasyBib და ა.შ.

გემოთ თქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მნიშვნელოვანია პლაგიატის არსისა და მისგან თავის დაღწევის საშუალებების გაანალიზება და გაცნობა სტუდენტებისათვის, ვინაიდან მხოლოდ დამსჯელი სანქციებით აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა შეუძლებელია, რაც როგორც Ersamus +-ის, ასევე ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც ცხადყო. ხშირად სტუდენტები გაუცნობიერებლად აღმოჩნდებიან „ინტელექტუალური ქურდების“ როლში და უნივერსიტეტის რეგულაციები პლაგიატის შემთხვევების დასტასთან დაკავშირებით გაუგებარი რჩება მათთვის. პარაფრაზირების, ციტატის გაფორმებისა და დამოწმების წესების დაცვით, სხვადასხვა ავტორთა იდეებისა და მოსაზრებების აღნიშვნით საკუთარ ტექსტში სტუდენტები ისწავლიან არა მარტო ორიგინალი ნაშრომის შექმნის გზებს, არამედ სხვათა ინტელექტუალური შრომის დაფასებასაც.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

კაჭარავა, ლია, ხათუნა მარწყვიშვილი და ლილი ხეჩუაშვილი. 2007. აკადემიური წერა დამწყებთათვის. რედ. მარინე ჩიტაშვილი და ლელა წიქარიშვილი. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა სერია;

რუსო, ჟან-ჟაკ. ემილი ანუ აღზრდის შესახებ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ruso.pdf> (26.02.2019);

ცაგარელი, ლევან. 2008. ინტერტექსტუალობა, როგორც ფიქციონალობის სიგნალი. სემიოტიკა N3. http://eprints.iliauni.edu.ge/91/1/library.exe_e%3Dd-01000-00---off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10---4-----4-0-0l--11-ka-50-0--20-help--100-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10%26a%3Dd%26c%3Dperiod%26cl%3DCL4.8%26d%3DHASH01d2ccadb18da5a7bdfec4bb.4.2 (28.06.2018);

Bouville, Mathieu. 2008. *Plagiarism: Words and Ideas. Science and Engineering Ethics* 14, pages 311-322. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2739082 (26.02.2019);

Haitch, Russel. 2016. *Stealing or Sharing? Cross-Cultural Issues of Plagiarism in an Open-Source Era. Teaching, Theology & Religion* 19 (3), Pages 264-275. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/teth.12337> (26.02.2019);

Li, Yongyan. 2013. Text-Based Plagiarism in Scientific Writing: What Chinese Supervisors Think About Copying and How to Reduce it in Students' Writing. *Science and Engineering Ethics* 19 (2), pages 569-583. <https://link.springer.com/article/10.1007/s11948-011-9342-7> (26.02.2019);

Rosamond, Ben. 2002. Plagiarism, Academic Norms and the Governance of the Profession. *Sage* 22 (3), pages 167-174. <https://journals.sagepub.com/doi/10.1111/1467-9256.00172> (26.02.2019);

Yahaghi, Javad, Salmia Bnt Beddu and Zakaria Che Muda. 2017. Plagiarism in Publications Using the Unpublished Raw Data of Archived Research. *Science and Engineering Ethics* 23 (2), pages 635-636. <https://philpapers.org/rec/YAHPIP> (26.02.2019);

Williams, Paul. 2015. Plagiarism, Palimpsest and Intertextuality. *New Writing: The International Journal for the Practice and Theory of Creative Writing* 12 (2), pages 169-180. <https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14790726.2015.1036887> (26.02.2019);

Zangenehmadar, Samaneh and Bee Hoon Tan. 2017. ESL undergraduates' patterns of plagiarism in academic essays based on print or Internet sources. *Pertanika Journal of Social Sciences & Humanities* 25 (1). pages 205-220. <http://psasir.upm.edu.my/id/eprint/51905/> (26.02.2019).


ხელახალი არანჟირება



არანჟირებული კლაგიატის ფსიქოლოგიური ფაქტორები

ჯერ კიდევ 1600 წლიდან, კლაგიატი მიიჩნევა კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სტუდენტებმა ბიბლიოთეკაში არსებული ჟურნალებიდან, წიგნებიდან თუ სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება-გამოყენება და მათი საკუთარ მოსაზრებებად მონათვლა. თუმცა, კლაგიატის პრობლემა განსაკუთრებით საგანგაშო მას შემდეგ გახდა, რაც ინტერნეტისა და ტექნოლოგიის მომხმარებელთა რიცხვი ერთიორად გაიზარდა და მაუსის⁵ ღილაკზე ხელის ერთი დაჭერით ინფორმაციის მარტივად მოპოვება-დამახსოვრების შესაძლებლობა გაჩნდა. კლაგიატის შემთხვევების სწრაფი ზრდა მხოლოდ ტექნოლოგიის განვითარებას არ გამოუწვევია. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია სხვა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებზეც, როგორიცაა ეთიკა, პირადი დამოკიდებულება კლაგიატთან, სასწავლო გარემო, დროის უქონლობის პრობლემა, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის მარტივად მიღწევის სურვილი. საყურადღებოა ისიც, რომ კლაგიატის დეფინიცია განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნებისა და მკვლევრების ნაშრომებშიც. ზოგიერთი მეცნიერი ან სახელმწიფო თავს იკავებს კლაგიატის ზუსტი განმარტებისგან. მაგალითად, ლიტვის რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში, ადმინისტრაციული დარღვევების კოდექსში ან თუნდაც, ისეთ სამართლებრივ დოკუმენტებში, რომლებიც უშუალოდ საავტორო უფლებებს ეხება, სრულებით არ გვხვდება კლაგიატის განსაზღვრებები (Sarlauskiene and Stabingis 2014). სწორედ ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება განაპირობებს კლაგიატის განსაზღვრების განსხვავებულ ვარიაციებსაც, რომელთა კომბინაციაც, საბოლოო ჯამში, ერთ განმარტებად ფორმულირდება: კლაგიატი, ეს არის სხვისი ნაშრომის, ციტატის თუ მოსაზრების მითვისება, ან ამ უკანასკნელის აკადემიურ ნაშრომში გამოყენება ავტორისა და წყაროს დასახელების გარეშე. კლაგიატი, როგორც სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში, საქართველოშიც, კერძოდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აქტუალური საკითხია. აღნიშნული პრობლემის სადემონსტრაციოდ ჩავატარეთ მცირე სახის კვლევა, სადაც მონაწილეობა მიიღო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 63-მა სტუდენტმა. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა კლაგიატის სიხშირისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა. შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

5 კომპიუტერთან მუშაობის პროცესში, კურსორის ნაცვლად გამოიყენება მანიპულატორი, რომელსაც ეწოდება მაუსი (თაგუნა).



კითხვარის საფუძველზე ასევე დადგინდა, რომ იმ 34 სტუდენტიდან, რომელთაც პლაგიატიზმს მიმართეს, ეს ქმედება მხოლოდ 19 სტუდენტს გამოუშკარავდა, ხოლო დანარჩენი 18 სტუდენტის შემთხვევაში პლაგიატი არც კი გამოვლენილა. აქ ჩნდება ლოგიკური შეკითხვა, ვის შეუძლია და ვინ არის პლაგიატის გამოვლენაზე პასუხისმგებელი? სპეციალური ამომცნობი პროგრამების გარეშე პლაგიატის გამოაშკარავება ხშირ შემთხვევაში ძალიან რთულია, იმდენად რამდენადაც, მისი უამრავი ფორმარსებობს. ჩვენი კვლევის განხილვის საგანია შერევიტი პლაგიატი, იგივე ხელახალი არანჟირება, რომლის დროსაც ხორციელდება სხვადასხვა, მრავალფეროვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული წყაროების პარაფრაზების შერევა. ვინაიდან, შერეული პლაგიატის შემთხვევაში ავტორი სხვის პარაფრაზირებულ წყაროებს ერთმანეთში მოხერხებულად ურევს, ციტირება ფაქტობრივად არ გვხვდება. უკეთესი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ ორი მაგალითი: ა) სტატიის ნაწყვეტი, რომელშიც გამოყენებულია სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მასალა და ყოველი პასაჟი დამოწმებულია აკადემიური სტილის შესაბამისად; ბ) სტატიის ავტორების მიერ შედგენილი ხელახალი არანჟირების მაგალითი, რომელშიც სხვა წყაროებიდან ამოღებული, წყაროს მიუთითებლად გამოყენებული ნაწყვეტები გამუქებული და ხაზგასმულია.

საბაბი:

„გველის-მჭამელისადმი“ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის დაუცხრომელ ინტერესს იჩენდა. სიტყვის ხელოვანნი და მკვლევარნი ერთნაირი გულმოდგინებით ცდილობდნენ განემარტათ ამ პოემის მაგისტრალური იდეა და მისი ცალკეული ნაწილები, რომელთა შორისაც, ბოგიერთის თვალსაზრისით, გარკვეული შეუსაბამობა არსებობდა და არსებობს, რადგან ვაჟას „გველის-მჭამელის“ მხატვრული ღირებულების დაფასებისას, ჩვეულებრივ, გამოდიან პოემის ძირითადი პრობლემიდან და არ ითვალისწინებენ ამათუიპოვეტურსენტენციას შორისაზრობრივურთიერთმიმართებებს (ჩხენკელი 1971, 39). თუმცა, აზრთა სხვადასხვაობა და მოსაზრებთა რადიკალურობა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ვაჟა-ფშაველა „გველის-მჭამელით“ ყველაზე ღრმად შეიჭრა ადამიანის სულიერი სამყაროს საიდუმლოებებში და გვიჩვენა იდუმალ სიბრძნესთან თანაზიარობის რთული ეტაპები (ონიანი 2011, 35), შეეცადა, ადამიანური

და გე-ადამიანური მოქმედების, ერთი შეხედვით შეუსაბამო არეალში, გამოეკვეთა ადამიანის ყოფიერების ტრაგიკულობაც და მარადიულობაც. სწორედ ამ მითოსური და შეუთავსებელი სამყაროს ცენტრშიც დგას მინდია, რომელიც თავიდან ბოლომდე საკუთარი შინაარსით იკვებება, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული ბუნებით საზრდოობს. ნათელია, რომ მწერლის ინტერესი ამ თხზულებაში გარეგნობებზე კი არ არის გადატანილი, არამედ მინდიას შინაგან, სულიერ ვითარებაზე (კიკნაძე 1957, 152) და წარმოადგენს ტრაგიკულ ბედს იმ ადამიანისას, ვინც ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან, ღმერთთან თანაზიარობის შინაგანად, ინტუიციურად მოპოვებულ უნარს კარგავს, ვისთვისაც უდიდესი ღირებულება ამ თანაზიარობისა თუ კავშირისა გეცნობის ან ღვთაებრივი ცოდნისგან „დაცარიელების“ შემდეგ ცნობიერდება (ჩხენკელი 1971, 37) და თავს იკლავს. მინდია თვითმკვლელობით სცემს პასუხს მის წინაშე დასმულ უძირრითადეს კითხვას: აქვს თუ არა უფლება სიცოცხლისა ადამიანს, რომელმაც თავის არსებას, თავისი არსებობის პრინციპს, თავის შესაქმნეს უღალატა და გახდა ბუნების მკვლელი (კაშია 1989, 52).

არანაწირობის კლასიკის ნიმუში:

„გველის-მჭამელისადმი“ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის დაუცხრომელ ინტერესს იჩენდა. სიტყვის ხელოვანნი და მკვლევარნი ერთნაირი გულმოდგინებით ცდილობდნენ განემარტათ ამ პოემის მაგისტრალური იდეა და მისი ცალკეული ნაწილები, რომელთა შორისაც, ზოგიერთის თვალსაზრისით, გარკვეული შეუსაბამობა არსებობდა და არსებობს, რადგან ვაჟას „გველის-მჭამელის“ მხატვრული ღირებულების დაფასებისას, ჩვეულებრივ, გამოდიან პოემის ძირითადი პრობლემიდან და არ ითვალისწინებენ ამა თუ იმ პოეტურ სენტენციას შორის ამრობრივ ურთიერთმიმართებებს. თუმცა, ამრთა სხვადასხვაობა და მოსაზრებთა რადიკალურობა გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან ვაჟა-ფშაველა „გველის-მჭამელით“ ყველაზე ღრმად შეიჭრა ადამიანის სულიერი სამყაროს საიდუმლოებებში და გვიჩვენა იდუმალ სიბრძნესთან თანაზიარობის რთული ეტაპები, შეეცადა, ადამიანური და გე-ადამიანური მოქმედების, ერთი შეხედვით შეუსაბამო არეალში, გამოეკვეთა ადამიანის ყოფიერების ტრაგიკულობაც და მარადიულობაც. სწორედ ამ მითოსური და შეუთავსებელი სამყაროს ცენტრშიც დგას მინდია, რომელიც თავიდან ბოლომდე საკუთარი შინაარსით იკვებება, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული ბუნებით საზრდოობს. ნათელია, რომ მწერლის ინტერესი ამ თხზულებაში გარეგნობებზე კი არ არის გადატანილი, არამედ მინდიას შინაგან, სულიერ ვითარებაზე და წარმოადგენს ტრაგიკულ ბედს იმ ადამიანისას, ვინც ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან, ღმერთთან თანაზიარობის შინაგანად, ინტუიციურად მოპოვებულ უნარს კარგავს, ვისთვისაც უდიდესი ღირებულება ამ თანაზიარობისა თუ კავშირისა გეცნობის ან ღვთაებრივი ცოდნისგან „დაცარიელების“ შემდეგ ცნობიერდება და თავს იკლავს. მინდია თვითმკვლელობით სცემს პასუხს მის წინაშე დასმულ უძირრითადეს კითხვას: აქვს თუ არა უფლება სიცოცხლისა ადამიანს, რომელმაც თავის არსებას, თავისი არსებობის პრინციპს, თავის შესაქმნეს უღალატა და გახდა ბუნების მკვლელი.

პირველ მაგალითში ჩანს, რომ სტატიაში ავტორს ყველა გამოყენებული წყარო დამოწმებული აქვს, შესაბამისად, მოცემული ნაწყვეტი არ წარმოადგენს პლაგიატს; მეორე მაგალითში კი, რომელიც ამავე სტატიის მიხედვით შედგენილი, არანაწილებელი პლაგიატის სიმულაციური მაგალითია, ჩანს, რომ პლაგიატის ავტორი იყენებს ხუთი სხვადასხვა ავტორის სტატიიდან ამონარიდების ერთობლიობას საკუთარი მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად და არ უთითებს ავტორს.

ხელახალი არანაწილების სტატისტიკის მიხედვით, თუკი 900 საშუალო და უმაღლესი განათლების ინსტრუქტორის კვლევას დავეყრდნობით, 1-10 ბალიან შკალაზე, შერეული პლაგიატი 5.6 სიხშირეზე ფიქსირდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხელახალი არანაწილება საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, მოსწავლეებსა და სტუდენტებში. სტუდენტები ხელახალი არანაწილების პლაგიატს მიმართავენ ხშირად და აქტიურად იყენებენ წინამორბედი სტუდენტების დავალებებსა და გამოცდილებას. შესანიშნავად კი ცდილობენ, რამდენიმე სტუდენტის ნაშრომი გააერთიანონ პარაფრაზირებული ამონარიდებით და ამით თავი აარიდონ პლაგიატს. არანაწილებელი პლაგიატი, რაც უფრო მაღალკვალიფიციურად არის შესრულებული ენობრივ დონეზე, მით უფრო რთული ამოსაცნობია, ავტორისგან კი მოითხოვს ერთდროულად რამდენიმე ნაშრომის გააზრებასა და შეჯერებას.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომის გაუქმების შესახებ, რადგან პლაგიატი არის სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, გაიგივებულია „ქურდობასთან“ და ისტება, მაინც მიმართავენ და ირჩევენ პლაგიატის გზას „ვერ აღმოჩენის“ იმედით და არა - დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ მუშაობას. ამდენად, საინტერესოდ მიგვაჩნია, აღნიშნული ქმედების ფსიქოლოგიურ კონტექსტში განხილვა და ანალოგიების ძიება მსგავსი ქმედებებისა და დამოკიდებულებების ანალიზის საფუძველზე.

„ინტელექტუალურ ქურდობას“ თუ შევადარებთ ბავშვის მიერ სხვისი ნივთის მისაკუთრების მცდელობას, ცხადი გახდება, რომ ამ შემთხვევაში ბავშვს არ შეუძლია ერთმანეთისგან გამიჯნოს „თავისი“ და „სხვისი“, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ იგი ამ საკითხთან დაკავშირებით არ ფლობს საკმარის ცოდნას და ჩამოყალიბებული არ აქვს სუპერ-ეგო, მას ეს საქციელი „ეპატიება“ (ფროიდი 2018, 69). რაც შეეხება სტუდენტს, მის შემთხვევაში ვითარება რადიკალურად განსხვავებულია, რადგან ეს უკანასკნელი კარგად იაზრებს, რომ სხვისი ნაშრომის, ციტატის, ან მოსაზრების მითვისება მორალურად და ეთიკურად გაუმართლებელია. შესაბამისად, თუკი იგი მაინც მიმართავს პლაგიატს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გააზრებულ ინტელექტუალურ ქურდობასთან. ჩნდება კითხვა, რატომ მიმართავს სტუდენტი პლაგიატს? ფაქტია, რომ ინტელექტუალური ქურდობა არის სწრაფი, მარტივი და იაფი საშუალება. თუ შევადარებთ ქურდობას ძალმომრეობით დანაშაულს, აღმოჩნდება, რომ ქურდები იმპულსურები, სოციალურად მეტად ადაპტირებულები არიან და ნაკლები აფექტის სიმტკიცე აქვთ, ამასთან, არიან ლაბილურები, სოციალური მდგომარეობის მიმართაც იშვიათად უჩინდებან უკმაყოფილება. სხვა დამნაშავეებისგან განსხვავებით ქურდები სწორად ერკვევიან სოციალურ ნორმებსა და მოთხოვნილებებში, რომელიც კავშირშია მათ შინაგან მიუღებლობასთან. ეს უკანასკნელნი ასევე გულღიასობითაც გამოირჩევიან და არ აქვთ ბრალის გრძნობა (წულაია 2005, 447). ქურდობამდე ან მატყუარობამდე ინდივიდის მისვლის

ერთ-ერთი მიზეზია ქცევათა აშლილობა, რომელთანაც საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც სხვა ადამიანთა უფლებები ირღვევა ან ილახება კონკრეტული ასაკისთვის დამახასიათებელი ნორმები. ქცევათა აშლილობას კი მრავალი ფაქტორი განაპირობებს, როგორებიცაა: გარე ფაქტორები და ბიოლოგიური ფაქტორები. დამნაშავეობის სინდრომს ახასიათებს მოჭარბებული აგრესია, მიდრეკილება ტყუილების თქმისადმი, პასუხისმგებლობის საერთოდ არ არსებობა (გერგაული 2016, 13). ქურდობამდე ადამიანი შეიძლება მიიყვანოს ბიოლოგიურმა ფაქტორებმა, როგორიცაა თავის ტვინის ადრეული ორგანული დაზიანება, რომელსაც უკვე კლექტომანიამდე მივყავართ, კლექტომანია კი არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანი იმპულსურად მოქმედებს. ამგვარ ქცევას განაპირობებს სუბიექტის მოთხოვნილება, ხოლო გრძნობა ბიძგს აძლევს მომენტალურ გრძნობებს და ღირებულებას. გრძნობის როგორც მოტივის ფუნქციაც აქედან მომდინარეობს. ამ შემთხვევაში, ინდივიდის ქცევას ძირითადად მისი მოთხოვნილებები განსაზღვრავენ, თუმცა გვაქვს ვითარება, როდესაც ქცევა მოთხოვნილების იმპულსით არ არის განპირობებული და ამგვარი იმპულსის საპირისპიროდ მიმდინარეობს (ჩხარტიშვილი 1958, 163).

ამრიგად, შესაძლებელი პლაგიატის გამოყენების რამდენიმე მიზეზი განვიხილოთ: სტრესი, ძლიერი სამუშაო დატვირთვა, დროის არასწორი განაწილება, მასალაში გაურკვევლობა, სიზარმაცე და რწმენა იმისა, რომ პლაგიატის დახმარებით სტუდენტი სწრაფად შეძლებს დავალების დასრულებას. გარდა ამისა, ადამიანის ერთ-ერთი მიზანი, თუ რატომ მიმართავს პლაგიატს, არის იმის ფიქრი, რომ სწორედ პლაგიატის დახმარებით შეძლებს დავალების სრულყოფილად შესრულებას, ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება მის კარგ აკადემიურ მოსწრებაზე (Bailey 2005). ერთი მხრივ, პლაგიატი შეიძლება იყოს გაცნობიერებული აქტი, როდესაც ადამიანი განზრახულად წარადგენს სხვის იდეას თავისად. მეორე მხრივ, პლაგიატი შეიძლება იყოს უნებლიეც, თუმცა ხელახალი არანჟირების დროს ეს შემთხვევა ნაკლებად გვხვდება, რადგან ამ დროს ადამიანი აკეთებს სხვადასხვა ტექსტის პარაფრაზების შერწყმას და უმეტესად განზრახულად არ დაიმოწმებს სხვის აზრს (Emily A 2012, 585). ქცევას აქვს თავისი ბუნებრივი შედეგი, რომელიც აქცენტს აკეთებს ობიექტურ ღირებულებებზე, კარგსა და ცუდზე. ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს შესაძლებელია სრულიადაც არ მიეკუთვნებოდეს ქცევის ამგვარი რეზულტატი და იგი იყოს სუბიექტის მხედველობის არისგან მოშორებით. თუმცა, არსებობს ვითარება, როდესაც ქცევათა ბუნებრივი შედეგი, რომელიც უარყოფითი ღირებულების მატარებელია, სუბიექტს წინასწარვე აქვს გააზრებული, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც ახორციელებს უარყოფითი შედეგების მომტან ქმედებებს. ამის შესანიშნავი მაგალითია ალკოჰოლურ სასმელზე დამოკიდებული ადამიანი, რომელიც გარკვეული შედეგის მისაღებად სვამს და მის მიერ განხორციელებულ ქცევას სწორედ ისეთი შედეგი მოსდევს, რომლისთვისაც იგი ამას აკეთებს, საუბარია სიამოვნების მიღებასა ან შფოთვის დათრგუნვაზე. გარდა თრობის დადებითი მხარეებისა, ალკოჰოლიკი კარგად აანალიზებს იმ უარყოფით შედეგებსაც, რომლებსაც დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმლის მიღება იწვევს, თუმცა იგი მაინც სვამს.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ პლაგიატი, ანუ „სამეცნიერო დანაშაულის“ (აკადემიური არაკეთილსინდისიერების) ერთ-ერთი ფორმა, ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში და ვინაიდან „პლაგიატი თავისი ნებით არ აპირებს წასვლას“ (Carrol and Appleton 2001, 38), მის დასაძლევად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი პრევენცია,

შესაბამისი სამუშაოების ჩატარება განათლების თითოეულ ეტაპზე და ამასთან, სწორი რეაგირების პოლიტიკის ჩამოყალიბება. საინტერესოა, ამ დროისათვის რა ეტაპზეა და როგორია სხვადასხვა ქვეყნების მიდგომა პლაგიატის მიმართ. ამ მიზნით, ინტერნეტში მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევეცადეთ შეგვეჯერებინა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და შეხედულებები პლაგიატთან დაკავშირებით. მაგალითად, ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებული განხილვის თემა სამხრეთ აზიელი სტუდენტების პლაგიატთან დამოკიდებულების საკითხი გახდა იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ რეგიონის სტუდენტებს განსხვავებული კონცეფცია აქვთ ჩამოყალიბებული საავტორო უფლებებთან დაკავშირებით და სხვისი ნამუშევრის გამოყენებას მორალურ დარღვევად არ აღიქვამენ. ამგვარი კულტურული არგუმენტის ძირითად პრინციპად ის მოიაზრება, რომ სამხრეთ აზიაში ძალიან მცირე სახით, ფაქტობრივად არ არსებობს საავტორო უფლებების (სიტყვის მფლობელების) კონცეფცია, სიტყვა არავის მფლობელობაშია, იგი ყველას ერთნაირად ეკუთვნის. შესაბამისად, სტუდენტები არ ერიდებიან ერთმანეთისგან მოსაზრებების დაკოპირება-გამოყენებას, მეტიც, ისინი ფიქრობენ, რომ მათი სასაუბრო ენა მათვე ეკუთვნით და ამის წყალობით აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია. ამას გარდა, ზოგიერთი სამხრეთ აზიელისთვის სხვისი ნამუშევრის გამოყენება, არათუ ეთიკურ დარღვევად, არამედ პატივისცემის დემონსტრირებად აღიქმება (Wheeler 2009). სამხრეთ აზიის სახელმწიფოებისგან განსხვავებით ევროპის უმეტეს ქვეყნებში პლაგიატი ერთხმად მიიჩნევა არაკეთილსინდისიერი ქცევის ერთ-ერთ გამოვლინებად, სწორედ ამიტომ ევროპული საზოგადოება განსაკუთრებულად არის ორიენტირებული პლაგიატის პრევენციაზე, თუმცა რასაკვირველია, თითოეული ქვეყანა პლაგიატის აღმოფხვრის განსხვავებულ მეთოდებს მიმართავს და შესაბამისად, მათი გამოცდილებებიც სხვადასხვაგვარია. დიდ ბრიტანეთში არსებობს ე.წ. „ხარისხის კოდექსი“, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ დონეზე ხარისხის უზრუნველყოფაზე, ამასთან, ამ კონკრეტულ სააგენტოს ჩამოყალიბებული აქვს მკაფიო მიდგომა პლაგიატთან დაკავშირებით, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იხვეწება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პლაგიატი კვლავ რჩება აღმოსავლელი პრობლემების სიაში, გაერთიანებულ სამეფოში გარდა „ხარისხის კოდექსისა“ პლაგიატთან ბრძოლის დამოუკიდებელი ორგანიზაციებიც არსებობს (Holt 2012).

აშშ-ის გამოცდილების მიხედვით, პლაგიატის დასაძლევად აუცილებელია სამი ძირითადი ბერკეტის შექმნა, ესენია: პლაგიატის პრევენცია, მისი იდენტიფიცირება და საბოლოოდ პლაგიატზე რეაგირება. პირველი ეტაპი - პრევენცია გულისხმობს საწყის ეტაპზე პლაგიატის მკაფიო დეფინიციის ჩამოყალიბებას და მისი სახეების მკაფიოდ განსაზღვრას. ამასთან, თითოეულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, შემფასებელი პირები ხშირად უნდა მონაწილეობდნენ შესაბამის ტრენინგებში, რათა მათაც გაიღრმავონ ცოდნა პლაგიატის საკითხებში. რაც შეეხება იდენტიფიცირებას, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეფასებისას შემფასებელი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობს. პლაგიატის დაძლევის პოლიტიკის მესამე ეტაპი გულისხმობს რეაგირებას, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს სამართლიანი და მკაფიო, გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ რეაგირებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, წარმოებდეს რეაგირების

პროცედურების მუდმივი მონიტორინგი და შეიქმნას შედეგების მიხედვით ყოველწლიური ანგარიში, რომელიც შესაბამის ორგანოებს გადაეცემათ (Holt 2012).

მიუხედავად, პლაგიატის აღმოსაფხვრელად შემუშავებული ეფექტური გზებისა და განხორციელებული ღონისძიებებისა, პლაგიატი ისევ რჩება პრობლემად, რაც უბიძგებს შესაბამისი სფეროს მკვლევრებს სამომავლოდ ჩასატარებელი კვლევებისა და პრევენციის გზების დასახვისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

გერგაული, გიორგი. 2016. მოზარდთა ანთისოციალური ქცევის სოციალურ- ფსიქოლოგიური ფაქტორები და მათი დაძლევის გზები. დის., საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/155519/1/Disertacia.pdf> (26.02.2019);

ლობჯანიძე, გივი. 2010. ორგანიზებული დანაშაული და ხელისუფლება კანონიერი ქურდები. რედ. ჯამლეთ ბაბილაშვილი. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2017. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198> (03.07.2018);

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/publishers/foreign/index.php?do=view&id=12328> (26.02.2019);

ფროიდი, ზიგმუნდ. 2015. კულტურით უკმაყოფილება. წიგნში შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 3. მთარგმნ. ანა პეტრიაშვილი. 47-71. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018);

წულაია, ბაურ. 2005. კრიმინოლოგია. თბილისი: ინტელექტი;

Bailey, Jonathan. 2017. *The Top 10 Plagiarism Stories of 2016*. <http://www.ithenticate.com/plagiarism-detection-blog/the-top-10-plagiarism-stories-of-2016#.W0HtBjz4mM-> (05.06.2018);

Bailey, Jonathan. 2005. *The Psychology of Plagiarism*. <https://www.plagiarismtoday.com/2005/09/22/the-psychology-of-plagiarism/> (07.06.2018);

Debnath, Col Jyotindu. 2016. *Plagiarism: A silent epidemic in scientific writing – Reasons, recognition and remedies*. Pages 164-167. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0377123716300016> (05.06.2018);

Holt, Emily A. 2012. *Education Improves Plagiarism Detection by Biology Undergraduates*. Oxford University Press on behalf of the American Institute of

Biological Sciences. <https://ezproxy.iliauni.edu.ge:2111/stable/10.1525/>

Holt, A Emily. 2012. *Education improves plagiarism detection by biology undergraduates*. Pages 585-592. [https://ezproxy.iliauni.edu.ge:2111/stable/pdf/10.1525/bio.2012.62.6.9.pdf?refreqid=excelsior%3Ac496714c38b9f65530d962f02d6f6813\(07.06.2018\);](https://ezproxy.iliauni.edu.ge:2111/stable/pdf/10.1525/bio.2012.62.6.9.pdf?refreqid=excelsior%3Ac496714c38b9f65530d962f02d6f6813(07.06.2018);)

Sarlauskiene, Lina and Linas Stabingis. 2014. *Understanding of Plagiarism by the Students in HEIs of Lithuania*. Pages 638-646. [https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042813055481\(04.06.2018\);](https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042813055481(04.06.2018);)

Wan ZahWanAli, Habsah Ismail and Tan TienCheat. 2012. *Plagiarism: To What Extent it is Understood?*. Pages 604-611. [https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042812037688\(02.06.2018\);](https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042812037688(02.06.2018);)

Wheeler, Greg. 2009. *Plagiarism in the Japanese universities: Truly a cultural matter?*. Pages 17-29. [https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1060374308000520\(02.06.2018\);](https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1060374308000520(02.06.2018);)

Wheeler, Greg. 2014. *Culture of minimal influence: A study of Japanese university students' attitudes toward plagiarism*. [https://www.ojs.unisa.edu.au/index.php/IJEl/article/view/1006/685\(02.06.2018\).](https://www.ojs.unisa.edu.au/index.php/IJEl/article/view/1006/685(02.06.2018).)

გადამუშავება



პლაგიატი საკმაოდ ფართო ცნებაა და აკადემიურ ნაშრომში გამოვლენის რამდენიმე კონკრეტული ფორმა აქვს. სანამ ამ უკანასკნელს დეტალურად განვიხილავდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ პლაგიატის თემა აქტუალურია არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისა და, ზოგადად, აკადემიური სივრცისთვის, არამედ ისეთი სფეროებისთვისაც, როგორებიცაა მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, ჟურნალისტიკა და ა.შ. ჯონ მაქსველ ჰამილტონი და ჯორჯ კრიმსკი თავიანთ წიგნში HOLD THE PRESS. THE INSIDE STORY ON NEWSPAPERS⁶, აცალიბებენ ჟურნალისტიკის ე.წ. „10 მცნებას“, სადაც ჩაწერილია სპეციალური წესები, როგორ არ უნდა მოიქცეს ამ სფეროში მოღვაწე პიროვნება და რა ეკრძალება მას. ამ მცნებათაგან ერთ-ერთი სწორედ პლაგიატს შეეხება და იგი წარმოდგენილია როგორც სხვისი აზრების მითვისება (ჰამილტონი და კრიმსკი 2004). პლაგიატის ერთ-ერთ ტიპს, რომელსაც წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ, ეწოდება გადამუშავება. მას მსოფლიო აკადემიურ სივრცეებში განმარტავენ ამგვარად: „ნაშრომი, რომელშიც ავტორის წინა ნაშრომიდან დიდი ნაწილია გამოყენებული ციტირების გარეშე“⁷. გადამუშავება პლაგიატის ისეთი ფორმაა, რომელსაც უნებლიე პლაგიატსაც უწოდებენ, რადგან ახალბედა მკვლევრებსა თუ მეცნიერებს ხშირად არ აქვთ სწორი და დეტალური ინფორმაცია პლაგიატის, უფრო კონკრეტულად კი, თვითპლაგიატის შესახებ. ჰგონიათ, რომ პლაგიატად ითვლება მხოლოდ სხვისი ნაშრომის მითითების გარეშე გამოყენება და მითვისება. თუმცა, პლაგიატად ჩაითვლება ისეთი ტიპის ნაშრომიც, რომელშიც ავტორს თავისი წინა ნაშრომებიდან აქვს გარკვეული ნაწილები გადმოტანილი ციტირების და შესაბამისი მითითების გარეშე.

აღნიშნული თემის დეტალური ანალიზისთვის გამოვიყენებთ რამდენიმე წყაროს. მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურიდან, ტერმინების განმარტებისთვის და პლაგიატის ზუსტი და მკაფიო გაგებისთვის მნიშვნელოვანი წიგნი გახლავთ ნინო ჩუბინიძის რედაქტორობით გამოცემული სახელმძღვანელო - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. აგრეთვე, პლაგიატის შემთხვევების უკეთ გასაანალიზებლად გამოვიყენებთ სამხრეთ კაროლინის სამხედრო კოლეჯის citadel-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას - Examples of Plagiarism from Turnitin.com⁸. და ბოლოს, კონკრეტული მაგალითების საჩვენებლად გამოვიყენებთ მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომს - ქალთა უფლებების დაცვა.

თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის შედეგებს პლაგიატის მიმართულებით, აღმოვაჩენთ, რომ პლაგიატის ტიპების გამოვლენის კონკრეტული შემთხვევებისა და აგრეთვე - პლაგიატის

6 ჩაეჭიდეთ პრესას - ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე. თარგმანი ჩვენია;

7 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018);

8 Turnitin.com-ის პლაგიატის მაგალითები. თარგმანი ჩვენია.

ტიპების გამოყენების სიხშირის მარჯვენა მონაცემები საგანგაშოა⁹, შესაბამისად, გამართლებულია მოსაზრება, რომ პლაგიატის შემთხვევები საკმაოდ ხშირია აკადემიურ და არა მხოლოდ აკადემიურ სივრცეში. გამოყენების სიხშირის მხრივ, პლაგიატის ერთ-ერთი ტიპი - გადამუშავება, რომელიც წინამდებარე სტატიის ძირითადი საკვლევი საკითხია, საკმაოდ პოპულარულია და თუ პლაგიატის ტიპების სპეციალურ შკალაზე ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტიპი 9.5 სიხშირეზეა განთავსებული, გადამუშავება 5.5 სიხშირეს იკავებს¹⁰. ეს იმას ნიშნავს, რომ გადამუშავების ტიპის პლაგიატს აკადემიურ სივრცეში ხშირად მიმართავენ, უნებლიეთ თუ მიზანმიმართულად. მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ გადამუშავების კონკრეტული მაგალითი. პირველ რიგში, წარმოგიდგენთ სტუდენტის თემას (სურათი 1)¹¹, რომელიც დაიწერა კურსის - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში - ფარგლებში. აღნიშნული თემა სტუდენტმა შეასრულა მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომის ქალთა უფლებების დაცვა მიხედვით:

სურათი 1: სტუდენტის ორიგინალი (თავდაპირველი) ნამუშევარი

კურსი: შესავალი თანამედროვე აზროვნებაში

დავალების თემა: ქალთა აღზრდის მეთოდების ანალიზი მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომის - ქალთა უფლებების დაცვა - მიხედვით

მერი უოლსტონკრაფტის ტექსტი იწყება XVIII საუკუნის სამყაროში ქალისა და მამაკაცის მდგომარეობის აღწერით. ავტორი აკრიტიკებს ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებს ქალის აღზრდის შესახებ, რომელიც გულისხმობს, რომ ქალი არის გაჩენილი მხოლოდ იმისთვის, რომ ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს თავის ქმარს, იყოს მისთვის მოსიყვარულე ცოლი და აგრეთვე შეითავსოს დედის ფუნქციები. ამ აზრის მიხედვით, გამოდის, რომ ქალი მხოლოდ მამაკაცის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო და მას არ გააჩნია სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია გარდა ორი როლისა - ცოლი და დედა.

უოლსტონკრაფტისთვის ქალების შესახებ არსებული, ზემოთ ხსენებული მოსაზრება სრულიად მიუღებელია. იგი თვლის, რომ ქალს ბევრად მრავალფეროვანი ფუნქციები აქვს, ვიდრე ეს ტრადიციულად მიიჩნევა. ამ ფუნქციების განსავითარებლად კი აუცილებელია, მამაკაცის მსგავსად, ქალიც აღიზარდოს მეთოდებით, რომლებიც მას გონებრივად და ფიზიკურად განავითარებს, გაათავსებს მამაკაცთან და ცნება - *სუსტი სქესი* თავის ღირებულებას და მნიშვნელობას სრულად დაკარგავს.

9 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018); <http://www.citadel.edu/root/images/plagiarism/examples-from-turnitin.pdf> (01.06.2018);

10 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018);

11 სურათზე ჩანს ნაშრომის სათაური, ნაშრომის შესავალი ნაწილი და ის, რომ ტექსტი დაიწერა კურსისთვის - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში.

ახლა განვიხილოთ ამავე სტუდენტის ზემოთ ხსენებული თემის გადამუშავებული ვერსია (სურათი 2):

სურათი 2: სტუდენტის გადამუშავებული ნამუშევარი (პლაგიატი)

კურსი: აკადემიური მუშაობის ტექნიკები

საშინაო ნაშრომი: აღზრდის პრობლემები და მათი გავლენა ქალთა უფლებებზე, მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომის - ქალთა უფლებების დაცვა - მიხედვით

მერი უოლსტონკრაფტის ტექსტი იწყება XVIII საუკუნის სამყაროში, აღზრდის მეთოდების კუთხით, ქალისა და მამაკაცის მდგომარეობის აღწერით. ავტორი აკრიტიკებს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ჟან-ჟაკ რუსოს შეხედულებებს ქალის აღზრდის შესახებ, რომელიც გულისხმობს, რომ ქალი არის გაჩენილი მხოლოდ იმისთვის, რომ ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს თავის ქმარს, იყოს მისთვის მოსიყვარულე ცოლი და აგრეთვე შეითავსოს დედის ფუნქციები. ამ აზრის მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალი მხოლოდ მამაკაცის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არის საჭირო და მას არ გააჩნია სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია გარდა ორი როლისა - ცოლი და დედა.

თუ ნაშრომს - ქალთა უფლებების დაცვა საბოლოოდ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ უოლსტონკრაფტისთვის ქალების შესახებ არსებული, ზემოთ ხსენებული მოსაზრება სრულიად მიუღებელია. იგი თვლის, რომ ქალს ბევრად მრავალფეროვანი ფუნქციები აქვს, ვიდრე ეს ტრადიციულად მიიჩნევა. ამ ფუნქციების განსავითარებლად კი აუცილებელია, მამაკაცის მსგავსად, ქალიც აღიზარდოს მეთოდებით, რომლებიც მას გონებრივად და ფიზიკურად განავითარებს, გაათანაბრებს მამაკაცთან და ცნება - სუსტი სქესი თავის ღირებულებას და მნიშვნელობას სრულად დაკარგავს.

სურათზე (სურათი 2) ყვითლად მონიშნული პასაჟები მკაფიოდ აჩვენებს, რომ სტუდენტმა კურსისთვის - აკადემიური მუშაობის ტექნიკები - გადანიშნული გამოცემებიდან თავისი ძველი ნაშრომი კურსიდან - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, ახალ ნაშრომში, მცირე ცვლილებებით დააკოპირა საკმაოდ მობრძდილი პასაჟები ისე, რომ წყარო არ მიუთითა, turnitin-ის პროგრამამ კი ეს მსგავსება დაინახა, ხოლო მასწავლებელმა დავალება პლაგიატად ჩათვალა.

როგორ უნდა მოქცეულიყო სტუდენტი, რომ თავიდან აერიდებინა თვითპლაგიატი, ანუ საკუთარი ტექსტის პლაგიატი? ქვემოთ მოცემულ სურათზე (სურათი 3) იხილეთ მაგალითი, როგორაა შესაძლებელი ადრე შექმნილი ნაშრომების გამოყენება ახალ ნაშრომში წყაროს დამოწმებით.

კურსი: აკადემიური მუშაობის ტექნიკები

საშინაო ნაშრომი: აღზრდის პრობლემები და მათი გავლენა ქალთა უფლებებზე, მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომის - ქალთა უფლებების დაცვა - მიხედვით

მერი უოლსტონკრაფტის ერთერთი ცნობილი ტექსტი - *ქალთა უფლებების დაცვა* - და ამ ტექსტთან დაკავშირებული პრობლემატიკა ადრეც გამხდარა ჩემი კვლევის ძირითადი ობიექტი. საწყის ეტაპზე მაინტერესებდა ამ ტექსტის მიხედვით ქალთა აღზრდის მეთოდების ანალიზი. ტექსტის სიღრმისეულად შესწავლის შედეგად, აღმოჩნდა, რომ ქალის ფუნქცია მხოლოდ მზრუნველი დედისა და მოსიყვარულე ცოლის როლით არ შემოიფარგლება და, ამის საფუძველზე, XVIII საუკუნეში ჟან-ჟაკ რუსოს მიერ ჩამოყალიბებული თეორიები მერი უოლსტონკრაფტმა სასტიკად გააკრიტიკა. მან გაბედა და ხმამაღლა გამოაცხადა, რომ ქალს მრავალი ფუნქცია აქვს და ამ ფუნქციების განსაზღვრისთვის და დაკანონებისთვის აუცილებელია მდებარეობითი სქესის წარმომადგენლების აღზრდა-განვითარება ფიზიკური და გონებრივი კუთხით, მამაკაცების მსგავსად¹.

¹ მოცემული ინფორმაცია გადამუშავებულია, წარმოდგენს რეზიუმეს და ეფუძნება ავტორის ერთერთ წინა ნამუშევარს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შემდეგი თემა: *ქალთა აღზრდის მეთოდების ანალიზი მერი უოლსტონკრაფტის ნაშრომის - ქალთა უფლებების დაცვა - მიხედვით*.

სურათზე ჩანს, რომ სტუდენტმა არათუ გამოიყენა თავისი ძველი თემიდან სასურველი ნაწილები ახალი თემის წერისას, არამედ ყოველი დაკოპირებული პასაჟი დაამოწმა სქოლიოში, შენიშვნის სახით. ამ გზით, მან თავიდან აირიდა პლაგიატი და კეთილსინდისიერად შეასრულა დავალება.

პლაგიატის გამოვლენის საფრთხე დიდია, თუმცა, თუ საქმე გვაქვს უნებლიე პლაგიატთან, საჭიროა სიღრმისეული ინფორმაციის მიღება, რათა მარტივად ავირიდოთ თავიდან პლაგიატი, კერძოდ, გადამუშავება, ანუ თვითპლაგიატი. ამისათვის საკმარისია რამდენიმე მარტივი წესის გათვალისწინება:

- ციტირება;
- პარაფრაზირება;
- რეზიუმირება.

აღნიშნული ტექნიკების გამოყენებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი (ჩუბინიძე 2011).

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან პოლ სარტრი თავის ნაშრომში - *ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი* ოსტატურად იცავს თავს პლაგიატისგან. მართალია, თავის ნამუშევარს იგი არ იმონებს, თუმცა ტექსტში იხსენიებს დანიელ ფილოსოფოსს - სიონერ კირკეგორს და მის მაგალითს

აბრაამის შესახებ (სარტრი 2006). სარტრი გარკვევით მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული მაგალითი კირკეგორს ეკუთვნის, ამით კი თავიდან ირიდებს ლიტერატურული პლაგიატის საფრთხეს.

ეს და სხვა მრავალი მაგალითი არსებობს იმის საჩვენებლად, რამდენად კეთილსინდისიერად ეკიდებიან პლაგიატის საკითხს მეცნიერები თუ ლიტერატორები, თუმცა, მეორე მხრივ, საკმაოდ მძიმე სურათი გვაქვს პლაგიატის ხშირად გამოვლენის კუთხით. ამ მოცემულობას განამტკიცებს თომას ელიოტის ერთ-ერთი ცნობილი ფრაზა: „უმნიშვარი პოეტები ბაძავენ, მომნიშვებული პოეტები კი- იპარავენ“ (ელიოტი 2010). საქართველოში არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს პლაგიატის შემთხვევებზე უნივერსიტეტების მხრიდან ადექვატურ რეაგირებას, სამოქმედო გეგმას და აღნიშნული შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს, თუმცა, არსებული სურათის მიხედვით, პლაგიატის აღმოჩენი სისტემა დღეისთვის 73 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ 3 უნივერსიტეტს აქვს (ბაქრაძე 2016, 32). ამის მიუხედავად, ვთვლით, რომ პლაგიატთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური მეთოდი არის ყოველ ინდივიდში იმის გაცნობიერება, რომ პლაგიატი მორალურად გაუმართლებელი ქმედებაა. ის დამაზიანებელია საზოგადოებისთვის, რადგან ადამიანები პატივს არ სცემენ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას და სხვისი ნაშრომის მითვისება და საკუთრად გასაღება ჩვეულებრივი მოვლენაა. მარკ ტვენი ამბობდა: „ადამი ილბლიანი იყო. ზუსტად იცოდა, რომ სხვის ხუმრობებს არ იმეორებდა“ (ტვენი 2011, 73). მართლაც, ადამიანები ბედნიერები არიან იმ საზოგადოებაში, სადაც ერთმანეთის შრომასა და საკუთრებას ალიარებენ და პატივს სცემენ. პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები კი სწორედ ამგვარი საზოგადოების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

სარტრი, ჟან-პოლ. 2006. ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმია. მთარგმნ. ნატო მთივლიშვილი. თბილისი: ჯეოპრინტი;

უოლსტონკრაფტი, მერი. 2017. ქალთა უფლებების დაცვა. წიგნში შესავალი თანამედროვე ამროვნებაში 1. მთარგმნ. თამარ ცხადაძე. 243-274. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018);

ჰამილტონი, ჯონ მაქსველ და ჯორჯ კრიმსკი. 2004. ჩაეჭიდეთ პრესას: ამბავი საგაზეთო ცხოვრებაზე. მთარგმნ. ნოდარ მანჩხაშვილი. თბილისი: საქ. საზ. საქმეთა ინ-ტი. <http://opac.iliauni.edu.ge/eg/opac/record/26960> (7.07.2018);

Citadel. *Examples of Plagiarism from Turnitin.com*. <http://www.citadel.edu/root/images/plagiarism/examples-from-turnitin.pdf> (02.07.2018).

ჰიბრიდი



„ნაშრომი, რომელშიც იდეალურად ციტირებული წყაროებია კომბინირებული ციტირების გარეშე გადმოწერილ მონაკვეთებთან ერთად“¹² - ასე განიმარტება პლაგიატის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც კვლევების მიხედვით, პლაგიატის ტიპების სპეციალურ შკალაზე 0.5 სიხშირეზეა განთავსებული. თუ აღნიშნულ შკალაზე პლაგიატის სხვა ტიპების განლაგებას დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ ჰიბრიდი პლაგიატის ის ტიპია, რომელიც გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ყველაზე იშვიათი მოვლენაა მსოფლიო აკადემიურ სივრცეებში.

აღნიშნული მონაცემები კარგად გამოკვეთს პლაგიატის, კერძოდ კი, ჰიბრიდული პლაგიატის თემის აქტუალობას. კონკრეტული მაგალითების დეტალურად განხილვისას კი, მკითხველი გააცნობიერებს, რომ ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან ვხვდებით რიგ შემთხვევებს, როცა უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს არათუ შესაბამისი კურსები თუ ტრენინგები, რომლებიც სტუდენტებში პლაგიატის თემასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების გარანტი იქნებოდა, არამედ - აკადემიურ სივრცეებში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი შესაბამისი სისტემები, რომლებიც მსგავსების აღმოჩენის და პლაგიატის დადგენის პროცესს გააიოლებდა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართულ აკადემიურ სივრცეში ნამდვილად პირველია, რომელმაც 2014 წლიდან აქტიურად დაიწყო Turnitin-ის სისტემის გამოყენება. სისტემა მარტივად და მალალი ხარისხით ახერხებს მსგავსების დადგენას სტუდენტის ნამუშევარსა და ორიგინალ ტექსტს შორის. სპეციალისტის ანალიზის შედეგად კი, იწერება დასკვნა, კონკრეტული მსგავსება უნდა ჩაითვალოს თუ არა პლაგიატად.

ამ თემის დეტალური ანალიზისთვის გამოყენებულია სამი მნიშვნელოვანი სამეცნიერო წყარო: ნინო ჩუბინიძის სახელმძღვანელო - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის; აგრეთვე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სტატია - ტერმინოლოგიის საკითხები; და მესამე წყარო გახლავთ სამხრეთ კაროლინის სამხედრო კოლეჯის citadel-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია სახელწოდებით - Examples of Plagiarism from Turnitin.com . ნინო ჩუბინიძის სახელმძღვანელოში განმარტებულია პლაგიატის მნიშვნელობა და აკადემიურ სივრცეში მისგან თავის არიდების სხვადასხვა ეფექტური გზა. ავტორი პლაგიატის საკითხებს უთმობს წიგნის მეორე თავს, რომელშიც გაანალიზებულია უნებლიე და მიზანმიმართული პლაგიატის შემთხვევები.

ჰიბრიდული პლაგიატის როგორც მიზანმიმართული პლაგიატის საკითხის ანალიზისთვის საინტერესო წყარო გახლავთ სამხრეთ კაროლინის სამხედრო კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატია

12 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018).

სათაურით - Examples of Plagiarism from Turnitin.com.¹³ სტატიაში დეტალურადაა განმარტებული პლაგიატის ათი სხვადასხვა ტიპი და მაგალითების სახით ნაჩვენებია პლაგიატის ტიპების გამოვლენის კონკრეტული შემთხვევები (სურათი 1), აგრეთვე - პლაგიატის ტიპების გამოყენების სიხშირე (სურათი 2).

სურათი 1: ჰიბრიდული პლაგიატის ნიმუში
(წყარო: <http://www.citadel.edu/root/images/plagiarism/examples-from-turnitin.pdf>)

#6 Hybrid: Combines perfectly cited sources with copied passages without citation

Frequency ■ .5


Problematic ■ 1.1

Original	Unoriginal
A Natural Setting A History of Exploration and Settlement in Yosemite Valley Since its first discovery by non-indigenous people in the mid-nineteenth century, Yosemite Valley has held a special, even religious, hold on the American conscience because its beauty makes it an incomparable valley and one of the grandest of all special temples of Nature. While Yosemite holds a special grip on the western mind, perceptions about the Valley have evolved over time due to changing politics, migration patterns and environmental concerns as man has become more attuned to his relationship and impact on nature.	A Natural Setting A History of Exploration and Settlement in Yosemite Valley Since its first discovery by non-indigenous people in the mid-nineteenth century, Yosemite Valley has held a special, even religious, hold on the American conscience because its beauty makes it an incomparable valley and one of the grandest of all special temples of nature. "Native Americans have lived the Yosemite region for as 8,000 years. The first people that we have record of was a band of Native Americans that called the Valley "Ah-wah-nee" and themselves the Ahwahnechee"¹ While Yosemite holds a special grip on the western mind, perceptions about the Valley have evolved over time due to changing politics, migration patterns and environmental concerns as man has become more attuned to his relationship and impact on nature. ¹"Yosemite Valley." Wikipedia. Wikipedia. 20 Apr. 2012. <http://en.wikipedia.org/wiki/Yosemite_Valley>

Plagiarized

Improperly Cited

სურათი 2: პლაგიატის ტიპები და მათი გამოყენების სიხშირე



¹³ Turnitin.com-ის პლაგიატის მაგალითები. თარგმანი ჩვენი.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ პლაგიატი შესაძლოა იყოს უნებლიე ან მიზანმიმართული. რაც შეეხება პლაგიატის ტიპს - ჰიბრიდი, მისი შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც მიზანმიმართული, ანუ შედარებით მძიმე ხარისხის პლაგიატი, რადგან ჰიბრიდული პლაგიატის დროს საქმე გვაქვს იდეალურად ციტირებული და ციტირების გარეშე გადმოწერილი მონაკვეთების კომბინირებასთან. ანუ, სტუდენტმა იცის, როგორ გააკეთოს ციტირება წესების სრული დაცვით, თუმცა ამას მხოლოდ შერჩევით აკეთებს. შედეგად, ორიგინალი ტექსტიდან გამოყენებული პასაჟები მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს სტუდენტის ნამუშევარში, სხვა პასაჟები კი, რომელთაც არ აქვთ ციტატის ფორმა, მკითხველის მხრიდან აღიქმებიან როგორც სტუდენტის მოსაზრებები. ეს პლაგიატია, რადგან ჰიბრიდის შემთხვევაში, მხოლოდ ორიგინალი ნაშრომის ერთი ნაწილის აღნიშვნა ხდება ციტატების ფორმით, მეორე ნაწილი კი მოპარულია, რადგან გადმოწერილია, თუმცა ნაშრომში სტუდენტი არც წყაროებს უთითებს და არც ციტატის ფორმას აძლევს ამა თუ იმ გადმოწერილ მონაკვეთს.

მაგალითისთვის, გავაანალიზოთ ერთ-ერთი სტუდენტის ნამუშევარი (სურათი 3), რომელშიც გამოვლინდა ჰიბრიდული პლაგიატის შემთხვევა.

სურათი 3: სტუდენტის ნამუშევარში ჰიბრიდული პლაგიატის შემთხვევა



სურათი 3: სტუდენტის ნამუშევარში ჰიბრიდული პლაგიატის შემთხვევა

#6 ჰიბრიდი: ნაშრომი, რომელშიც იდეალურად ციტირებული წყაროებია კომბინირებული ციტირების გარეშე გადმოწერილ მონაკვეთებთან ერთად	გამოყენების სიხშირე  0.5
ორიგინალი ტექსტი	სტუდენტის ნამუშევარი

პასუხი შევითხვარე:

რა არის განმანათლებლობა?

განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ზრალია. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ზეღმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. უმწიფრობა საკუთარი თავის ზრალია მაშინ, როცა მისი მიზეზი განსჯის ნაკლულობაში კი არა, გადაწყვეტილებისა და სიამაღის არქონაში ძვეს. *Sapere Aude!* გაზედე საკუთარი განსჯის გამოყენება! – ესაა განმანათლებლობის ლოზუნგი. სიზარმაცე და სილაჩრე – ესაა მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი, მას შემდეგ, რაც ბუნებამ ისინი კარგა ხნის წინ გაათავისუფლა უცხო ზეღმძღვანელობისგან, მიუხედევად ამისა, მთელი ცხოვრება უმწიფრად რჩება; და რომელთა გამოც ამ ადამიანთა მეურვეებად ადვილად იქცევიან ზოლმე სხვები, უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია.

პასუხი შევითხვარე:

რა არის განმანათლებლობა?

განმანათლებლობა – ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ზრალია. „უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ზეღმძღვანელობის გარეშე მოიხმარო. უმწიფრობა საკუთარი თავის ზრალია მაშინ, როცა მისი მიზეზი განსჯის ნაკლულობაში კი არა, გადაწყვეტილებისა და სიამაღის არქონაში ძვეს. *Sapere Aude!* გაზედე საკუთარი განსჯის გამოყენება!“ (კანტი 2014, 60) – ესაა განმანათლებლობის ლოზუნგი. სიზარმაცე და სილაჩრე – ესაა მიზეზები, რომელთა გამოც ადამიანთა დიდი ნაწილი, მას შემდეგ, რაც ბუნებამ ისინი კარგა ხნის წინ გაათავისუფლა უცხო ზეღმძღვანელობისგან, მიუხედევად ამისა, მთელი ცხოვრება უმწიფრად რჩება; და რომელთა გამოც ამ ადამიანთა მეურვეებად ადვილად იქცევიან ზოლმე სხვები, უმწიფრობაში ყოფნა ძალზე კომფორტულია.

გამოყენებული წყარო: კანტი, იმანუელ. 2014. პასუხი შევითხვარე რა არის განმანათლებლობა? წიგნში *შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II*. მთარგმნ. გიგა ზედაძია. გვ. 66. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

პლაგიატი

ციტირებული



მოცემული დანართების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ზოგადად პლაგიატი და მისი ერთი კერძო ტიპი - ჰიბრიდი მნიშვნელოვანი პრობლემაა აკადემიურ სივრცეში. ამდენად, არსებითია, პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: როგორ უნდა ავამალლოთ სტუდენტის ცნობიერება პლაგიატის საკითხებში? რა ფუნქცია აკისრია ამ კუთხით ქვეყანაში განათლების სისტემას? ჰიბრიდული პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, რა სანქციები უნდა გატარდეს და რა ტიპის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პლაგიატური ნაშრომის ავტორს?

სტატიის მიზანი კი ამ კითხვებზე დეტალური და ამომწურავი პასუხების გაცემაში მდგომარეობს. პასუხების ძიებისას, პირველ რიგში, ჩვენ დაგვეხმარება კანონი, რომელიც არეგულირებს პლაგიატის როგორც ქმედების საკითხს. ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იზრუნონ პლაგიატის თემის პოპულარიზაციაზე, ხაზი გაუსვან მის აქტულობას, აგრეთვე, დანერგონ ისეთი სისტემები, რომლებიც გააკონტროლებს პლაგიატის შემთხვევებს და მისი აღმოჩენის დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, თუ ზოგადად ქვეყანა, იმოქმედებს კონკრეტული რეგულაციებით.

ეს ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ამაღლდება სტუდენტის ცნობიერება პლაგიატის მიმართ და მას განსაზღვრულად ეცოდინება, რა ტიპის დანაშაულია სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება, ხოლო, მეორე მხრივ, დაწესდება კონკრეტული რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ პლაგიატის დადგენას და მისი გამოვლენის შემთხვევაში, პლაგიატში დამნაშავე სტუდენტის დასჯას: კონკრეტული ნაშრომის განულება, სტუდენტის სტატუსის შეჩერება და სხვ.

სტუდენტებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ აკადემიურ სივრცეში პლაგიატისგან თავის არიდების მიზნით, ვალდებულები არიან, რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი გაითვალისწინონ:

- წყაროს გამოყენება: ციტირების, პარაფრაზირების თუ სხვა ტექნიკების საშუალებით;
- წყაროს მითითება: დამოწმების წესების სრული დაცვით;
- კონსპექტბარათების შედგენა: გამოყენებული წყაროების მნიშვნელოვანი საკითხები, ციტატები, შესაბამისი ბიბლიოგრაფიისა და სტუდენტის კომენტარების დართვით.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2017. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16198> (21.08.2018);

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3> (21.08.2018);

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018);

Citadel. *Examples of Plagiarism from Turnitin.com*. <http://www.citadel.edu/root/images/plagiarism/examples-from-turnitin.pdf> (21.08.2018).

მოზაიკა



თანამედროვე ეპოქაში პლაგიატი და მასთან დაკავშირებული პრობლემები აქტუალობას არ კარგავს. ადამიანები მუდმივად ვითარდებიან და ქმნიან ახალ ცოდნას; ჩვენი აზროვნება ყალიბდება და ვითარდება იმ ინფორმაციის საშუალებით, რომელიც უკვე არსებობს და, შესაბამისად, ყოველ სიახლეს საფუძვლად უდევს წინარე ცოდნა. ყოველ ნაშრომს ავტორი ქმნის მასთან დაკავშირებით არსებულ სხვათა ნააზრევსა თუ აღმოჩენებზე დაყრდნობით, რათა ამით განამტკიცოს საკუთარი მსჯელობა და მივიდეს აღმოჩენამდე. მაგრამ ხშირად არაკეთილსინდისიერი მოქმედებით, ყოველგვარი დამოწმების გარეშე ხდება სხვისი ნააზრევის საკუთარ ნაშრომში გადმოტანა და მისი წარდგენა საკუთარი შრომის ნაყოფად. სწორედ ამ დროს იჩენს ხოლმე თავს ის საკმაოდ გავრცელებული „სენი“, რომელსაც პლაგიატი ეწოდება.

სიტყვა პლაგიატი ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებობდა და ქურდობას ნიშნავდა, იგი ინტელექტუალურ სამყაროს მე-17 საუკუნეში დაუკავშირდა. პლაგიატი გულისხმობს სხვისი მოსაზრებების, იდეების და ნებისმიერი ინტელექტუალური საკუთრების არაკეთილსინდისიერად გამოყენებას. აღნიშნული პრობლემის წინაშე ხშირ შემთხვევაში სტუდენტები დგანან, რადგან განზრახ ან გაუცნობიერებლად, საკუთარი დავალებების შესრულებისას იყენებენ სხვადასხვა წყაროში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ უთითებენ სათანადო მონაცემებს გამოყენებული ლიტერატურის შესახებ (აკადემიური წერის ცენტრი 2016, 39).

აკადემიურ სივრცეში პლაგიატის საკმაოდ გავრცელებული ფორმა არის მოზაიკა. ამ სახელის გაგონებაზე, ალბათ, ყველას თვალწინ წარმოგვიდგება ულამაზესი სურათი, რომელიც სხვადასხვა ფერადი მასალის ერთობლიობითაა შექმნილი. მოზაიკა სტანდარტულად განიმარტება, როგორც „სურათი ან სახე, რომელიც შედგენილია ცემენტის ფენაზე დამაგრებული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი ფერადი კენჭების, სხვადასხვა მინის (სმალიტის), მარმარილოს, ემალისა და მისთანანა პატარ-პატარა ნაჭრებისაგან“¹⁴. მოზაიკა ხელოვნებაში მრავალფეროვან, მაგრამ ერთ მთლიან, ორიგინალურ ნამუშევართან ასოცირდება, მაგრამ ის, რაც ასე მომხიბვლელად გამოიყურება ხელოვნებაში, დანაშაულად კვალიფიცირდება აკადემიურ სივრცეში. მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი, რომელშიც ვლინდება მოზაიკური პლაგიატი, არის სხვადასხვა მასალიდან ამოღებული მონაკვეთების ერთობლიობით შექმნილი ტექსტი. ასევე მოზაიკურ პლაგიატთან გვაქვს საქმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ტექსტში მითითებულია წყაროს ავტორი, თუმცა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად არის თვითონ ტექსტის ავტორის ორიგინალური ნააზრევი და სად არის წყაროდან ამოღებული ინფორმაცია (ბაქრაძე და სხვები 2016, 81). ასევე, გაურკვეველია კონკრეტულად ავტორის რომელი ნაშრომიდან არის ამოღებული ინფორმაცია.

14 იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

პლაგიატი როგორც აკადემიურ სივრცეში არსებული ერთ-ერთი მწვავე პრობლემა და გამოწვევა დიდ ყურადღებასა და ანალიზს საჭიროებს. მასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა ტარდება. ამ მხრივ გამოსადეგ წყაროს წარმოადგენს აკადემიური წერის ცენტრის რიდერი¹⁵, რომელშიც განხილულია პლაგიატის რაობა და მისი ფორმები, ნაშრომში წყაროების გამოყენების ხერხები. ასევე, ყურადღება გამახვილებულია აკადემიური მუშაობისათვის საჭირო ყველა ძირითად და საკვანძო საკითხზე.

მოხსენების დასამუშავებლად გამოყენებულ მეორე სამეცნიერო წყაროს წარმოადგენს კვლევა პლაგიატთან დაკავშირებულ პრობლემების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. მოცემულ წყაროში გამოკვლეულია საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების მდგომეობი პლაგიატის მიმართ, ასევე სტუდენტებისა და პროფესორების ცნობიერების დონე და მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. კვლევაში წარმოდგენილია პლაგიატის გამომწვევი მიზეზები და მისი თავიდან არიდების გზები.

მოზაიკური და, ზოგადად, ყველა სახის პლაგიატი სხვისი ინტელექტუალური საკუთრების არაკეთილსინდისიერი გზით გამოყენებაა. მას მრავალი გამომწვევი მიზეზი აქვს. უზოგადესად ასეთი ორია: ინფორმაციის არქონა, რომ ამგვარი ქმედება პლაგიატია, ან გამიზნული ქმედება, რომლის მიზანი სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაა.

2016 წლის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია პლაგიატის შესახებ და დიდმა ნაწილმა არ იცის, თუ როგორ აარიდოს თავი მას. არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტი აღიარებს, რომ პლაგიატი დანაშაულია, მაგრამ როდესაც ფაქტის წინაშე დადგება, ყოველგვარი სადამსჯელო ღონისძიება მას ზედმეტად მიაჩნია. საქართველოში ამ საკითხს ისტორიული საფუძველი აქვს, გასულ საუკუნეში ინტელექტუალური სამართალი საერთოდ არ არსებობდა და შესაბამისად არ იყო დაცული საავტორო უფლებებიც. მსგავსმა ვითარებამ გამოიწვია ის მძიმე რეალობა, რომელშიც აღმოვიჩინეთ პლაგიატის საკითხების კუთხით. მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიაზროს ინტელექტუალური საკუთრების არსი და პატივი სცეს მას, როგორც ადამიანისა და ცივილიზაციის განვითარების საფუძველს (აკადემიური წერის ცენტრი 2016, 40).

როგორც უკვე აღინიშნა, მოზაიკური პლაგიატი გულისხმობს სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაციის შერევას. აქედან გამომდინარე, მისი შემთხვევები ყველაზე ხშირია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის დროს. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა კომპილირების მეთოდის გამოყენებით ხდება, რაც გულისხმობს სხვადასხვა ავტორთა მასალების მიმოხილვას და არ შეიცავს დამოუკიდებელ კვლევას,¹⁶ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამოყენებული მასალა არ იყოს დამოწმებული სათანადო წესის დაცვით და მისი წარდგენა ხდებოდეს ავტორის ორიგინალურ ნაშრომად. ლიტერატურის მიმოხილვისას გამოიყენება ციტირების, პარაფრაზირებისა და რეზიუმირების მეთოდები. მათი ცოდნა და გონივრული გამოყენება ნაშრომში საგრძნობლად ამცირებს მოზაიკური პლაგიატის რისკებს. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში მოცემული მეთოდების გამოყენება უნდა მოხდეს მსჯელობათა განსავითარებლად

15 იხ. აკადემიური წერის რიდერი;

16 იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

და დებულებების გასამყარებლად, ტექსტის ძირითადი ნაწილი კი ავტორის ორიგინალურ საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს. ტექსტში გამოყენებულ თითოეულ ციტატას, პარაფრაზსა თუ რეზიუმეს კომენტარის სახით წინ უნდა უძღოდეს რამდენიმე წინადადება, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება მისი მნიშვნელობა და მიმართება თემასთან და ასევე, დასასრულსაც უნდა ერთვოდეს ავტორის მოკლე კომენტარი. მოზაიკური პლაგიატის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორია ის, რომ ხშირად რეზიუმესა და პარაფრაზის წყაროს მითითებას სავალდებულოდ არ მიიჩნევენ. მართალია, აღნიშნული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, სხვა მასალიდან ამოღებული ინფორმაციის გადმოცემა ავტორის სიტყვებით ხდება, თუმცა ის არ არის ავტორის მიგნება თუ აზრი და შესაბამისად, საჭიროებს დამოწმებას.

მოზაიკური პლაგიატის კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი კონსპექტებია, რომლებიც სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სტუდენტებისა თუ სკოლის მოსწავლეების მიერ. დაკონსპექტებული მასალა, უმრავლეს შემთხვევაში, მოიცავს სხვადასხვა წყაროდან შეგროვებულ მასალებს გამოყენებული ლიტერატურის მითითების გარეშე. „ამგვარ კონსპექტებს შემდეგ სტუდენტები თავიანთ ნაწერებში იყენებენ და ასე იქმნება პლაგიატის გრძელი ჯაჭვი, სადაც პლაგიატის პირველწყაროს პოვნა ხშირად ძალიან რთულია“ (ბაქრაძე და სხვები 2016, 81). კონსპექტების შექმნა და ჩანაწერების გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანი და გამოსადეგია მუშაობის პროცესში, თუმცა პლაგიატის თავიდან ასარიდებლად აუცილებელია ჩანაწერებში ციტატა იყოს ჩასმული ბრჭყალებში, ან ჩაწერილი იყოს განსხვავებული ფერით იმისათვის, რომ ადვილად შესამჩნევი იყოს. ასეთივე ხერხით უნდა ჩაწეროთ პარაფრაზიც და რეზიუმეც, რათა შემდგომ არ აგვერიოს ჩვენს ნააზრევში (თურაბიანი 2007, 65).

მოზაიკური პლაგიატის უკეთ გასააზრებლად განვიხილოთ მისი კონკრეტული მაგალითი:

ვინაიდან ადამიანის უმთავრესი ღირებულება - სიცოცხლე სწორედ ემბრიონიდან, ფეტუსიდან იწყება, უდავოა, რომ ფეტუსი სიცოცხლის საწყისია, ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანურ მოდგმას განეკუთვნება. სიცოცხლის უფლება ყველაზე აღმატებულია სხვა ძირითად უფლებებს შორის. მის გარეშე არ არსებობს არც თავისუფლება და არც გონებრივი, ფიზიკური თუ სულიერი განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აბორტის სამართლებრივი რეგულირება ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მოცემულ მაგალითში წარმოდგენილია სამი სხვადასხვა წყაროდან ამოღებული ინფორმაცია. პირველი მათგანი ციტატაა, შემდეგი ორი კი - პარაფრაზის ნაწილი. არცერთი მათგანის ავტორი და წყარო მითითებული არ არის და ტექსტი მთლიანად აგებულია მოპარული ინფორმაციით, რაც ნათლად აჩვენებს მოზაიკური პლაგიატის შემთხვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოზაიკური პლაგიატის დროს საქმე გვაქვს ქურდობაში დახელოვნებულ და ხრიკების მცოდნე პიროვნებასთან, რომელმაც იცის პარაფრაზის და რეზიუმეს გაკეთება, თუმცა ამ ცოდნას არაკეთილსინდისიერად იყენებს.

ქვემოთ წარმოდგენილია სწორი ვერსია კომპილაციისა და სენდვიჩის მეთოდის გამოყენებით.

[ავტორის კომენტარი]. „ვინაიდან ადამიანის უმთავრესი ღირებულება - სიცოცხლე სწორედ ემბრიონიდან, ფეტუსიდან იწყება, უდავოა, რომ ფეტუსი სიცოცხლის საწყისია, ცოცხალი არსებაა, რომელიც ადამიანურ მოდგმას განეკუთვნება.“ (სადრაძე 2016, 174) [ავტორის კომენტარი]. სიცოცხლის უფლება ყველაზე ალმატებულია სხვა ძირითად უფლებებს შორის. მის გარეშე არ არსებობს არც თავისუფლება და არც გონებრივი, ფიზიკური თუ სულიერი განვითარება (გენაძე 2015, 65) [ავტორის კომენტარი].

სწორი ვერსია - ეს კომპილაციაა, როდესაც ავტორი იყენებს სხვის მოსაზრებას, მაგრამ კომენტარებს და ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერებს თან ურთავს, შესაბამისად, მკითხველი შეცდომაში არ შეჰყავს. მოზაიკური პლაგიატის ერთადერთ დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სხვადასხვა წყაროს მოძიების პროცესში ხდება ცნობიერების ამაღლება. პლაგიატისგან თავის დაცვა მხოლოდ კომპილაციისა და სენდვიჩის მეთოდის გამოყენებას შეუძლია.

კიდევ ერთი მიზეზი მოზაიკური პლაგიატის დაშვებისა სამუშაოს დაუგეგმავად წარმართვაა, როდესაც ავტორი რაიმე სახის ტექსტზე იწყებს მუშაობას, აუცილებელია, რომ დავალება, რომელიც რამდენიმე პუნქტისაგან შედგება, დაყოს პატარ-პატარა ამოცანებად; ეს მას მუშაობის პროცესსაც გაუადვილებს და უამრავ შეცდომას აარიდებს, ერთ-ერთი მათგანი კი შეიძლება მოზაიკური პლაგიატი იყოს.

პლაგიატთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი და სამომავლო პერსპექტივაში შედეგის მომცემი გზა, მასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება და სკოლიდანვე მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვაა. ამასთანავე, ალსანიშნავია, რომ ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიქმნა მრავალი პროგრამა, რომელთა გამოყენებაც პლაგიატის გამოვლენის საშუალებას იძლევა ძალიან მცირე დროში და შესაბამისად, ამცირებს სხვისი ნაშრომის უკანონოდ მითვისების ფაქტებს. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გარკვეული, თუმცა არასაკმარისი ნაბიჯები იდგმება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა სასწავლო სივრცეში პირველმა დანერგა ისეთი სისტემა, რომელიც სტუდენტთა ნაშრომების ერთმანეთთან თუ ინტერნეტსივრცეში არსებულ სხვა მასალებთან შედარებით ადგენს პლაგიატის შემთხვევებს და ამით ხელს უწყობს არაკეთილსინდისიერი ქმედებების აღმოფხვრას.

საქართველოში ხშირია შემთხვევები, როდესაც დარგის სპეციალისტები წარადგენენ ნაშრომს, რომელიც ისეთ კვლევაზეა დაფუძნებული, რომლის ჩატარების შესაძლებლობა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს, თუმცა ამას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამიტომაც პრევენციისთვის მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური სივრცე გახდეს უფრო ღია და საქართველო საერთაშორისო მასშტაბებით ჩაერთოს ამ სივრცეში. უნივერსიტეტის მხრიდან კი საჭიროა, რომ მან შექმნას წესდება სტუდენტთა ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ. ხოლო სტუდენტებს უფრო მეტი სიფრთხილე მართებთ, რომ უნებლიეთ არ გახდნენ პლაგიატის მსხვერპლი და იცოდნენ აკადემიური მუშაობის ტექნიკები. და ბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ გაიაზროს ინტელექტუალური საკუთრების ღირებულება და პატივი სცეს მას.

გამოყენებული ლიტერატურა

აკადემიური წერის ცენტრი. 2016. აკადემიური წერა: სამაგისტრო საფეხური. რიდერი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <https://drive.google.com/file/d/0B2iT6cJgt6h1NIUtYk84eTFFT2s/view> (01.07.2018);

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

თურაბიანი, ქეით ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისებისა და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტებისა და მკვლევრებისათვის. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა;

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=20030> (01.07.2018);

Bowdoin College. Mosaic Plagiarism. *In The Common Types of Plagiarism* <https://www.bowdoin.edu/studentaffairs/academic-honesty/common-types.shtml> (07.07.2018);

Pennsylvania State University. *The Types of Plagiarism*. 3. <http://www.la.psu.edu/current-students/documents/TypesofPlagiarism.pdf> (07.07.2018).

მოზაიკა

შესავალი

აკადემიური სივრცეების შექმნასა და გაერთიანებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიოში სწრაფად მზარდმა „ტრენდმა“ გლობალიზაციამ და, რაც მთავარია, ტექნოლოგიური ხანის აღზევებამ, განსაკუთრებით 21-ე საუკუნის დასაწყისიდან. ყველა პროცესს დადებითთან ერთად უარყოფითი გავლენაც აქვს. ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა აკადემიური სივრცე განსაკუთრებული პრობლემების წინაშე დააყენა, რასაც პლაგიატი ჰქვია (ბაქრაძე და სხვები 2016, 6).

პლაგიატი ყველა დროსა თუ სივრცეში არსებობდა, თუმცა 21-ე საუკუნეში მან აპოგეას მიაღწია. პლაგიატის მრავალი სახეობა არსებობს და მრავალი ადამიანი მიმართავს მას სხვადასხვა მიზნით. აკადემიურ სივრცეში კი პროგრამა თარნიტინმა (turnitin)¹⁷ პლაგიატის ათი სხვადასხვა სახე გამოავლინა, ესენია: კლონი, CTRL-C, ჰიბრიდი, 404 Error, პირდაპირი, თვითპლაგიატი, RSS Feed, უნებლიე პლაგიატი და ა.შ. მათ შორისაა მოზაიკური პლაგიატი, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს.

მოზაიკური პლაგიატი გამოყენების მხრივ მეორე ადგილს იკავებს და მაშასადამე საკმაოდ აქტუალური საკითხია, თუმცა აქტუალობას თან შემდეგი პრობლემებიც ახლავს:

1. ვერ ვადგენთ სამეცნიერო ნაშრომის ავტორის ინდივიდუალურ შეხედულებებს;
2. არ ჩანს ავტორის კრიტიკული აზროვნების უნარი;
3. ავტორს არ აქვს შესაბამისი აკადემიური სტილის ცოდნა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია: მოკლედ განვიხილოთ პლაგიატი, ყურადღება გავამახვილოთ, მისი აღმოფხვრისა და თავიდან არიდების გზებზე; მიმოვიხილოთ მოზაიკური პლაგიატი, კერძოდ ვისაუბროთ მის ფორმასა და აქტუალობაზე, და ბოლოს, კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით შევძლოთ მისი ამოცნობა და გასწორება.

მოზაიკა პლაგიატის საკმაოდ საინტერესო სახეობაა. მას გონივრულად ჩადენილ არაკეთილსინდისიერ ქმედებად მიიჩნევენ. თუ რატომ ითვლება მოზაიკა პლაგიატის გონივრულ ფორმად, ამ მთავარ საკვლევ შეკითხვას ნაშრომის ძირითად ნაწილში ვუპასუხებთ.

პლაგიატი და მისი თავიდან აცილების გზები

პლაგიატის უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს. მას სხვადასხვა აკადემიურ სივრცეში სხვადასხვაგვარად განმარტავენ. თუმცა, თუ შევაჯერებთ მისი განმარტების სხვადასხვა ვარიაციებს, იგი არის

ინტელექტუალური საკუთრების ფარულად მითვისება. როგორც შესავალში აღინიშნა, პლაგიატისა და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის შემთხვევები ყოველთვის იყო, თუმცა გლობალიზაციამ და კომპიუტერულმა ტექნიკამ მათი „განვითარება“ მეტად დააჩქარა. ასევე დააჩქარა მათი შესწავლის პროცესიც, რადგან პლაგიატის შესახებ დაწერილი წიგნის ავტორები აღნიშნავენ: „პლაგიატი თავისი ნებით არ აპირებს წასვლას“ (ბაქრაძე და სხვები 2016, 85).

ევროკავშირის მიერ პლაგიატზე ჩატარებულმა კვლევამ პირველად სტარტაპი აიღო ინგლისურენოვან ქვეყნებში, შემდგომ კი, სხვადასხვა ლონისძიებები დაიწყო ევროპაში, მათ შორის ესტონეთსა და გერმანიაში. 2015 წელს მნიშვნელოვნად ჩაერთო ევროსაბჭოც (ბაქრაძე და სხვები 2016, 85). პლაგიატის პრევენციის მიზნით კი შეიქმნა პროგრამა თარნითინი. როგორც შემდგომმა დაკვირვებებმა აჩვენა, არსებულმა პროგრამამ პლაგიატი 39%-ით შეამცირა.

პლაგიატის აღმოფხვრის სხვადასხვა გზა არსებობს. ეროვნულ დონეზე მის აღმოსაფხვრელად საჭიროა გათვალისწინებული იქნას ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მოცემულია კვლევაში: პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში.

1. აკრედიტაციის დროს უნივერსიტეტებმა უნდა იხელმძღვანელონ ნორმატიული აქტით, სადაც სრულად იქნება გაწერილი პლაგიატის აღმოჩენისა და მასზე დროული რეაგირების გზები;
2. ნორმატიული აქტები, რომლებიც პლაგიატის პრევენციას ეხება, ჩამოყალიბებული იქნას ნათლად და მკაფიოდ, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასა და სწავლასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს (ბაქრაძე და სხვები 2016, 75).

პლაგიატის თავიდან არიდების გზებზე საუბრისას, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ იმ წესებზე, რომლებსაც აკადემიური სტილი ადგენს. წიგნში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის ავტორთა ჯგუფი მიმოიხილავს, თუ რა ტიპის წყაროები არსებობს, როგორ ხდება მათი დამოწმება და სწორი ფორმით ჩაწერა სამეცნიერო თუ სხვა ტიპის ნაშრომებში. წყაროების ამგვარი განხილვით თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან პლაგიატი. ღირებულია, გავითვალისწინოთ ოთხი უმნიშვნელოვანესი ასპექტი:

1. ნებისმიერი სხვის მიერ შექმნილი წყაროს დამოწმება (ტექსტში ჩართვით ან სქოლიოს გამოყენებით);
2. ციტატა (სიტყვასიტყვით გადმოცემული მონაკვეთი, მოკლე ციტატა ბრჭყალებით, გრძელი ციტატა ტექსტიდან გამოყოფილი);
3. პარაფრაზი (წყაროს რომელიმე მონაკვეთის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა);
4. რეზიუმე (წყაროში მოცემული მოსაზრებების შეჯამება) (შდრ. ჩუბინიძე 2011, 107-111).

18 Turnitin - პროგრამა, რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების გამოვლენითა და ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებით, უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასებას და მათი შედეგების გაუმჯობესებას. მსოფლიოს 140 ქვეყანაში მას 26 მილიონზე მეტი სტუდენტი იყენებს. იხ. <https://iliauni.edu.ge/ge/siaxleebi-8/gonisdziebebi-346/kompania-turnitin-is-evropis-regionis-warmomadgenelta-shex-vedra-iliaunis-akademiur-da-administraciul-personaltan.page> (11.10.2018).

ხშირად, ნაშრომზე მუშაობისას შესაძლოა გახდეთ უნებლიე პლაგიატის მსხვერპლი. სამეცნიერო ნაშრომის შექმნისას აუცილებელია, ჩვენ მიერ მოპოვებული წყაროებიდან ციტატის გამოყენებისას იგი მკაფიოდ გამოვყოთ, ასევე სასურველი იქნება, თუ პარაფრაზს სწორად ჩამოვყალიბებთ, რადგან, როგორც უმბერტო ეკო ამბობს, მართებულად გაკეთებული პარაფრაზი პლაგიატის თავიდან აცილების წინაპირობაა (ეკო 2014, 226).

მოზაიკა როგორც პლაგიატის გონივრული ფორმა

მოზაიკური პლაგიატის დროს ინდივიდი სხვადასხვა ნაშრომებიდან იდეებსა და მოსაზრებებს ისე აერთიანებს, რომ არ ამოწმებს, არ უთითებს თითოეული წყაროს ავტორს. მოზაიკურ პლაგიატს ხშირად PATCH WRITING¹⁹ -ს უწოდებენ. მოზაიკური პლაგიატის ავტორი ხშირად არა შესაბამის აბზაცში, არამედ, ნაშრომის ბოლოს უთითებს გამოყენებულ ლიტერატურას, რითაც შეუძლებელია გავიგოთ, რა არის თავად ავტორის მოსაზრება და რა - დამხმარე წყაროდან ამოღებული ინფორმაცია (ბაქრაძე და სხვები 2016, 81).

თვალსაჩინოების მიზნით, განვიხილოთ მოზაიკური პლაგიატის ერთ-ერთი შემთხვევა, რომელიც ქვემოთ მოცემულ სურათში (სურათი 1) ნათლად ჩანს:

სურათი 1: მოზაიკური პლაგიატის ნიმუში (წყარო: moodle.iliauni.edu.ge)

The screenshot shows a Moodle quiz interface. On the right, a 'Match Overview' sidebar displays a score of 38%. Below the score, a list of sources is shown with their corresponding percentages:

Rank	Source	Percentage
1	liberali.ge Internet Source	13%
2	Submitted to Ilia State ... Student Paper	12%
3	skola94.wordpress.com Internet Source	5%
4	intermedia.ge Internet Source	5%
5	cdi.org.ge Internet Source	3%

The main area displays a text passage with highlighted segments corresponding to the sources in the sidebar. The text is in Georgian and discusses various topics related to the sources listed.

სურათში ჩანს, რომ ავტორმა სხვადასხვა ინტერნეტ წყაროებიდან, სიტყვასიტყვით გადმოიწერა გარკვეული პასაჟები, რასაც თან დაურთო საკუთარი მოსაზრებაც. იმისათვის, რათა მოცემულ სიტუაციაში თავიდან ავირიდოთ პლაგიატი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გამიზნული და გაცნობიერებულია ავტორის მიერ, საჭიროა მოცემული ადგილები, რაკი სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი, ჩავსვათ ბრჭყალებში, ვაქციოთ ციტატად და დავამოწმოთ:

19 იხ. <https://www.urbandictionary.com/define.php?term=patch%20writing> (24.04.2019);

20 „ნატრებისგან შედგენილი ნაწერი“. თარგმანი ჩვენია.

„ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. ეს განწერილია, როგორც, საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში“ (ბეგიაშვილი 2014).

ციტატის სწორად დამოწმებასთან ერთად, სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა უნდა გადაამოწმოს მის მიერ გამოყენებული წყაროების სანდოობა და მათი მეცნიერულობის ხარისხი. მაგალითიდან ირკვევა, რომ ავტორის მიერ მოძიებული წყაროები დიდწილად ბლოგებია, როგორიცაა liberali.ge, intermedia.ge, skola94.wordpress.com. თითოეული მათგანის სანდოობაში დასარწმუნებლად, ავტორს უნდა შეემოწმებინა, თუ როდის განახლდა თითოეული საიტი, როგორია ორიგინალი ავტორის წერის სტილი, ჩანს თუ არა მისი სუბიექტური მოსაზრებები რომელიმე საკითხზე, რამდენად მიუკერძოებელია მისი კრიტიკა მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე და ა.შ. მოყვანილ მაგალითში კი მრავლადაა ისეთი წყაროები, რომლებიც ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით ვერ შეფასდება, რადგან ბლოგი არ არის სანდო და სამეცნიერო წყარო და, შესაბამისად, მსგავსი წყაროების გამოყენებით, სამეცნიერო ნაშრომის სანდოობაც ეჭვქვეშ დგება.

დასკვნა

წარმოდგენილ მაგალითზე დაყრდნობით აშკარაა, რომ მოზაიკური პლაგიატი, პლაგიატის სხვა სახეებთან შედარებით, მართლაც ყველაზე გონივრული ფორმაა.

სტუდენტი, რომელიც გამიზნულად იყენებს მოზაიკურ პლაგიატს, თვლის, რომ თუ მრავალ წყაროს მოიძიებს და სამეცნიერო ნაშრომში ჩართავს, ასევე მცირე დოზით საკუთარ მოსაზრებებს დაამატებს, ლექტორს დაეზარება ყველა მათგანის გადამოწმება, რითაც ნაშრომი მკაცრ შემოწმებას „გადაურჩება“. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები დიდ დროს უთმობენ წყაროების მოძიებას, თავიანთი თემისთვის შესაფერისი აბზაცებისა და წინადადებების ძებნას, თვლიან, რომ ამგვარი ლავირებით ისინი პირდაპირი პლაგიატის „მსხვერპლნი“ არ იქნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვაქვს „გონივრული“ პლაგიატი, პლაგიატი მაინც ინტელექტუალური ქურდობაა. იგი არის საშუალება, პირდაპირი მნიშვნელობით მოვიპაროთ და მივითვისოთ სხვისი იდეები და აზრები, რაც დანაშაულია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

ეკო, უმბერტო. 2014. როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე;

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018).

Error 404



შესავალი

სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეებში პლაგიატის პრობლემა მზარდია. მხოლოდ, 2012 წლის მონაცემებით სამეცნიერო ჟურნალმა Cancer Biology and Therapy²⁰ უარი განაცხადა 221 სტატიის გამოქვეყნებაზე მათში პლაგიატის გამოვლენის გამო (ithenticate 2013). „ithenticate“-ის მიერ ამავე წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით კი, 419 გამოკითხული მკვლევრის, რედაქტორისა და ავტორისგან 25% რეგულარულად ხვდება პლაგიატის შემთხვევებს, რაც კვლევით სივრცეებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია (ithenticate 2012).

წინამდებარე ნაშრომი შეეხება პლაგიატის როგორც ინტელექტუალური საკუთრების მითვისების ან რეალური ავტორის ვინაობის არასრულფასოვნად, არასწორად მითითების პრაქტიკის კონკრეტულ ფორმას - Error 404-ს, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს ბიბლიოგრაფიაში არარსებული წყაროების მითითებას ან ციტირებას არასწორი წყაროების დამოწმებით.

ციტირება არარსებული წყაროების გამოყენებით და წყაროების შესახებ არასწორი მითითება Error 404, იგივე „წყარო აჩრდილი“ პლაგიატის არც თუ ისე ხშირად განმეორებადი ფორმაა, თუმცა, თუ Turnitin.com-ის პლაგიატის სპექტრს²¹ დავეყრდნობით, გამოვლენის შემთხვევაში ისეთ ხშირად განმეორებად პლაგიატის ტიპზე პრობლემატურია, როგორიცაა Remix ან Re-Post. მაგალითად, თუ Remix-ის სიხშირე 5.6-ის ტოლია, მისი პრობლემატურობა მხოლოდ 0.5-ია. Error 404-ის შემთხვევაში, სიხშირე 0.6-ს უდრის, პრობლემატურობა კი 1.3-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად Error 404-ის გამოვლენის იშვიათობისა, მისგან მიყენებული ზიანი სამეცნიერო-აკადემიურ სივრცეებში საკმაოდ დიდია.

ნაშრომი ემსახურება პლაგიატის აღნიშნული ფორმის პრობლემის გააზრებას სამეცნიერო სივრცეებში დაფიქსირებული თვალსაჩინო მაგალითების წარმოჩენის საშუალებით. სავარაუდოა, რომ პრობლემის არსებობის მიზეზი კვლევითი სამუშაოების შემსუბუქება ან/და მკითხველისთვის ნაშრომის/კვლევის უფრო ეფექტურად წარმოჩენაა. Error 404-ის აღმოჩენის შემთხვევაში კი, შესაძლოა ნაშრომის შინაარსი სრულიად ეჭვქვეშ დადგეს, ავტორის კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ ეთიკასთან ერთად.

წყაროების აღწერა

პირველი წყარო, რომელსაც ნაშრომი ეყრდნობა, არის Academic Integrity &

21 „სიმსივნის ბიოლოგია და თერაპია“. თარგმანი ჩვენია

22 პლაგიატის პროფესიონალური პრევენცია. თარგმანი ჩვენია;

23 იხ. <https://www.ed.ac.uk/files/atoms/files/10-types-of-plagiarism.pdf> (17.04.2019).

Academic Dishonesty: A Handbook About Cheating & Plagiarism (2011)²² ფლორიდის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორის ლარს რ. ჯონსის ავტორობით, სადაც განხილულია პლაგიატის ფორმები და მაგალითები, ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების ნამუშევრებზე დაყრდნობით.

მომდევნო წყარო არის საერთაშორისო მენეჯმენტის პროფესორის და აკადემიური ვებ-გვერდის Harzing.com-ის დამფუძნებლის ენ ვილ ჰარზინგის სტატია The mystery of the phantom reference²³ (2017). აღნიშნული ვებ-გვერდი წარმოადგენს გზამკვლევს სამეცნიერო-აკადემიურ სფეროში მომუშავე პირებისთვის. აქ თავმოყრილია ინფორმაცია ონლაინ პუბლიკაციებზე, რესურსებზე და გამართული და ეფექტური ციტირების ანალიზებზე. მისი მიზანია სამეცნიერო ჟურნალებისა და მათში გამოქვეყნებული სტატიების და კვლევების ხარისხის კონტროლი.

ტომას ს. დისა და ბრაიან ა. ჯეიკობის ნაშრომში Rational Ignorance in Education: A Field Experiment in Student Plagiarism²⁴ (2012) განხილულია უნივერსიტეტის სტუდენტებში პლაგიატის პრობლემა, რომელიც დაფუძნებულია მათ მიერ ჩატარებულ კვლევაზე. წყარო, საბოლოო ჯამში, ქმნის კვლევის დასკვნას და გვთავაზობს პლაგიატის თავიდან აცილების საშუალებებს.

არ გრანტ სტინის ნაშრომი Retractions in the scientific literature: do authors deliberately commit research fraud?²⁵ (2011) განიხილავს იმ ფაქტს, რომ გამოსაქვეყნებლად წარდგენილი ნაშრომების გარკვეული ნაწილი ყოველთვის შეიცავს პლაგიატს და მეცნიერს უკანვე უბრუნდება. იგი იმ მოსაზრებას ემხრობა, რომ ხშირ შემთხვევაში მკვლევრები განზრახ, გააზრებულად იყენებენ სხვათა ინტელექტუალურ საკუთრებას ან თავადვე თხზავენ ისეთ შედეგებს, როგორიც კვლევას აწყობს. ეს საკითხი ბუსტად ეხმაურება პლაგიატის ტიპს Error 404, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გააზრებულად ხდება ნაშრომის ნაწილი.

არარსებული წყაროების გამოყენებით ციტირებისა და წყაროების შესახებ არასწორი მითითების, Error 404-ის მაგალითები

ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითი Error 404-ის კარგი ნიმუშია, რომელიც ჰოლანდიელმა სტატისტიკის პროფესორმა პიტერ კრუნენბერგმა შემთხვევით აღმოაჩინა, მას შემდეგ, რაც დააპირა საკუთარი ნაშრომი ერთ-ერთ პრესტიჟულ ჟურნალში Elsevier გამოექვეყნებინა. ჟურნალის წესდებებსა და ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებულ მითითებებში მან ნაცნობი პროფესორის სახელი აღმოაჩინა:

.....
: Van der Geer, J., Hanraads, J.A.J., Lupton, R.A., 2000. The art of writing a scientific :
: article. J Sci. Commun. 163 (2) 51-59. [The journal name can also be found with :
: its full title Journal of Science Communications]
:

24 აკადემიური კეთილსინდისიერება და აკადემიური არაკეთილსინდისიერება: გზამკვლევი მოტყუებისა და პლაგიატის შესახებ. თარგმანი ჩვენია;

25 აჩრდილი დამოწმების საიდუმლო. თარგმანი ჩვენია;

26 რაციონალური უვიცობა განათლებაში: სტუდენტური პლაგიატის ექსპერიმენტული შესწავლა. თარგმანი ჩვენია;

27 უარყოფა სამეცნიერო ლიტერატურაში: ავტორები განზრახ იტყუებიან კვლევის დროს? თარგმანი ჩვენია;

იგი გაკვირვებული დარჩა სტატიით, რომელიც აკადემიური წერის ხელოვნებას ეხებოდა და სრულიად სცდებოდა აღნიშნული ნაცნობის კომპეტენციას, თანაც თავად ავტორის სახელიც არასწორად იყო მითითებული. შემდგომ კრუნენბერგი შეეცადა ჟურნალის პოვნას, სადაც სტატია იყო გამოქვეყნებული და აღმოაჩინა, რომ ეს ჟურნალი 2002 წლიდან გამოიცემოდა, როცა ბიბლიოგრაფიაში 2000 წელი იყო მითითებული. ამასთან ერთად, ისიც საეჭვო ეჩვენა, რომ ჟურნალს 163 ნომერი ჰქონდა გამოშვებული, როცა საშუალოდ წელიწადში მხოლოდ ერთი ან ორი ნომერი გამოიცემა აღნიშნულ სფეროში. საბოლოოდ, კვლევა-ძიების საფუძველზე კრუნენბერგმა დაადასტურა, რომ სტატიაც და ჟურნალიც იყო გამოგონილი (არარსებული) წყაროები.

უფრო საინტერესო ფაქტია ის, რომ აღნიშნული სტატია 400-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომს ჰქონდა მითითებული წყაროდ. ესე იგი, 400 ავტორის დადანაშაულება იყო შესაძლებელი პლაგიატის ბრალდებით, ვინაიდან მათ გაცნობიერებულად მიუთითეს წყარო, რომელსაც არ იცნობდნენ და რომელიც, საბოლოოდ, არარსებული აღმოჩნდა.

შემდეგი ტიპის შემთხვევა, წინამორბედთან შედარებით Error 404-ის ნაკლებად პრობლემური სახეა და გულისხმობს მართლწერის შეცდომას წყაროს მითითებისას. მაგალითად, თუკი ბიბლიოგრაფიაში წყაროს აღწერისას ერთ-ერთი ასპექტი მაინც არასწორადაა მითითებული, წყარო შესაძლოა ჩაითვალოს არარსებულად და დაფიქსირდეს როგორც პლაგიატი. ასეთი შეცდომა არის, მაგალითად, ავტორის გვარის ან წვდომის ლინქის არასწორად მითითება.

შეჯამება

წარმოდგენილი შემთხვევები და, მათ შორის, განსაკუთრებით „ფანტომური წყაროს“ მაგალითი გვიჩვენებს, რომ არსებობს ბიბლიოგრაფიის არარსებული წყაროებით გამდიდრების ტენდენცია, ისევე როგორც, მკვლევრის მიერ წყაროს შეთხზვა კვლევაში გამოთქმული ჰიპოთეზის გასამყარებლად. აღნიშნული ტენდენციის ზრდის შემცირება სამეცნიერო, აკადემიური და საგანმანათლებლო სივრცეების ერთ-ერთი უპირველესი მიზანია.

შექმნილია რამდენიმე მასშტაბური პლატფორმა, როგორებიცაა Turnitin, Urkund და სხვ., თუმცა მათი ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას Error 404-ის ტიპის პლაგიატის შემთხვევაში, რადგან საქმე გვაქვს არარსებულ წყაროებთან, რომლებსაც პლაგიატზე გადამოწმების პროცესში სისტემა ვერ დააფიქსირებს: წყაროები გამოგონილია და მათთან ნაშრომის შედარება ვერ მოხდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი პრობლემაა პლაგიატის აღმოჩენის შემდეგ პლაგიატორი ავტორისადმი არსებული დასჯის მექანიზმები, რომლებიც ვერ ახერხებენ პლაგიატის შესაძლო შემთხვევების შემცირებას. ამ თემაზე მომუშავე მკვლევრების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ საჭიროა არა პლაგიატის აღმოჩენის შემდგომი დასჯის მეთოდების გამკაცრება, არამედ კარგად ორგანიზებული ტრენინგებისა და პლაგიატის თემაზე ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების დანერგვა სასწავლო სივრცეებში (Dee and Jacob 2012, 427).

გამოყენებული ლიტერატურა

Dee, Thomas S. and Brian A. Jacob. 2012. Rational Ignorance in Education: A Field Experiment in Student Plagiarism. *The Journal of Human Resources*, Vol. 47, No. 2 (Spring), pp. 397-434. <http://www.jstor.org/stable/23214395> (08.07.2018);

Harzing, Anne-Wil. The Mistery of Phantom Reference. *Harzing*. <https://harzing.com/publications/white-papers/the-mystery-of-the-phantom-reference> (08.07.2018);

ithenticate. 2012. *Survey Highlights: scholarly plagiarism*. <https://www.ithenticate.com/hs-fs/hub/92785/file-16017086-pdf/docs/plagiarism-survey-results-120412.pdf> (08.07.2018);

ithenticate. 2013. *Rising tide of plagiarism and Misconduct in medical research*. <http://cdn2.hubspot.net/hub/92785/file-16016700-pdf/docs/ith-medical-plagiarism.pdf> (08.07.2018);

Jones, Lars R. 2011. *Academic Integrity & Academic Dishonesty: A Handbook About Cheating & Plagiarism*. Melbourne: Florida Institute of Technology. <http://web2.fit.edu/current/documents/plagiarism.pdf> (08.07.2018);

Steen, Grant R. 2011. Retractions in the scientific literature: do authors deliberately commit research fraud? *Journal of Medical Ethics*, Vol. 37, No. 2 (February), pp. 113-117. <http://www.jstor.org/stable/23034651> (08.07.2018);

Turnitin. *White Paper Plagiarism Spectrum*. <https://www.ed.ac.uk/files/atoms/files/10-types-of-plagiarism.pdf> (08.07.2018).

RSS FEED



შესავალი

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის, ე.წ. პლაგიატის, ანუ ინტელექტუალური საკუთრების არაკეთილსინდისიერად მითვისების რიგით მეცხრე გამოვლინებას წარმოადგენს RSS Feed, უფრო კონკრეტულად კი, ნაშრომის არაორიგინალური ხასიათი, მიუხედავად ციტირების აკადემიური სტილის დაცვისა.

მოცემული თემა რამდენიმე მთავარი საკითხისგან შედგება. პირველ საკითხს წარმოადგენს უცხო აბრევიატურის - RSS Feed-ის განმარტება და მისი პლაგიატთან კავშირის დადგენა. ამასთანავე, წარმოდგენილია ციტირების საჭიროების შემთხვევები; პლაგიატის ამ კონკრეტული გამოვლინების მაგალითები; განხილულია “ფსევდოკვლევა” როგორც პლაგიატის მოცემული შემთხვევის ნათელი მაგალითი და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლავთ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი გზების განხილვა.

ზოგადად, პლაგიატის გამოვლენის ათი ტიპის და მათი გამოყენების სიხშირის აქტუალურობა განისაზღვრება შემთხვევათა ინტენსივობით და შესაბამისი ცხრილით, რომელიც ამ ინტენსივობებს ნათლად გამოკვეთს. ის ფაქტი, რომ პლაგიატი, ანუ ინტელექტუალური საკუთრების არაკეთილსინდისიერი მითვისება, რეგულირებულია არა მხოლოდ კანონის ნორმატიული აქტებით, არამედ მასზე უშუალოდ საერთაშორისო ხელშეკრულება არსებობს, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ საკითხის აქტუალურობას.

სტატიის მიზანს წარმოადგენს პლაგიატის კონკრეტული გამოვლინების (RSS Feed) შეძლებისდაგვარად ზუსტი გააზრება, რათა მომავალში შესაძლებელი იყოს მისი თავიდან არიდება.

პლაგიატის ტიპის RSS Feed-ის გამოვლინებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განხილულია შემდეგი გეგმის მიხედვით:

- RSS Feed;
- სათანადო ციტირება;
- საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები;
- ურთიერთმიმართება პლაგიატთან (აღნიშნული შემთხვევის მაგალითები);
- მოხსენების შეჯამება.

ლიტერატურის მიმოხილვა

უმბერტო ეკოს²⁶ სახელმძღვანელო როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი პოპულარული წიგნი გახლავთ თანამედროვე აკადემიურ

28 იტალიელი ფილოსოფოსი, მწერალი და კრიტიკოსი;

სივრცეში. მასში წარმოდგენილია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავმართოთ ჩვენი აკადემიური ნაშრომი, რა კრიტერიუმებით უნდა შევქმნათ და შევაფასოთ ის და რა წესების გამოყენებით შეგვიძლია გავხადოთ ორიგინალური ჩვენი თემა. ამასთანავე, ეკო ყურადღებას ამახვილებს ისეთ აკადემიურ საკითხებზე, როგორებიცაა ციტირება და მისი საჭიროება. ეს კონკრეტული მასალა სწორედ RSS Feed-ტიპის პლაგიატის საკითხთან მიმართებით არის გამოყენებული მოცემულ თემაში. ასევე, ეკოს ტექსტი მნიშვნელოვანია მასალების გადამუშავების ხერხებისა და ჩვენს ნაშრომში მათი გამოყენების საშუალებების კუთხით. უმბერთო ეკოს ნაშრომის სტუდენტებს ეხმარება, გაიუმჯობესონ თავიანთი აკადემიური უნარები, დახვეწონ ნაშრომის სტრუქტურა და გახადონ თემები მეტად ორიგინალური.

სტატიაში გამოყენებული მეორე მნიშვნელოვანი წყარო გახლავთ ელექტრონული სახელმძღვანელო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი. ნინო ჩუბინიძის²⁷ რედაქტორობით გამოცემული წიგნი მოიცავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ყველა აკადემიურ საკითხთან დაკავშირებულ თემას. მიუხედავად ამისა, მოცემული ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საუნივერსიტეტო სივრცეში გამომდინარე მისი ინფორმაციული ხასიათისგან, ზოგადად აკადემიური ნაშრომის შექმნის ტექნიკების თვალსაზრისით. აღნიშნული წიგნი ორიენტირებულია სტუდენტის დახმარებაზე, შეადგინოს აკადემიურად გამართული ნაშრომი. აკადემიურ სივრცეში მუშაობისას, განსაკუთრებით დამწყებთათვის, ზემოთ ხსენებულ სახელმძღვანელოებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება სტატიაში გამოყენებულ იურიდიულ ლიტერატურას, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საერთაშორისო დოკუმენტების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო წყაროა, რომელსაც დღეისთვის დემოკრატიის გზაზე მდგომი ყველა ქვეყანა ითვალისწინებს. ეს დოკუმენტი იცავს ადამიანის უფლებებს საერთაშორისო დონეზე და სწორედ ამიტომ ზოგ ქვეყანაში ის კონსტიტუციაზე მაღლა დგას. ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან ერთად, როგორებიცაა ადამიანის სიცოცხლის უფლება, ღირსება, თავისუფალი განვითარება და ა.შ. ის იცავს საავტორო უფლებებსაც. რაც შეეხება ჟენევის საავტორო უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, ისიც საერთაშორისო დოკუმენტია, მაგრამ განსხვავებით ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაგან, არც ისე ბევრ ქვეყანაშია რატიფიცირებული²⁸. ჟენევის დეკლარაცია იცავს უშუალოდ საავტორო უფლებებს და ადამიანთა ინტელექტუალურ საკუთრებას.

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და “მომიჯნავე და საავტორო უფლებების შესახებ” საქართველოს კანონი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედ საკანონმდებლო დოკუმენტებს წარმოადგენს. ეროვნულ დონეზე, საქართველოს კონსტიტუცია უპირველესია და ყველა მის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული დოკუმენტი უნდა იყოს შესაბამისობაში ამ უკანასკნელთან. ხოლო კერძო სამართლის იურიდიული დოკუმენტების მხრივ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იერარქიით ერთ-ერთი მოწინავე დოკუმენტია, მას მოჰყვება კანონის დონის “მომიჯნავე და საავტორო უფლებები”. მოცემული სამი დოკუმენტი სხვა

29 განათლების მართვის პროექტის საუნივერსიტეტო პროგრამის ხელმძღვანელი.

30 განათლების მართვის პროექტის საუნივერსიტეტო პროგრამის ხელმძღვანელი.

უფლებებთან ერთად იცავს ადამიანის ინტელექტუალურ საკუთრებას და შესაბამისად - ამ უკანასკნელის საავტორო უფლებებს. სწორედ საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმების საჩვენებლადაა გამოყენებული ეს საკანონმდებლო დოკუმენტები ნაშრომში.

ანალიზი

პლაგიატის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს RSS Feed, რომლის დროსაც „წყაროები სათანადოდ არის მითითებული, თუმცა [ნაშრომი] თითქმის არ შეიცავს ორიგინალურ ნამუშევარს“²⁹. მოცემული აბრევიატურა იშიფრება, როგორც Really simple syndication, რაც ნიშნავს “ნამდვილად მარტივ სინდიკაციას”³⁰, ხოლო თავად ტერმინი სინდიკაცია ნიშნავს გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა ვებგვერდზე ახალი ინფორმაციის ერთდროულად გამოქვეყნებას. RSS Feed არის სიახლეების გაცნობის ყველაზე მარტივი გზა. RSS Feed-ის პროგრამული მნიშვნელობა ინტერნეტსივრცეში მეტყველებს მის უშუალო კავშირზე პლაგიატთან, რომელსაც ასეთი მასშტაბური ხასიათი მისცა ინტერნეტრესურსებმა. ის ამარტივებს საინტერესო სიახლეებზე მუდმივ წვდომას, რაც საშუალებას იძლევა სხვადასხვა ვებგვერდიდან მოძიებული ინფორმაცია ერთზე განთავსდეს და დაინტერესებულ პირს გაუმარტივოს წვდომა მისთვის საინტერესო საიტებზე. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც აღნიშნული შემთხვევის განვითარებას ხელს უწყობს, სწორედ ინტერნეტგვერდებს უკავშირდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, RSS Feed-ის მნიშვნელობა შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „ნაშრომი, რომელშიც წყაროები სათანადოდ არის მითითებული, თუმცა თითქმის არ შეიცავს ორიგინალურ ნამუშევარს“.³¹ შესაბამისად, აუცილებელია იმის აღნიშვნა, თუ რა არის სათანადო ციტირება. თუ ნაშრომში ციტირება ყველა აკადემიური სტანდარტის დაცვით არის გაკეთებული და გამოყენებული ციტატები შესაბამისობაშია ნაშრომის ძირითად ტექსტთან, მაშინ დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გვაქვს სათანადო ციტირება. გარდა ამისა, ციტირებას, რა თქმა უნდა, აქვს ის შემთხვევები, როცა მისი გამოყენება აუცილებელი და საჭიროა. უმბერტო ეკოს ნაშრომის მიხედვით, ამ საჭიროების ათი შემთხვევა არსებობს:

- როდესაც მოცემული ციტატის სიტყვები წარმოადგენს დამამტკიცებელ ფაქტებს;
- როდესაც ნაწყვეტში ის აზრია მოცემული, რომელსაც არ ვეთანხმებით (მისი ციტირება მნიშვნელოვანია, რადგან ის წარმოადგენს საპირისპირო აზრს და მისი პარაფრაზირების ან რეზიუმირების შემთხვევაში, ნებისთი თუ უნებლიეთ, შეიძლება დავამახინჯოთ მთავარი აზრი;
- როცა სიტყვები ეკუთვნის ავტორიტეტულ პირს ან/და მასში მოცემულია საოცრად ორიგინალური აზრი (ეკო 2014) და ა.შ.

რადგან არსებობს შემთხვევები, როცა ციტირება აუცილებელია და ასევე არსებობს სათანადო ციტირება, ლოგიკურია, რომ

31 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018);

32 თარგმანი ჩვენია;

33 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018).

არსებობს შემთხვევები, როცა ისინი არ არის საჭირო და ამასთან, არასათანადოდ არის გამოყენებული. ციტირების არასათანადო გამოყენება უშუალო კავშირშია საავტორო უფლებების ნებისთ თუ უნებლიეთ დარღვევასთან. შესაბამისად, ნათელია, რომ ინტელექტუალური საკუთრება საკანონმდებლო დაცვას საჭიროებს.

საერთაშორისო საკანონმდებლო დოკუმენტებიდან, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ, პირველია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომლის 27-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს უფლება, დაიცვას მორალური და მატერიალური ინტერესები, რომელშიც უშუალოდ მოიაზრება საავტორო უფლებები. მოცემული დეკლარაცია, რალა თქმა უნდა, რატიფიცირებული აქვს საქართველოს, შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაზე დავა შესაძლებელია ამ უკანასკნელის გამოყენებითაც.

გარდა ამისა, დაცვის საყოველთაო მექანიზმს წარმოადგენს ჟენევის საავტორო უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც, მართალია, ჯერ რატიფიცირებული არ არის საქართველოს მიერ, მაგრამ დიდი მნიშვნელობისა და დატვირთვის მატარებელია მსოფლიო მასშტაბით, 1948 წლიდან.

ინტელექტუალური საკუთრების ხელშეუხებლობა ეროვნულ დონეზე მოწესრიგებულია კონსტიტუციის 23-ე მუხლით, რომლის თანახმად, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია; ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია; შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საავტორო სამართლით მოწესრიგებული საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების, აგრეთვე, მათი მომიჯნავე უფლებების დაცვა ხორციელდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით. ეს კანონი არეგულირებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ და საავტორო ქონებრივ ურთიერთობებს.

აკადემიური საზოგადოება აცნობიერებს პლაგიატის პრობლემის სიმწვავეს, თუმცა დაუსჯელობის სინდრომი მოტივატორად იქცა, რომ სხვათა საავტორო უფლებების დარღვევა აკადემიური კულტურის ნაწილი გამხდარიყო და პლაგიატის იდენტიფიცირებისა და პრევენციის ღონისძიებები დამდგარიყო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დღის წესრიგში. პლაგიატის ამ კონკრეტული შემთხვევის მაგალითების განხილვა ცხადყოფს, რომ სათანადო ციტირება თავისთავად ნაშრომის ორიგინალურობას არ ნიშნავს:

1. სტუდენტი იცავს ციტირების წესებს, მაგრამ ციტატა გადმოთანილია არააკადემიური ინტერნეტწყაროდან:

Wikipedia³² არის ინტერნეტ ბაზა, რომელშიც ნებისმიერ ვერიფიცირებულ მომხმარებელს (ე.წ. იუზერს) შეუძლია სასურველი მასალის განთავსება, კორექტირება და სხვ. ასეთ არასანდო ინტერნეტრესურსებს „ებრძვის“ აკადემიური სივრცე, რადგანაც

34 მრავალენოვანი, ლია ენციკლოპედია.

აკადემიური ნაშრომის ღირებულებას სწორედ ინფორმაციის სიზუსტე და სარწმუნო თვალსაზრისები უნდა განსაზღვრავდეს. შესაბამისად, ვიკიპედიის, ბლოგებისა თუ სხვა მსგავსი ბაზებიდან აკადემიური ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში წყაროების მოხვედრა მიუღებელია.

2. გამოყენებულია ვრცელი და ხშირი ციტატები:

ნაშრომის უდიდესი ნაწილი აგებული უნდა იყოს ავტორის ინდივიდუალურ თვალსაზრისებსა და ხედვებზე, რომელსაც უნდა ამყარებდეს ავტორიტეტული პიროვნების ციტატა, რაც მნიშვნელოვანი ალიბია ნაშრომის საფუძვლიანობის დასამტკიცებლად, მაგრამ, როცა ის განსაზღვრულ მაჩვენებელზე მეტი რაოდენობის ციტატას შეიცავს, და ავტორიც მხოლოდ ციტატებს მიმართავს, მკითხველი აუცილებლად დააყენებს ავტორის არაკადემიურობისა და არაკვალიფიციურობის საკითხს. ვნახოთ შემდეგი მაგალითი:

ორიგინალი ტექსტი:

გენდერული თანასწორობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირების ერთ-ერთი პრინციპია. თავისთავად ნათელია, რომ ეს პრინციპი განათლების სისტემაშიც უნდა იყოს ინტეგრირებული. სკოლას, როგორც გენდერული სოციალიზაციის ერთ-ერთ ინსტიტუტს, შეუძლია ორივე სქესის ბავშვისთვის შექმნას როგორც განვითარების, თვითრეალიზაციის პირობები, ასევე გახდეს გენდერული უთანასწორობის დამკვიდრების და ტრანსლაციის ფაქტორი (ბერეკაშვილი 2012, 5).

სტუდენტის ნაშრომი:

ორივე სქესის ადამიანებს შორის თანასწორობა დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური პრინციპია. უდავოა, რომ სქესთა შორის თანასწორობის იდეა ადრეული განათლების სისტემაში უნდა იდგამდეს ფესვს. „სკოლას, როგორც გენდერული სოციალიზაციის ერთ-ერთ ინსტიტუტს, შეუძლია ორივე სქესის ბავშვისთვის შექმნას როგორც განვითარების, თვითრეალიზაციის პირობები, ასევე გახდეს გენდერული უთანასწორობის დამკვიდრების და ტრანსლაციის ფაქტორი“ (ბერეკაშვილი 2012, 5).

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში სხვათა სიტყვის დაუმოწმებლად გამოყენება არა აკადემიური დანაშაული, არამედ მხატვრული სახეა და მას ინტერტექსტი ჰქვია. აქ არ არის საჭირო წყაროს მითითება. პირიქით, მთელი ღირსება ამ მხატვრული ხერხისა ისაა, რომ მკითხველმა ამოიცნოს კავშირი გამოყენებულ და მიუთითებელ ტექსტებს შორის. მაგალითად, გიორგი ლეონიძის ლექსში ყივჩაღის პაემანი ვკითხულობთ:

„მიწურვილ იყო როცა ბაფხული რუსთაველისა...“ (ლეონიძე).

3. ციტატები სანდო, აკადემიური გამოცემებიდანაა მოყვანილი, წყარო გარკვევით, არაორაზროვნადაა დამოწმებული, მაგრამ:

ახალბედა სტუდენტი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს იმოწმებს. მართალია, იყენებს ციტირების ხერხებს სათანადოდ, მაგრამ ის,

რაც ყველას მიერ აღიარებულია, ორიგინალური ვერავისთვის იქნება. ეს შემთხვევა უნებლიე პლაგიატად კვალიფიცირდება, თუმცა ინტელექტუალურ დანაშაულთან კავშირს არ კარგავს.

„1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღეს“
(საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი 2014, 31).

4. ფსევდოკვლევა - მიზანმიმართულად დაუმოწმებელი კვლევის შედეგები:

ბუნებრივია, რომ ასეთი ტიპის შემთხვევის ავტორი მხოლოდ უნებური პლაგიატორი ვერ იქნება და შესაძლოა, საქმე გვექონდეს გამოცდილ „ქურდთან“, რომელიც დროის მოგების მიზნით მიმართავს ფსევდოკვლევას, მოპარული და გაყალბებული მონაცემებით გვერდს უვლის აკადემიურ წესებს და ამ ქმედებას დაფინანსების სიმწირით ხსნის: „არც შესაძლებლობა არსებობს და არც მოლოდინი, რომ ახალი უნდა შეიქმნას; შესაბამისად, არსებულის გამეორება ხდება“.³³

სტუდენტს შეუძლია თავის ნაშრომში ჩართოს სტატისტიკური მონაცემები „ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ შესახებ, რომელიც განხორციელდა საქართველოში „საქსტატის“ მიერ UNICEF-ის, გაეროს მოსახლეობის ფონდის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით, 15-29 წლის მოქალაქეთა განათლების დონის შესაფასებლად, თუმცა გამოიყენოს 2013 წლის ივლისის კვლევა, რადგან ამ კვლევის 2018 წელს ხელახალი ჩატარების არც დრო და არც რესურსები არ არსებობს.

პრობლემის აღმოფხვრის გზები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონმდებლობა აწესრიგებს ინტელექტუალური საკუთრებისა და საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმებს. თუმცა საუნივერსიტეტო დონეზე ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია პლაგიატის აღმოჩენის, აღკვეთისა და მასზე რეაგირების რეგულაციები. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მოკლედ განმარტავს პლაგიატთან ბრძოლის პროცედურებს, შესაბამისად, სტუდენტებს მინიმალურ დონეზე მიეწოდებათ საჭირო ინფორმაცია.

პლაგიატთან ბრძოლის საერთაშორისო პრაქტიკით პლაგიატის მართვის საუნივერსიტეტო მიდგომების განვითარება უსდ³⁴-ში პერიოდული კვლევებისა და მონაცემების ანალიზით, სტუდენტებისთვის ძირითადი ინფორმაციის მიწოდებით ხორციელდება. პლაგიატის შემოწმება და იდენტიფიცირება შესაძლებელია აკადემიური ნაშრომების ერთიანი ქსელის არსებობით, ელექტრონული პროგრამებითა და რესურსებით, რომლებიც ერთმანეთს შეადარებს ნაშრომებს და დააფიქსირებს პლაგიატის შემთხვევას. ეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებს მუდმივი მონიტორინგისა და რისკის გაანალიზების საშუალებას მისცემს.

35 ციტატა შედგენილია ჩვენ მიერ, სპეციალურად, სიმულაციური მაგალითისთვის.

36 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

დასკვნა

პლაგიატის როგორც აკადემიურ სივრცეში დომინირებული ინტელექტუალური დანაშაულის სამართლებრივ ჭრილში მოქცევა და საერთაშორისო თუ ეროვნული მექანიზმებით ბრძოლა საავტორო უფლებებისთვის, აკადემიური სამყაროს მთავარი გამოწვევაა. სტატიაში განხილული იქნა პლაგიატის ერთ-ერთი ტიპი - RSS Feed. აღნიშნული შემთხვევა ცხადყოფს, რომ ნაშრომის ორიგინალურობას არ განსაზღვრავს ნაშრომის ავტორიტეტული პიროვნების ციტატებით გადატვირთვა ან წლების წინანდელი სტატისტიკური მონაცემების გაყალბებაიმედით, რომ მათ მაინც არავინ გადაამოწმებს. აუცილებელია როგორც სათანადო ციტატების საკმარისი რაოდენობის განსაზღვრა, ასევე ზუსტი აკადემიური წყაროების შერჩევა და მათი დამოწმება. ამით დავიცავთ თავს როგორც უნებლიე, ისე გამიზნული პლაგიატისგან, რომლის გამოვლენამაც შესაძლოა პრობლემები შეუქმნას ახალბედა (თუ უკვე გამოცდილ) მკვლევარს კარიერული წინსვლის და აკადემიურ სივრცეში მნიშვნელოვანი მიღწევების კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

აკადემიური წერის ცენტრი. 2016. აკადემიური წერა: სამაგისტრო საფეხური. რიდერი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <https://drive.google.com/file/d/0B2iT6cJgt6h1NIUtYk84eTFFT2s/view> (01.07.2018);

აკადემიური მუშაობის ტექნიკების კურსის ფარგლებში შედგენილი კონსპექტ-ბარათები;

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

ბერეკაშვილი, ნანა. 2012. გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში. დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ეკო, უმბერტო. 2014. როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე;

ლენიძე, გიორგი. ყივჩაღის პაემანი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/civil/statiebi/saskolo/yivchaRispaemani.htm> (25.02.2019);

სამართლის კლინიკა. 2018. საავტორო უფლებები და მისი დაცვის მექანიზმები საქართველოში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <http://legalclinic.iliauni.edu.ge/saavtoro-uphlebebi-da-misi-datsvis-meqanizmebi-saqarthveloshi/> (21.08.2018);

საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა. საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულირება და მართვა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.6&d=HASH1f1c5b47fe3a964d63a96d.2&x=1> (21.08.2018);

ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018);

Collins, Jerri. 2018. Really Simple Syndication. *Lifewire*. <https://www.lifewire.com/rss-101-3482781> (21.08.2018).

ხელახალი გამოქვეყნება

პლაგიატი, ნაშრომის საავტორო უფლებების შელახვა და სხვისი აზრების მიწერა საკუთარი თავისადმი, გახლავთ დღევანდელი და, ამავედროულად, გასული წლების აკადემიური სივრცის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა. დროის დაზოგვის გამო თუ საქმის გასამართლებლად, სტუდენტები თუ მკვლევრები მიმართავენ პლაგიატს. პლაგიატი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან Plagiarius, რომელიც განიმარტება როგორც Kidnapping³⁵. იგი არაეთიკური და უკანონო ქმედება გახლავთ.

პლაგიატთან დაკავშირებით მრავალი კონფერენცია ჩატარებულა და არაერთი ნაშრომი შექმნილა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ პლაგიატი იწვევს ადამიანის „შეზღუდვას“, ინდივიდუალიზმის გაქრობას. ამ დროს ინდივიდს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი აღარ შესწევს და დამოკიდებული ხდება სხვის მოსაზრებაზე. პლაგიატის რამდენიმე ტიპი არსებობს, ამ შემთხვევაში კი, განვიხილავთ ერთ-ერთ მათგანს, ე.წ. Re-Post³⁶. ეს პლაგიატის ის ტიპია, როცა შესაბამისად ხდება წყაროს მითითება, თუმცა ტექსტის ორიგინალი ფორმულირება თითქმის უცვლელია. მეტად კონკრეტულად რომ განიმარტოს, ხელახალი გამოქვეყნება გულისხმობს შემდეგს: „ნაშრომი, რომელშიც წყარო სათანადოდ არის მითითებული, მაგრამ ძალიან ახლოსაა ორიგინალის ტექსტთან და/ან სტრუქტურასთან“.³⁷

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჩვენს ნაშრომში პლაგიატის აღნიშნული ფორმით გამოვლენა, უნდა მივმართოთ პარაფრაზს, რომლის მიზანია, არსებული ნაშრომი ენობრივად განსხვავდებოდეს ორიგინალისაგან, თუმცა მკაფიოდ გადმოსცემდეს პირველადი წყაროს არსს. იმისათვის, რომ პარაფრაზირების უნარი განუვითარდეს ინდივიდს, საჭიროა, ჩამოუყალიბდეს კრიტიკული აზროვნება, შეძლოს მთავარი სათქმელის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი საკითხების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა-წარმოჩენა, ასევე პარალელის გავლება წაკითხულ ლიტერატურასა თუ სხვა კვლევასთან (გურჩიანი 2016).

პარაფრაზირების ცოდნა ნიშნავს იმას, რომ ინდივიდს განვითარებული აქვს ინტერპრეტაციისა და დეფინიციის უნარი. მას მკაფიოდ აქვს გააზრებული ის დეტალები, რომლებიც პლაგიატის აცილებაში დაეხმარება და იცის ინფორმაციის ჩაწერის რამდენიმე წესი, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია პლაგიატისგან თავის დასაცავად. მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- მუდამ ნათლად გამოკვეთეთ ნაშრომიდან თუ წყაროდან სასურველი ციტატები და მოსაზრებები;

37 გატაცება. თარგმანი ჩვენი;

38 ხელახალი გამოქვეყნება. თარგმანი ჩვენი;

39 იხ. <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018);

- ციტატები აუცილებლად ჩასვით ბრჭყალებში და აკონტროლეთ მათი რაოდენობა, რათა ინფორმაცია პლაგიატად არ მიიჩნიოს მკითხველმა;
- ყოველთვის ეცადეთ, შექმნათ განსხვავებული სახის პარაფრაზი, რათა მკითხველს არ გაუჩნდეს სხვა ტექსტის ხელახალი წაკითხვის განცდა.

პარაფრაზირებაზე საუბრობს ტასმანიის უნივერსიტეტის პროფესორი, ინჟინერი და მკვლევარი Javad Yahaghi ნაშრომში Plagiarism in Publications Using the Unpublished Raw Data of Archived Research³⁸. იგი აღნიშნავს, რომ ესეს, ნაშრომის თუ სხვა დავალების წერისას, მხოლოდ სიტყვების აქა-იქ შეცვლა არ არის საკმარისი, რომ ინდივიდმა თავი დაიცვას პლაგიატისგან. საუკეთესო საშუალება გახლავთ კონკრეტული ავტორის ნარკვევის პარაფრაზირება, ე.ი. სხვა სიტყვებით გადმოცემა, რათა ნაშრომი პლაგიატად არ იქნას აღქმული (Yahaghi 2016).

როგორც დუბაიში არსებული მართვის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და საერთაშორისო ბიზნესის პროფესორი Jeremy B. Williams აღნიშნავს საკუთარ სტატიაში The Plagiarism Problem: Are Students Entirely To Blame?³⁹, პლაგიატის საფრთხის წინაშე იდგა გაერთიანებული სამეფოც. ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის უმაღლეს სასწავლებლებში 2001 წელს მრჩეველთა კომიტეტმა შეიმუშავა სოციალური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საკითხის გადამწყვეტას ელექტრონული პორტალის არსებობის საშუალებით. გაჩნდა პერსონალთა თუ სტუდენტთა სწავლების საინფორმაციო სივრცე, რომელიც საზოგადოებას აცნობდა პლაგიატისგან თავდაცვის საშუალებებს (Williams 2014).

დღესდღეობით პლაგიატის ონლაინ აღმოჩენი მრავალი პროგრამა არსებობს. მათ შორისაა Turnitin, CopyCatch, Eve2, Findsame, Wordcheck. აქვე წარმოვადგენთ (სურათი 1) ამ პროგრამების მოხმარებასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას, თუ რომელ მათგანს აქვს უფრო მეტი და ეფექტური ტექნიკური მხარდაჭერა ან რომელი უფრო მარტივად გამოიყენება:

სურათი 1: პრიორიტეტულობის მაჩვენებელი (წყარო: Pigozzi 2001)

პროგრამები	სანდობა	მასობრივი გავრცელება	ღირებულება	მომწოდებლის სტაბილურობა	გამოხმარების სისწრაფე	ტექნიკური მხარდაჭერა
Turnitin	☆☆	☆☆☆☆☆	☆☆	☆☆☆☆	☆☆	☆☆
Findsame	☆☆	☆☆☆☆☆	☆☆☆☆	☆☆☆	☆☆☆	N/A
Eve2	☆☆☆	☆☆	☆☆☆☆	☆☆☆	☆☆☆	☆☆☆☆
CopyCatch	☆☆☆☆☆	☆☆☆	☆☆☆	☆	☆☆☆☆☆	☆☆☆
Wordcheck	☆☆☆☆☆	☆☆☆	☆☆☆	☆☆☆	☆☆☆☆☆	☆

40 პლაგიატი პუბლიკაციებში, სადაც გამოყენებულია არქივირებული კვლევის დაუმუშავებელი მონაცემები. თარგმანი ჩვენია;

41 პლაგიატის პრობლემა: მართო სტუდენტია დამნაშავე? თარგმანი ჩვენია.

პლაგიატის შესახებ საუბრობს მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი Bruce Wm. Pigozzi, რომელიც განიხილავს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებს. მისი თქმით, ამერიკის ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა (Baylor University) პლაგიატის ხშირი შემთხვევების გამო გამოსცა დადგენილება: თუ სტუდენტი დაარღვევს პლაგიატის რეგულაციას და იმოქმედებს არაკეთილსინდისიერად, მას გაუნუღდება ნაშრომი და, ამავედროულად, შეეზღუდება სტუდენტის სტატუსი რამდენიმე დღით. როდესაც სტუდენტს მიეცემა საბოლოო გაფრთხილება, იგი ვალდებულია, აღარ გაიმეოროს მსგავსი ქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაირიცხება სასწავლებლიდან. ეს ყოველივე უნივერსიტეტში არსებულ მაღალ აკადემიურ დონესა და სწავლების ხარისხზე მიანიშნებს.

მსგავსი რეალობა გვხვდება გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტში (University of Leeds). Pigozzi განიხილავს პლაგიატის შემთხვევას. აღნიშნულ უნივერსიტეტში, პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში, მოქმედებს რამდენიმე სანქცია: ნაშრომი არ შეფასდება; ან სტუდენტი აკადემიურ წელს ვერ დაასრულებს და მოუწევს კურსის თავიდან გავლა; უკიდურეს შემთხვევაში, გაირიცხება სასწავლებლიდან.

მრავალ უნივერსიტეტს აქვს ე.წ. Honour Code⁴⁰ (Williams 2014), რომელიც ითვალისწინებს ეთიკის ქცევის ნორმებს, მაგალითად, პლაგიატს და თაღლითობას; „გადაწერას“ გამოცდის დროს და სხვ. ყველგან მოქმედებს პრევენციისა და რეაგირების შესაბამისი რეგულაციები.

საინტერესოა საქართველოში არსებული ვითარება პლაგიატთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არ განსაზღვრავს სასჯელს პლაგიატთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს რეგულაცია, რომელშიც გამოკვეთილია, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულება შეიმუშავებს წესდებას, ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესს, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და წესს. საქართველოში არსებული კანონის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია, იქონიოს ეთიკის კოდექსი და დაარეგულიროს ქცევის წესი.

დღესდღეობით პლაგიატის აღმოსაჩენად და პლაგიატის ფაქტების აღმოსაფხვრელად უმაღლესი სასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის ელექტრონულ პროგრამებს, მიმართავენ ინტერნეტის საშუალებით სკანირების მეთოდს ან ნაშრომთა შეფასებისა და პლაგიატის დადგენის ვალდებულებას პროფესორებს აკისრებენ.

საქართველოში არსებული უნივერსიტეტების უმეტესი ნაწილი პლაგიატს ამოწმებს პროფესორთა საშუალებით. თუმცა რამდენიმე უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული პროგრამა, მათ შორის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, უნივერსიტეტების მხრიდან სახელდება პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული არის როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ მხარესთან და სწორედ ამით აიხსნება აღნიშნულ უნივერსიტეტებში პლაგიატის დამდგენი ელექტრონული პროგრამების არარსებობა. მსგავს პროგრამას სახელწოდებით turnitin ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი იყენებს 2014 წლიდან. უნივერსიტეტი რეგულარულად აფრთხილებს სტუდენტებს, რომ არ მიმართონ პლაგიატს, რადგანაც დაეკისრებათ შესაბამისი სანქციები, რომელიც

42 ღირსების კოდექსი. თარგმანი ჩვენია.

ითვალისწინებს ნაშრომის განულებას, სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, კურსის თავიდან გავლას და სხვ. მოცემული პლაგიატის აღმოჩენი ელექტრონული პროგრამის შესახებ, განათლების სპეციალისტი Jason Chu ამბობს, რომ პროგრამა ეხმარება სტუდენტებს, გაიაზრონ, თუ რას ნიშნავს ცოდნის გაზიარება და შეუძლიათ ისწავლონ კრიტიკული აზროვნება მათ მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე.

საინტერესოა პლაგიატის ერთ-ერთი შემთხვევა სახელწოდებით - ხელახალი გამოქვეყნება, როცა ნამუშევარი მეტწილად ორიგინალური ტექსტის შინაარსს ეყრდნობა, მიუხედავად იმისა, რომ დაცულია ციტირების შესაბამისი წესები. ამ დროს ავტორი თავს არიდებს სწორ პარაფრაზს, ცვლის რამდენიმე სიტყვას (ძირითადად, კავშირებს და ზმნებს) და მიჰყვება ორიგინალის ტექსტს ბრჭყალების გარეშე. ბოლოს შესაბამისად უთითებს წყაროს, მაგრამ ამგვარი ტექსტი მთლიანად მოკლებულია ორიგინალურობასა და ინდივიდუალობას. ქვემოთ მოცემულ სურათებზე გთავაზობთ Turnitin-ის მეშვეობით აღმოჩენილ ხელახალი გამოქვეყნების მაგალითებს. თითოეულ სურათზე მოცემულია დიდი და მცირე ზომის ფანჯარა. ამ უკანასკნელში ორიგინალი ტექსტი ჩანს. რაც შეეხება დიდი ზომის ფანჯარას, მასში სტუდენტის ნაშრომია მოცემული. თუ დავაკვირდებით (მაგალითად, სურათი 2), სტუდენტის ნაშრომსა და ორიგინალ ტექსტში გარკვეული ნაწილები წითლად არის მონიშნული, რაც ნიშნავს, რომ Turnitin-მა ამ ორ ტექსტს შორის მსგავსება აღმოაჩინა. კერძოდ, სტუდენტის ნაშრომში ორიგინალი ტექსტიდან პარაფრაზი ისეა გაკეთებული, რომ პარაფრაზირებული მონაკვეთი ორიგინალ ტექსტს თითქმის სიტყვა-სიტყვით მიჰყვება. ეს შემთხვევა პარაფრაზირების წესის დარღვევაა და, იმავდროულად, პლაგიატის გამოვლენის საფრთხეს ზრდის.

სურათი 2: ხელახალი გამოქვეყნების მაგალითი 1 (წყარო: moodle.iliauni.edu.ge)

საწინააღმდეგოდ, დღეს ტერორიზმს მმართველთა დამინების აზრით უფრო ხმარობენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გამოყენებული განსაზღვრების თანახმად, ტერორიზმი არის „სუბნაციონალური ჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ მოტივირებული ძალადობა, რომელიც ფართო აუდიტორიაზე“ ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად“. ყველაზე მოკლე განსაზღვრება ტერორიზმის ცნობილ

ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოში უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემაა და მას 21-ე საუკუნის ქირსაც კი უწოდებენ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოფიციალურად გამოყენებული განსაზღვრების თანახმად ტერორიზმი არის „სუბნაციონალური ჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ წინასწარ მოტივირებული ძალადობა, რომელიც ფართო აუდიტორიაზე“ ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. ტერორიზმის განვითარების ბოლოეტაპებს ის შემამფოთებელი თავისებურებები ახასიათებს, რომ გავრცელდა ეგრედ წოდებული თვითმკვლელობითი ტერორიზმი, რომლის დროსაც მიზანი მიღწეულია მაშინ, და მხოლოდ მაშინ თუ სამიზნესთან ერთად ტერაქტის შემსრულებლებიც ე.წ. „შაჰიდი“ იღუპება. აქ იკვეთება ტერორიზმის სხვადასხვაგვარი პრობლემები (სუიციდი, სხვისი სიცოცხლის ხელჰყოფა და სხვა) რომლებიც დიდი ზიანის მომტანია, როგორც საზოგადოების ისე მთლიანად მსოფლიოსთვის (შმიდი 2007).

ზემოაღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემების მაგალითი, რომ 2013 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს ახალგაზრდებში მიაღწია, 2013 წელს 2012 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონის თანაბარი (დაახლოებით, 0,4-პროცენტიანი) კლება დაფიქსირდა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში და, შესაბამისად, ქალაქში უმუშევრობამ 25.6 და სოფლად 6.5 პროცენტი შეადგინა. ტრადიციულად, დასაქმებულებში ჯარბობს თვითდასაქმებულთა წილი. რაც შეეხება უმუშევრობის დონის მაჩვენებელს რეგიონალურ ჯრილში, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის დონის ზრდა მხოლოდ აჭარაში აღინიშნა (1.7 პროცენტი). თბილისში, სადაც უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია რეგიონებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი უცვლელი დარჩა, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში 3.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა (ევგენიძე 2014).

განიხილავს NDI-ის მიერ ჩატარებულ კვლევას, სადაც 67 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. რის საფუძველზეც ავტორი ადასტურებს, რომ საქართველოში ნომერ პირველ პრობლემად სწორედ, უმუშევრობის პრობლემა სახელდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2013 წლის დასაქმების მაჩვენებლები გამოაქვეყნა. სტატისტიკა გვეუბნება, რომ 2013 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2012 წელთან შედარებით, 0.4 პროცენტით შემცირდა და 14.6 პროცენტი შეადგინა. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ სტატისტიკის თანახმად, საქართველოში ეს მაშინ, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია რეგიონებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი უცვლელი დარჩა, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში 3.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა (ევგენიძე 2014).

თვეს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 67 პროცენტი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს. ქვეყანაში ნომერ პირველ პრობლემად სწორედ უმუშევრობის პრობლემა სახელდება. ჩვენ ადრეც აღვნიშნავს, რომ ოფიციალური სტატისტიკის ასეთი ოპტიმისტურობის ერთ-ერთი მიზეზი მეთოდოლოგიაა, რომელიც სოფლის მეურნეობაში ჩართულ მოსახლეობას თვითდასაქმებულად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ, სტატისტიკა ამბობს, რომ უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლად, ქალაქთან შედარებით (ევგენიძე 2014). თუმცა შემცირებულია 35 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფებში, რის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორადაც

მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატებოდა 100 000-ს. მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული პირების ეს ჯგუფი შესაბამისი პერიოდისათვის ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 20 პროცენტს შეადგენდა. 2007 წლიდან სამედიცინო დახმარების პროგრამის მოსარგებლე ოჯახებისათვის ზღვრული სარეიტინგო ქულა 70 000-მდე შემცირდა. ²

ქვემოთ მყოფი სკრინშოტი ssa.gov.ge ინტერნეტ წყაროდან აღწერს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ბენეფიციართა განაწილებას განსხვავებული ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში. ქვეყანაში სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები პირები უფრო მეტად არის მოცული პროგრამით, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა. ცხრილი 6.1.3.

ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა¹ კატეგორიას დაემატა მოსახლეობის სხვა კატეგორიები. ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ბენეფიციართა განაწილება განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებებში. ქვეყანაში სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები პირები უფრო მეტად არის მოცული პროგრამით, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა. ¹ სტუდენტი

¹ სოციალური მომსახურების სააგენტო, წლიური ანგარიში (2012).

მოუგვაოეიელ საკითხად ორეია, ჯეო კიდევ შეცნოაფეტე საუკუთიდას დაუყეიული, დამთარბოული მოოკო საოკონიმიო. ¹ ლოიბი აადის. იკალობიან მთარბოებეი და პრ. < intermedia.ge > ბლემად Internet Source

რჩ. ლიგია ლიტერატურა სხვა უმუშევრობა №1 პრობლემა საქართველოში 2013, 26 ნოემბერი 11:46 წლები გადის, იცვლებიან მთავრობები და პრიორიტეტები, მაგრამ საქართველოში მო უმუშევრობა კვლავაც №1 პრობლემად რჩება. ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად აღნიშნული საკითხი აწუხებს. რე. გამოკითხული 1000 რესპონდენტიდან 51, 9 %-მა უმთავრეს პრობლემად სამსახურის და ბევრი დაუსაქმებელია. შრომის საქართველოს ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ადამიანი, რომელიც მიწის მცირე ნაკვეთს მაინც ფლობს, დაუსაქმებლად არ ითვლება. გასული წლების მონაცემებით საქართველოში 16, 9% დაუსაქმებელია, ანუ ამ პროცენტში სოფლის მოსახლეობა არ შედის. (გაბინაშვილი 2013) რაც ხაზს უსვამს აღნიშნული პრობლემის აქტუალობას და მის მწვავე მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში. ¹ დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას, რომელშიც ადამიანს უხდიათ ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას. თუ ამ ტერმინის შესაბამისად ვიმსჯელებთ საქართველოს მოსახლეობის თითქმის უმრავლესობა დაუსაქმებელია, რადგან ცოტას თუ მოძებნი, რომელსაც საკუთარი ხელფასით შეუძლია, თავი და ოჯახი ნორმალურად ირჩინოს. (გაბინაშვილი 2013)

საქართველოში საარსებო მინიმუმის დათვლა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე ხორციელდება. საქსტატის მიერ გამოყენებული შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მიზნით, საჭიროა ადამიანის საარსებო მინიმუმი არის შემოსავლის მინიმალური დონე, რომელიც საჭიროა ადამიანის არსებობისა და აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად. ფაქტობრივად, ეს ინდიკატორი ცხოვრების ქვედა ზღვრის მაჩვენებელია. საქართველოში საარსებო მინიმუმის დათვლა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე დასახელების პროდუქტს მოიცავს და ჯამში 2300 კილო კალორიას შეადგენს (გერაბე 2015).

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება ხდება „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის ბრძანების შესაბამისად (გერაძე 2015).

განვითარების კრილში. ამ პერიოდის განმავლობაში ადამიანები იძენენ უამრავ ახალ უნარებს, თავისი პოტენციალი ამაღლებენ, ახალი უნარების დანერგვას და იმის უნარს, რომ მიიღონ საუკეთესო გადაწყვეტილებები. hepoins.com Internet Source

რგანიზაციების პროგრამების, ისე ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის კრილში. სტატიაში აღწერილია სახელმწიფო მიდგომები სტუდენტური ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ. ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების საკითხებზე მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლების პროცესში ეფექტურ რგოლად შეიძლება იქნას დაედოს პოლიტიკოსებისა და ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ ახალგაზრდობის ჯანდაცვის პოლიტიკის ეფექტურ დაგეგმვას. სტატიაში აღწერილია სახელმწიფო მიდგომები სტუდენტური ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ. ახალგაზრდობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურების საკითხებზე მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლების პროცესში ეფექტურ რგოლად შეიძლება იქნას განხილული სტუდენტთა ჯანმრთელობის პოლიტიკა, რაც უნდა განხორციელდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დონეზე სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით (ყაზახაშვილი 2018).

ზემოთ მოცემულ სურათებზე ნათლად ჩანს, ხელახალი გამოქვეყნების შემთხვევაში, რამდენად მალალი პროცენტული მაჩვენებელით არის წარმოდგენილი სტუდენტის ნამუშევარში ორიგინალი ტექსტი. ავტორმა შესაძლებელია უნებლიეთ ან გამიზნულად მიმართა ამგვარ პლაგიატს. პირველ შემთხვევაში, იგი არ იცნობს პარაფრაზირების წესებს, არ შეუძლია სხვათა მოსაზრების საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, ვერ იაზრებს ტექსტს კრიტიკულად, უჭირს კონკრეტული ინფორმაციის სხვა მოსაზრებასთან დაკავშირება, ანალიზი და შეფასება. ამიტომ თვლის, რომ უმჯობესია პირდაპირ, უცვლელად გადმოწეროს დედნიდან სასურველი პასაჟები. მეორე შემთხვევაში, იგი თავს არიდებს რთულ საქმეს და უცვლელად გვთავაზობს ორიგინალის ტექსტს, ამასთან, სწორად იმოწმებს წყაროს, რითაც თავს იზღვევს პლაგიატისგან. ერთ ვრცელ პასაჟს მოსდევს ორიგინალის მეორე, ასეთივე ვრცელი პასაჟი, თავად ავტორი კი არსად არ აანალიზებს ინფორმაციას. ორივე შემთხვევაში ირღვევა კვლევის ფუნდამენტური მნიშვნელობა - ანალიზი, წყაროთა მიმართების ძიება, შეფასება და, ბოლოს, ახლის აღმოჩენა, ცოდნის არეალის გაფართოება - ეს ყოველივე გამორიცხულია ლიტერატურის ამგვარად მიმოხილვის დროს. ხელახალი გამოქვეყნება მკვლევრის დაბალ აკადემიურ მონაცემზე მიუთითებს.

ამრიგად, უნივერსიტეტებმა მკაფიოდ უნდა გამოკვეთონ პლაგიატის მნიშვნელობა, ჩამოაყალიბონ შესაბამისი პოლიტიკა სწავლა-სწავლების ეთიკის თვალსაზრისით. არსებითია არა მხოლოდ რეაგირების წესების დადგენა, არამედ სწორი პრევენციის გზების განსაზღვრა-არსებობაც.

ბოლოს, გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას პლაგიატის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით:

1. შეიქმნას საერთო საუნივერსიტეტო ეთიკის კოდექსი: უნივერსიტეტების აკადემიური მთლიანობის⁴³ ხელშეწყობის პროგრამები და პოლიტიკა სტუდენტების ქცევის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ეთიკის კოდექსს შეიძლება ჰქონდეს გრძელვადიანი ეფექტი, დადებითი გავლენა მოახდინოს პლაგიატის პრევენციაზე;
2. უნივერსიტეტსა თუ სკოლაში სტუდენტებს ასწავლონ უკეთ წერა: უნებლიე პლაგიატი, ხშირად გამოწვეულია ციტირებისა და პარაფრაზირების წესების არცოდნით;
3. მიეცეთ სტუდენტებს საშუალება, გამოასწორონ პლაგიატის შემთხვევები (დადგენილი რეგულაციების შესაბამისად): სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, პლაგიატის შემთხვევაშიც კი, დაამუშაონ ნაშრომი საბოლოო ვერსიამდე. ასევე, სასურველია ე.წ. „წერიტი ზონის“ მოწყობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სივრცის არსებობას სტუდენტებისთვის, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი ნამუშევრების ორიგინალობა მათ შეფასებამდე;
4. საერთაშორისო სტუდენტების მხარდაჭერა: ენობრივი კომპეტენციის ნაკლებობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ინგლისური არ არის მშობლიური ენა, ზრდის პლაგიატის რისკს;

43 აკადემიური მთლიანობა გულისხმობს განათლებისა და კვლევის სფეროში მოღვაწე ინდივიდებისა და ორგანიზაციების მიერ ეთიკური და პროფესიული პრინციპების, სტანდარტებისა და მეთოდების დაცვას. თარგმანი ჩვენია. იხ. TAUGINIENĖ, Loreta and others. 2018. Glossary for Academic Integrity.

Report. http://www.academicintegrity.eu/wp/wp-content/uploads/2018/02/GLOSSARY_final.pdf (12.06.2019).

5. გამოიყენეთ „ასახვის“ მეთოდები:
როცა სტუდენტი, აკადემიური გაგებით, არაკეთილსინდისიერად იქცევა, მნიშვნელოვანია სანქციების არსებობა, თუმცა უფრო არსებითია უნივერსიტეტების პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც მიმართულია, პლაგიატის შემთხვევაში, სტუდენტის ცნობიერების ამაღლებასა და მასთან დიალოგზე;
6. იყავი თანმიმდევრული აკადემიური არაკეთილსინდისიერების მიმართ:
ინსტიტუტები უნდა აცნობიერებდნენ აკადემიური მთლიანობის მნიშვნელობას, თავიანთ მოლოდინებს სტუდენტთა ქცევის მიმართ. სასწავლო დაწესებულება მზად უნდა იყოს ისეთი ანგარიშვალდებულებისა და სანქციების დასაწესებლად, რომლებსაც საგანმანათლებლო მნიშვნელობა ექნება.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, ლალი და სხვები. 2016. პლაგიატის პრობლემა და მისი აღქმა საქართველოში. კვლევის ანგარიში. http://www.osgf.ge/files/2016/Publications/Plagiat_-_ge_-_2016.pdf (07.08.2018);

გურჩიანი, ქეთევან. 2016. პლაგიატის ძირითადი სახეები. თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. <http://erasmusplus.org.ge/files/publications/plagiati.pdf> (01.07.2018);

Pigozzi, Wm. Bruce. 2011. *A random selection of student punishments for plagiarism across diverse universities*. UK: University of Leeds. <https://msu.edu/user/pigozzi/Plagiarism.pdf> (01.07.2018);

Williams, B. Jeremy. 2002. *The plagiarism problem: are students entirely to blame*. Auckland, New Zealand: Proceedings of the 19th Annual Conference of the Australasian Society for Computers in Learning in Tertiary Education. https://www.researchgate.net/publication/27481233_The_Plagiarism_Problem_Are_Students_Entirely_To_Blame (01.07.2018);

Yahaghi, Javad. 2016. Plagiarism in Publications Using the Unpublished Raw Data of Archived Research. Malaysia: *Science & Engineering Ethics*; Vol. 23, Issue 2, (Apr). <http://ezproxy.iliauni.edu.ge:2056/login.aspx?direct=true&db=hus&AN=122018442&site=ehost-live> (01.07.2018).

დანართები

დანართი 1: პლაგიატის გამოვლენის ტიპები და მათი გამოყენების სიხშირე

უზრუნველყავით ორიგინალობა და კეთილსინდისიერება პირველი ნაბიჯი, რომ წეროთ უკეთესად			turnitin
წერეთ უკეთესად სათანადო კვლევისა და ციტირების წესების შესწავლით - წახალისეთ სტუდენტები თქვენი მეტი ჩართულობითა და უფრო ღირებული უკუკავშირით.			
ამ პროცესის ხელშეწყობისთვის Turnitin-ის გუნდმა განსაზღვრა არაორიგინალური ნაშრომის 10 ტიპი ¹ , განალაგა ორიგინალურ ნაშრომთან მათი მსგავსების სიმძიმის გათვალისწინებით და თითოეულ ტიპს მიანიჭა ქულა გამოყენების სიხშირის მიხედვით.			
მოიხმარეთ ეს მექანიზმი, რათა ადვილად ამოიგნოთ თუ რა შემთხვევებში განეკუთვნება ინფორმაციის გამოყენება არაორიგინალური ნაშრომის კატეგორიას.			
უკეთესად წერა იწყება აქ!			
მსგავსების სიმძიმე			გამოყენების სიხშირე
#1		კლონი ნაშრომი, რომელშიც სხვისი ტექსტი სიტყვა-სიტყვითაა გამოყენებული და წარმოდგენილია როგორც საკუთარი	9.5 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#2		CTRL-C ნაშრომი, რომელშიც ცვლილების გარეშე ერთი წყაროდან ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილებია გადმოტანილი	8.9 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#3		CTRL-F ნაშრომი, სადაც საკვანძო სიტყვები და ფრაზები შეცვლილი, მაგრამ შენარჩუნებულია წყაროს არსებითი შინაარსი	3.9 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#4		ხელახალი არანუიერება ნაშრომი, სადაც მრავალი წყაროდან გაკეთებული პარაფრაზებია ერთმანეთთან მორგებული	5.6 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#5		გადამუშავება ნაშრომი, რომელშიც ავტორის წინა ნაშრომიდან დიდი ნაწილია გამოყენებული ციტირების გარეშე	5.5 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#6		ჰიბრიდი ნაშრომი, რომელშიც იდეალურად ციტირებული წყაროებია კომბინირებული ციტირების გარეშე გადმოწერილ მონაკვეთებთან ერთად	0.5 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#7		მოზაიკა ნაშრომი, სადაც შერეულია მრავალი წყაროდან გადმოწერილი მასალა	9.1 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#8		404 Error ნაშრომი მოიცავს წყაროების შესახებ არარსებული ან არასწორი ინფორმაციის შემცველ ციტატებს	-6 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#9		RSS Feed ნაშრომი, რომელშიც წყაროები სათანადოდ არის მითითებული, თუმცა თითქმის არ შეიცავს ორიგინალურ ნაშუქვარს	2.8 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
#10		ხელახალი გამოქვეყნება ნაშრომი, რომელშიც წყარო სათანადოდ არის მითითებული, მაგრამ ძალიან ახლოსაა ორიგინალის ტექსტთან და/ან სტრუქტურასთან	4.4 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
*მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 900 პედაგოგის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.			www.turnitin.com ©2015 Turnitin, LLC. ყველა უფლება დაცულია. 20150623

¹ პოსტერი მომზადებულია Turnitin-ის მიერ დადგენილი პლაგიატის ტიპების მიხედვით და წარმოადგენს ინგლისურენოვანი ვერსიის ქართულად თარგმანს. ორიგინალი ვერსია იხილეთ აქ: <http://go.turnitin.com/HKPoster> (01.06.2018)



აკადემიური წერის ცენტრი
THE CENTRE FOR ACADEMIC WRITING



INTEGRITY



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union